


სამაცნეორო-საზოგადოებრივი ჟურნალი

სამი საუნდჯე




1

სამმართლო-საზოგადოებრივი უფროსალი
პორტალში გამოცემა



სამი საუნძველებელი


№ 1(17), 2016



თბილისი
მარტი, 2016

სარედაქტიო საბჭო

გიორგი გოგოლაშვილი, †. ბორის დარჩია, ანზორ თოთამე, გვანცა კოპლატაძე (რედაქტორის მოაღვილე), ნოდარ ლომოური, გრიგოლ რუხაძე (რედაქტორი), გრანი ქავთარია.



დაიბეჭდა საქველმოქმედო ორგანიზაცია
„სინერგიის“ ფინანსური მხარდაჭერით.

გამომცემელი შპს „სამი საუნჯე“.

ქართლის ცხოვრება

გრიგოლ რუხაძე, წმიდა ილია მართლის	4
პოლიტიკური მრწამსი	
გვანცა კოპლატაძე, წმიდა ილია მართალი საერთაშორისო	13
პოლიტიკის შესახებ	
გულამათ რცხილაძე, ვიზალიბერალიზაცია ანუ ევროპული	
საპნის ბუშტი ქართველებისთვის	19

ტრადიცია

თინა იველაშვილი, „უხა“ — გამომცხვარი პურის ერთი	
სახეობის სახელწოდება	26

ხელოვნება

ნათელა არგელაძე, თეატრისა და სახელმწიფოს	
ურთიერთობის საკითხისათვის	38

ხუროთმოძღვრება

მამუკა ცუხიშვილი, ოძრხეს ციხე და ეკლესია	48
--	----

ერთმორწმუნე ერების ისტორია

დეკანოზი ვლადისლავ ციპინი, მაინც ვინ დაიწყო	
პირველი მსოფლიო ომი?!	55
მიხეილ ჩიხტი, 1936-38 წლების მოსკოვის პროცესები:	
სხვაგვარადმოაზროვნეთა თუ მეხუთე კოლონის	
განადგურება?	69

კულტურა


აკაკი ჭანიძე, დაფარული საუნჯე	88
-------------------------------------	----

ეპიტაფია

მურმან თავდიშვილი, ბორის დარჩია	119
---------------------------------------	-----

ჩვენი ავტორები	130
----------------------	-----

PE3YOME (რუს. თარგ. თამარ ფანცულაიასი)	133
SUMMARY (ინგ. თარგ. თეონა ჩადუნელისა)	140



გრიგოლ რუხაპე

ფილა ილია მართლის პოლიტიკური მოწავისი

რეალური სურათი სოციალური მდგომარეობისა, რომლის ფონზეც ჩვენ დიდი ილიას შეხედულებებს განვიხილავთ, საკმაოდ კარგად ჩანს შემდეგი ცნობიდან: საბჭოთა კავშირის არსებობის მიწურულს, 1987-1991 წლებში ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის პირველი ხუთი ტომი, თითოეული 80 000-ანი ტირაჟით დაიბეჭდა, ხოლო უკვე დამოუკიდებელ საქართველოში ტირაჟი ჯერ 700-მდე, ბოლოს კი 300-მდე შემცირდა. ასე ასახა ქართული კულტურის კატასტროფა ილიას ბეჭდურ თხზულებათა სტატისტიკურმა მაჩვენებელმა, რომლის მიხედვით ჩამორჩენის კოეფიციენტი 99,6%-ის ტოლია.

მიუხედავად ამისა, პესიმისტური იდეებისთვის თავის მიცემის უფლება არ გვაქვს, რადგან თვით წმიდა იღლია მართალი დგას ზეობის საღარაჯოზე და მარადებას შეგვახსენებს, რომ ეროვნულ საუნაზეთა დაცვა და შთამომავლობისთვის გადაცემა ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა. ამ საუნაზეთა შორის კი, ჩვენი აზრით, საკითხი მამულის პოლიტიკური ორიენტაციის გარკვევისა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მას აქტუალობას ჩვენი ქვეყნის მუდამ როგორ სიტუაციაში ყოფნა სძენს: XVIII ს-ში საქართველომ, სპარსეთისა და ოსმალეთის აგრძელის წინააღმდეგ, ერთმორწმუნე რუსეთთან მოკავშირეობის გზა აირჩია, ხოლო ამჟამად, XXI ს-ში, აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის გარეშე დარჩენილი საქართველო ორიენტირებულია ლგბტ-ის უფლებათა დამცველ აშშ-სა და ევროკავშირთან თანამშრომლობაზე, რუსეთთან ურთიერთობის პერსპექტივა კი ბუნდოვანი ჩანს; იმის მაგივრად, რომ მეზობელ სახელმწიფოსთან კონფლიქტის მოგვარებას ვცდილობდეთ, გარეშე ძალების ზეგავლე-

ნის გამო მასთან დიპლომატიურ ურთიერთობასაც ვერ ვახერხებთ.

სამ საუკუნეს შორის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ საკითხებზე პარალელების გასავლებად, პირველ ყოვლისა, ჩვენ ილიას ცნობილ მოთხოვანის «მგზავრის წერილებს» მიღმართეთ, რადგან ამ მეოთხე-დი საუკუნის წინ ეროვნულ-პოლიტიკურმა სპექტრმა სწორედ მასში აღმოაჩინა ხალხის ფართო მასებზე ზემოქმედებისთვის საჭირო მა-გიური ფრაზა.

«მგზავრის წერილებში», როცა მგზავრი მოხევე ლელო ღუნიას კითხება, უწინდელი დრო რით იყო უკეთესიო, მოხევე პასუხობს: ადრე, ავად თუ კარგად, «ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს» და ამით იყო უკეთესიო. ქართველთა წესთ-წყობაზე სხვა მრავალი აუ-გის მოსმენის შეძლებ, უტორი მოთხოვანის, უფრო გავრცელებული ვარიანტის მიხედვით, ასეთი განსჯით ამთავრებს: «მართალია თუ არა ჩემი მოხევე, მე მაგის გასინჯვაში არ შევალ. ან რა ჩემი საქმეა ეგა? მე გაკვრით, როგორც მგზავრი, ვიხსენებ მას, რაც მისგან გამი-გონია. ჩემი ცდა მარტო იმაშია, რომ იმის აზრისთვის იმისივე ფერი შემერჩინა და იმის სიტყვისთვის იმისივე კილო. თუ ეს შევასრულე, ჩემი განზრახვაც შემისრულება.

ჩემმა მოხევემ მე კიდევ ბევრი რამ სხვა მითხრა, მაგრამ ყოველი მისი ნაამბობი დასაწერად არ გამოდგება შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა... მე მარტო ამას ვიტყვი, რომ იმან თავისის სიტყვით თა-ვისს გულისტკვილს მიმახვდრა.

მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტრითა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ — სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემ-დის?.. ჩემი საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!..»

მნელი სათქმელია, ამ ნესტრით რაძლენი ქართველია ნაჩხვლე-ტი, მაგრამ, ალბათ, ანგარიშში არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ საბჭოთა კავშირის დაშლისა და ე.წ. ეროვნული მოძრაობის დაწ-ყების შეძლებ, ქართულ მედია-სივრცეში ლელო ღუნიას სიტყვათა ციტირების ინდექსი თვით ილიას ცნობილ ტრიადასაც (მამული, ენა, სარწმუნოება) აღემატება. იგი არა მარტო მომიტინგე პარტია-თა ლაიტმოტივად, არამედ მთელი ქართული პოლიტიკის ლოზუნგად გადაიქცა. ერთი თანამედროვე ისტორიკოსი დღესაც შეგვახსენებს: «ზვიად გამსახურდია 1975 წელს, იმხანად გამოუქვეყნებელ წერილ-

ში აღნიშნავდა: „დიდმა ილიამ მთელი თავისი მოღვაწეობის საზრისი ჩააქსოვა ლელთ ღუნიას სიტყვებში: „ჩენი თავი ჩენადვე გვეყუდნოდესო“. ამას მიელტვოდა ქართველ მწერალთა რჩეული თაობა მეცხრამეტე საუკუნეში, ამას შეწირა დიდი ილია“»¹.

ამჯერად, ჩვენ საშუალება არა გვაქვს XIX ს-ის ქართველ მწერალთა რჩეული თაობის თხზულებათა განხილვისა, მაგრამ მთავარი საკითხის გამოყოფა მაინც შეიძლება: დიდმა ილიამ მთელი თავისი მოღვაწეობის საზრისი მართლა ლელთ ღუნიას სიტყვებში ჩააქსოვა და მართლა მას შეწირა თავი? — იმის იმედით, რომ ხვალ მიტინგს არავინ მოაწყობს და ჩემი მოსაზრების დასაგმობად საზოგადოების ეგზალტირებას არ შეეცდება, თავს უფლებას ვაძლევ, დასმული საკითხი კრიტიკულად განვიხილო და მსმენელის წინაშე რამდენიმე არგუმენტი პუნქტობრივად წარმოვადგინონ.

1. ილიას მოთხრობაში ლელთ ღუნიას პირით გამოთქმული თეზა XX ს-ის ბოლოს ქართული პოლიტიკის კარდინალურ საკითხად იმიტომ გადაიქცა, რომ „ეროვნული მოძრაობის“ თავკაცებმა მასში არა მარტო სახელმწიფოს დამოუკიდებლობისკენ მიზანსწრაფვა, არამედ რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული კუშირის დარღვევაც იგულისხმეს. იდეურად, აღნიშნული თეზა მათ ამის საშუალებას აძლევდა, რადგან მოხევე, ფაქტობრივად, გეორგიევსკის ტრაქტატით გაფორმებული კავშირის წინააღმდეგი იყო, ხოლო „ეროვნულები“ — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში საქართველოს ყოფნისა.

რამდენადაც ქართულმა სინამდვილემ ილიას მოთხრობა დოკუმენტად აქცია და მასში გამოხატული აზრები თვით ავტორის პოზიციასთან გააიგივა, მაშინ ჩვენც უნდა გავითვალისწინოთ „მგზავრის წერილების“ ყველა იდეური ნიუანსი და შესაბამისი დასკვნაც გამოვიტანოთ.

2. გფიქრობთ, სადაც არ არის, რომ ლელთ ღუნიას თეზას პოლიტიკური სტატუსი მოთხრობის დასასრულმა მიანიჭა. სწორედ მოხევის სიტყვათა გამეორებამ და მისით გამოწვეულმა გულისტკივილმა გამოკვეთეს მისი რელიეფური სახე, თორებ მარტო დიალოგის დროს «ავად თუ კარგად» ნათქვამი მოხევური სიტყვა ისტორიულ მნიშვნელობას ვერ შეიძნება. გასაგებია, რომ ლელთ ღუნიას ფრაზამ ზემოთ განმარტებული შინაარსი შეითვისა, მაგრამ, გარდა მგზავრის თანაგრძნობისა მოხევის მიმართ და «რაღაც უეცარი ტკივილისა»,

¹ ყორანაშვილი გურამ, ისევ ნინამურის ტრაგედიის საიდუმლოს შესახებ, თბ., 2013. გვ. 183.

ჩვენ თვით ავტორის პოზიციას, ანუ სამოქმედო პროგრამას, როგორც ეს თვით ბრძენ ილიას სჩეველა, ვერ ვხედავთ.

ამიტომ გვიხსნის: «მართალია თუ არა ჩემი მოხევე, მე მაგის გასინჯვაში არ შევალ... მე მარტო ამას ვიტყვი, რომ იმან თავისი სიტყვით თავისს გულისტკვილს მიმახველრა». — ეს არც არის გასაკვირი, რადგან სამშობლოში ახლახან დაბრუნებული უგვირგვინო მეფე, თუმც ჯერ კიდევ 24 წლისა, პასუხს ტკივილების დასაამებლად თავისი საყვარელი მიწა-წყლისგან ელის. მან ჯერ ბევრი რამ არ იცის: «როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორც შემეყრება იგი მე»; «კარგია გაღვიძებული ადამიანი!.. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურობით გულაღტყინებულსა. ჩემო ლამაზო ქვეყანაზ, არიან ამისთანანი შენში? მე მოვნახავ და, თუ ვიპოვე, ვეთაყვანები». — სამწუხაროდ, ამ ლამაზ ქვეყანას არ აღმოაჩნდა უნარი, რომ მისთვის თავგანწირულის ბრწყინვალე ნათელს შესდგომოდა და ღმრთისგან წარმოგზავნილისთვის თავგანი ეცა, მაგრამ ეს ცალკე თემაა და ჩვენ ისევ «მგზავრის წერილებს» მიუბრუნდეთ.

3. ჩვენი აზრით, ავტორი რომ მოხევის ნაუბარს არ განსჯის, არა ამედ მხოლოდ მის კონსტატირებას ახდენს, მთელი დიალოგიდან ჩანს. მაგალითად, მგზავრი არ პასუხობს ემოციებს აყოლილ მოხევეს, რომელსაც შშვიდობიანობის გახანგრძლივებამ (ამ დროისთვის რუსეთის მფარველობაში თითქმის 60 წელი იყო გასული) წარმოდგენა შეუსუსტა: «რაის გაქნევ ცარიალ შშვიდაბას ცარიალ სტკამაქით... ცარიალ შშვიდაბა მიწაჩიც გვეყოფის»; ეტყობა, რომ მოხევე ღუკა-თა, სპარსთა და ოსმალოთა შემოსევების საშინელებასაც სათანადოდ ვერ აანალიზებს: «აწინა მავალე სვამეხი უფროს გავწიო კებს, უფროს სახლს გვიკლებს»; ამასთან, მოხევეს ძმათამკვლელ ომებზე ბევრი კი სმენია: «კახთა გაუანი ხევისანი მრავალნი მოხოცეს», მაგრამ იმის მაღლიერი არ არის, რომ «აწინა ყოველნი ქართველნ ძმანები გართ».

მოკლედ, ღელთ ღუნია ერთი ჩვეულებრივი ქართველია, რომლის გრძნობები გრძებაზე ბატონობენ და ამიტომ აზრიც ყველაფერზე თავისი აქვს, რომლის არც გულწრფელად გამოხატვისა ერიდება. გამომსახველობის თვალსაზრისით, მგონია, რომ ღელთ ღუნია ტიპური წარმომადგენელია ჩვენი საზოგადოებისა, მაგრამ ეს არ ნიშნავს მისი თვისებების ან აზრების იდეალიზაციას, რაც არც მის შემოქმედს დაუსახავს მიზნად.

4. ამასთანვე, როგორც დოკუმენტური მასალიდან ჩანს, მოთხოვ-

ბის ბოლო აბზაცის მიმართ თვით ილიასაც ორჭოფული დამოკიდებულება პქნია. ამის თქმის უფლებას ის გვაძლევს, რომ «მგზავრის წერილების» ჩვენამდე მოღწეული სამი ავტოგრაფიდან ერთ-ერთში (ხელნაწ. უ, № 149) ბოლო აბზაცი („მიგიხვდი... პასუხი“) მთლიანად გადახაზულია², ხოლო მოთხრობის პირველი პუბლიკაციის (ჟ. „კრებული“, № 5, 1871. გვ. 1-16) ბეჭდურ ტექსტში იგივე აბზაცი, გარდა პირველი წინადადებისა („მიგიხვდი... ნაჩხვლეტი“), ასევე შეტანილი არ არის³.

ჩვენი აზრით, ეს ორჭოფობა იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ მარტო ამ გამოთქმის მოხმობით — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ — მგზავრის გულისტკოილის მიზეზი დავიწროებულ შინაარსს იძნეს; მოთხრობაში, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კიდევ იმდენი საწუხარია დასახელებული, რომ ეს თეხა თავის თავში ყველა პრობლემის შემოკრებას ვერ ახერხებს. და, რაც მთავარია, ილია მართლისთვის არა მარტო ლელთ ღუნიას სატკიფარი, არამედ თვით ლელთ ღუნიას პიროვნებაც მისი ტკიფილია; ვინაიდან მოხევე ცხოვრების სიმძიმით დადარღიანებული კაცია, რომელსაც გამოსავლის პოვნაზე არც უფიქრია და სანუგეშოც არაფერი აქვს. ამგვარი ადამიანი ილიას ჩაფიქრებულ საქვეყნო საქმეს, ბუნებრივია, ვერ იტვირთავს და ამიტომ იგი ქვეყნის უბედურებით გულაღტყინებული ქართველების მონახვას მხოლოდ იმედოვნებს, ხოლო თუ იპოვის, კიდეც ეთაყვანება.

5. მოხევეს გეორგიევსკის ტრაქტატმა, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მარტო ცარიელი მშვიდობა მოუტანა. გარდა იმისა, რომ ცნება ანტინომიურია, ანუ წინააღმდეგობრივ შინაარსს შეიცავს, იგი იმავდროულად უარმყოფელია მეფე ერეკლე მეორის დამსახურებისა, რომლის მიერ მომზადებულმა და გაფორმებულმა დოკუმენტმა, მოხევის აზრით, მხოლოდ ეს უშედეგო და ფუჭი მშვიდობა მოუტანა საქართველოს. ლელთ ღუნიას დამოკიდებულება ორივე საკითხზე გამოკვეთილია; ახლა ვნახოთ, როგორ აფასებს წმიდა ილია მართლი, ერთი მხრივ, მშვიდობას, ხოლო მეორე მხრივ — პატარა კახის დიდ საქმესა და მის დიდებულ პიროვნებას.

«მშვიდობანობა, მოცალეობა არის მიწა, რომელზედაც ამოვა ხოლმე მეცნიერების, სწავლის, ლიტერატურის ხე და ნაყოფი... ამ ჩვენს საუკუნეში არის მშვიდობანობა; მაშასადამე, არის დროება ლიტერატურისა, სწავლისა და ხელოვნებისა, რომელიცა ადამიანმა

² ილია ჭავჭავაძე, თხზულებაზი (ოც ტომად), ტ. II, ტექსტი გამოსაცემად მოაზადეს ეთერ შარაშენიძემ და ლეიილა სანაძემ, თბ., 1988. გვ. 562.

³ იქვე, გვ. 448-ის შემდეგ, ჩანართის IV გვ-ზე დაბეჭდილია ფოტოპირი.

სარგოიანად უნდა მოიხმაროს»⁴, ხოლო მეცნიერების ნაყოფიერება თავისთავად ქვეყნის კულტურულ და ეკონომიკურ წინსვლას, სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებას ნიშნავს. ამიტომ მშვიდობა ცარიელი არ შეიძლება იყოს, თუ იგი ადამიანმა სარგოიანად მოიხმარა. მშვიდობიანობის დროს, თუ ვინმეს საკუთარი სტომაქი ლელთ ღუნიასვით ცარიელი აქვს, მიზეზი არა სხვაგან, არამედ თავის თავში უნდა ეძიოს.

უფრო მეტიც, შინაარსთან ერთად თვით ტერმინსაც საკრალური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მშვიდობა ქრისტიანული გაგებით კურთხევასთან არის გაიგვებული. ბიბლიურ წიგნებში, პატრისტიკულ ლიტერატურასა და ლიტერატურულ ტექსტებში დალოცვის ძირითად ფორმად მშვიდობის სურვება გამოიყენება: «მშვიდობა თქვენ თანა», «მშვიდობა სახლსა ამას», «მშვიდობა ყოველთა»... ან-გელოზებიც ამ მადლიანი სიტყვით ლოცავენ ქვეყნიერებას: «დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა, და კაცთა შორის სათნოება» (ლუკ. 2,14). დაბოლოს, ერის სათხო მოძღვარს, წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს მოუსმინოთ: ღმრთისმსახურება, ცხონება და ზეცისადმი მისწრაფება მხოლოდ იქ შეიძლება, სადაც მშვიდობა სუფეს. ღმერთი ამ ზეგაღმო ნიჭს იმ ქვეყანასა და ერს ანიჭებს, რომელშიც კეთილი სარწმუნოება და ღმრთის მსახურება სუფეს, რომელშიც წმიდა მართლმადიდებელი ეკლესია მტკიცედაა დამყარებული და ერის ზნეობას აშენებს.⁵

შეიძლება მშვიდობის მნიშვნელობაზე ამდენის თქმაც არ იყო საჭირო, მაგრამ, როგორც ჩანს, მას ყოველთვის დაცვა სჭირდება.

6. ახლა, ამ სანუკვარი მშვიდობის მომპოვებელზეც ვთქვათ ორი-ოდ სიტყვა. მართალია, მეფე ერეკლეს მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებას საბოლოოდ ხორცი მისმა უფროსმა შვილმა, ქართლ-კახეთის მეფემ გიორგი XII-მ შეასხა, როცა რუსის ჯარი თბილისში შემოვიდა (1799 წ.), მაგრამ საფუძველი ამისთვის 1783 წელს ხელმოწერილი გეორგიევსკის ტრაქტატით იყო მომზადებული.

რაც შექება თვით ილია მართლის დამოკიდებულებას ერეკლე მეფის პიროვნებისადმი, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ილიასთვის ერეკლე ყოველთვის «ბრწყინვალე მეფე და რეინის კარი იყო საქართველოსი»; იგი პატარა კახის სახელის განსაღილებლად ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველასა და გრიგოლ ორბელიანის

⁴ ილია ჭავჭავაძე, თხზულებაზი, ტ. V, თბ., 1991. გვ. 94-95.

⁵ იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე), ქადაგებანი, ტ. II, თბ., 1913. გვ. 135.

სტრიქონებსაც უშურველად იმოწმებდა;⁶ ილიას სიტყვით, ერეკლე II ის დიდებული მეფეა, «რომლის შუქი დღესაც კი გვინათებს»⁷.

7. ბოლო საკითხი, რომლითაც თქმის ამოწურვა, ჩვენი აზრით, შეიძლება, ეს არის არა ახალგაზრდული მგზნებარებით ან-თებული «მგზავრის», არამედ სამოცს გადაცილებული ბრძნენკაცის მიმართება რუსეთისადმი. აი, რას ამბობს წმიდა ილია მართალი XIX ს-ის მიწურულს: «რა საჭიროა დამალვა: ჩვენ უცილობელად გვიყვარს ჩვენი სამშობლო, ხოლო არც საჭიროა სიყალბე. მარტო მით რომ ჩვენ ჩვენი სამშობლო გვიყვარს, გვიყვარს რუსეთიცა. ეს ისეთი ბუნებრივია, ისე ცხადია, ისე ადვილად გასაგებია საგანთა არსების მიხედვითა. რუსეთმა დაიხსნა ჩვენი ქვეყანა წახლენისა და განადგურებისაგან, იგი დღესაც იფაროს მას ყოველ წამებისა და ტანჯვის განმეორებისაგან, მან გაუკურნა ჩვენს სამშობლოს მისი წყლულნი... ეს სიყვარული ჩვენი ჩვენის სამშობლოს თავით თვისით წარმოადგენს იმ ნაყოფიერს ნიადაგს, რაზედაც იზრდება და ჰქაობს ჩვენი ერთგულება და სიყვარული რუსეთისა. ეს ჩვენი სიყვარული ჩვენის სამშობლოსი იგი მაგარი და შუამდგომელი ჯაჭვია, რომელიც აერთიანებს ჩვენს ზრახვასა და სასოებას უკეთესს რუსთა ზრახვასა და სასოებასთან. სწორედ ამ ჩვენის სამშობლოს სიყვარულში უნდა მოიძებნოს ნასკვი ნაწილთა დაახლოვებისა და გაერთებისა მთელთან საკეთილდღეოდ ყოველთა და ყოვლისათვის. წაართვით ადამიანს ეს სიყვარული სამშობლოსი და მის გულში ვეღარ იპოვით ამისთანა ღრმას და მაგარ ადგილს, რომ ზედ ამოიკვანოთ საფუძველი ერთგულებისა და სიყვარულისა».⁸

ასეთია სამშობლოს თანამდევი სულის ერთგულებისა და სიყვარულის აპოლოგია, რომელიც მართლაც ცხადია და ადვილად გასაგები, ოღონდ მხოლოდ იმისთვის, ვისაც გულისხმიერება წარმეული არა აქვს. არც ის უნდა გამორჩეს ვინმეს მხედველობიდან, რომ ჩვენი დიდბუნებოვანი ქართველისთვის უცხო იყო ყოველგვარი პირმოთხობა, ქედდადრეკილობა და, ახლანდელი ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ორმაგი სტანდარტი; მან ზედწოდება მართლისა სწორედ თავისი მართალი ცხოვრების, პატიოსნებისა და ღირსების გამო შეიძინა.

დიდმა ილიამ არავისზე ნაკლებად არ უწყოდა, რომ «ძალიან ხშირად ჩნდებოდნენ ჩვენში ისეთი გაულენიანი პირნი, მთავრობის

⁶ ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. XIII, თბ., 2007. გვ. 99-101.

⁷ ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1991. გვ. 566.

⁸ ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. XIV, თბ., 2007. გვ. 292-293.

ვითომ ერთგული და ვითომ რუსის ინტერესებისათვის შზრუნველნი, რომელთაც თითქო განვეძებ განიზრახეს, რომ ჩვენი ერის მომაგონებელი კი რაც რამ იყო, ფეხით გაეთელათ, დაეთრგუნათ, მოესპორთ»⁹, მაგრამ ამ გავლენიან პირთაგან ქვენის გასათვისუფლებლად ცეცხლის ხაზზე ყველაზე წინ ყოველთვის თვით დგებოდა. ამიტომ არის ყოველი მისი სიტყვა წრიფელი, სარწმუნო და უცილობელი; ხოლო მის ნააზრებში დაუნჯებული სიბრძნე იმდენად მრავალმხრივია და მასშტაბური, რომ გონიერი ერი მასზე უკეთეს მეტურს ამ წუთისოფელში ვერც ინატრებდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით, როგორც ჩანს, ათასი ჯურის ექსპერტ-პოლიტიკოსთა მიერ მოტყუებულ საზოგადოებას სჯერა, რომ ილიასეული არჩევანი ვეროპული იყო და, თუ სასწაული არ მოხდა, სუკუნის წინ დაშვებული შეცდომის გამორებისთვისაც მზად არის.

ჩვენც, იმ იმედით, რომ ქართველთა უგვირგვინო მეფის სიტყვამ შეიძლება ერთი-ორი კაცი მაინც დააფიქროს რუსეთის როლზე ჩვენს ისტორიაში, ნაკვევს დავასრულებთ ამონარიდით ილია მართლის პუბლიცისტური წერილიდან «ასი წლის წინათ»: «ცალკე სპარსეთი, ცალკე ოსმალეთი ხმალაშოღებულნი თავს ადგნენ დამარცხებულს საქართველოს და მუქარას მუქარაზე უთვლიდნენ... გაძლიერება რუსეთისა, რომელმაც მაშინ საქართველოს საზღვრამდე მოაღწია ჩრდილოეთის მხრით, ერთსაც თავზარსა სცემდა და მეორესაც... სხვა გზა არ იყო, მეფე გიორგის ან ოსმალეთთან უნდა დაეჭირა საქმე, ან სპარსეთთან და ან რუსეთთან, რომ როგორმე გადაერჩინა საქართველო ამოდენ ერთად ზედმოსეულ უბედურებისაგან. ამ საქმეს აჩქარება უნდოდა. ღვთისმოსავმა და ღვთისმოყვარე მეფე გიორგიმ, რა თქმა უნდა, ერთმორწმუნე რუსეთი ირჩია. ამას უუბნებოდა წინაპართა ანდერძიცა, რადგანაც, მისდა მეფობის წინათაც, ჯერ კიდევ 1576 წლითგან, საქართველოს მეფენი ბევრჯერ გამოპლაპარაკებიან რუსეთს და მისგან ხელშეწყობას და ხელის გამართვას მოპლოდებიან. ქრისტეს ჯვარისათვის ჯვარცმულ ერის მეფემ ქრისტეს ჯვარისვე მოსავი ერი მოიწვია საშველად და მფარველად...

იმპერატორმა პავლებმ, მოისმინა რა გაჭირვება მეფე გიორგისა და საქართველოსი და იუწყა-რა ახალი მუქარა სპარსეთისა, აწიოკება ქვეყნისა თხმალეთისა და ლეკთა თარეშობისაგან, მსწრაფლ შეუდგა, რომ მეფე გიორგის გადაწყვეტილი პასუხი მისცეს. 23 ოქტომბერი 1799 წელს ბრძანება მისცა ჩრდილო-კავკასიის ჯარის მთავარმ-

⁹ ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. XV, თბ., 2007. გვ. 359.


მართველს, მოაშნაღოს საქართველოში წასასვლელად მეშვიდეტე გერის პოლკი გენერალ-მაიორ ლაზარევისა...

დიდის ყოფით და ამბით დახვდა რუსეთის ჯარს მეფე და ერი. სასოწარკვეთილმა მეფემ და ერმა ძლივს ნუგეშითა და იმედით გაიცოცხელა გული. მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა. ყველას, დიდიდამ პატარამდე, ქალით კაცამდე, გული ავსო იმ სანატრელ იმედითა, რომ რუსის მხედრობის დაბინავება საქართველოში საქართველოს მოუვლენს იმ მშვიდობიანობას, იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და მფარველობას, იმ ბედნიერადა და უტკიფრად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენს საუკუნეების განმავლობაში ასე თავგამეტებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შვილი და თავისის სისხლით პრწყავდა ყოველს კუთხეს თავისის ქვეყნისას. ამ ღირსახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა, დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა უღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და პბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბება და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრადლა დაგვრჩა.

დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინადამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მისს თავდადებულ შვილებს, რომელიც უმწედ, უნუგეშ, ყველასაგან შორს, მარტოდმარტო იხოცებოლნენ ქრისტეს სარწმუნოების საღიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიღვა საზღვარი მშვიდობისმყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე, ვეღარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს, კვლავ სასოებაგაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული.

დღეს, 26 ნოემბერს 1899 წ., სწორედ ასი წელიწადია მას აქედ».¹⁰

¹⁰ ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. XIV, თბ., 2007. გვ. 304-315.



გვანცა პოლიტიკი

ფეიდა ილია მართალი საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ ეაზილი I

კაცობრიობაში ისტორიული გამოცდილებით იცის, რომ პოლიტიკურ საქმიანობას უმეტესწილად ის ადამიანები ეტანებიან, რომელთაც უზნეობასთან კომპრომისზე წასვლა არ ეძნელებათ, რადგან ეს დანაშაულად და ცოდვად არ მიაჩნიათ და, აქედან გამომდინარე, არც სინდისის ქენჯნა და არც სინანულის განცდა არ აწუხებთ. მაგრამ ეს სრულიადაც არ გვაძლევს უფლებას იმის თქმისა, რომ თვითონ პოლიტიკა, რომელიც პლატონის განმარტებით, სახელმწიფოებრივი საქმიანობაა, თავისი არსითა უზნეო და ამდენად ადამიანთაგან, რომელიც მას ემსახურებიან, უზნეობასთან შერიგებას და მიზნის მისაღწევად უცილობლად ზნეობრივი თვალსაზრისით მიუღებელი საშუალებებისა და ხერხების გამოყენებას მოითხოვს.

სინამდვილეში პირიქითაა. სახელმწიფოსა და მის სათავეში მყოფთა ძირითადი ფუნქცია — შზრუნველობა საზოგადოებრივი ყოფის მოწესრიგებაზე, მისი წევრების უფლება-მოვალეობის დადგინებითა და მათი დაცვით, იმთავითვე, ანტიკურ ეპოქაშივე გამოიკვეთა. თუ ქრისტემდე ყველა სოციალური ფენა საზოგადოების სრულუფლებიან წევრად არ ითვლებოდა და ამდენად არც სახელმწიფოებრივი ზრუნვის ობიექტს წარმოადგენდა, განკაცებულმა ღმერთმა ღმრთის ხატად შექმნილ ადამის მოდგმას, რომელიც ცოდვის მონობისაგან საკუთარი სისხლით გამოისყიდა, უფლება მისცა ცათა და ქვეყანის შემოქმედი ღმერთისათვის მამა ქრისტებინა, ანუ, თავი მის შვილად ეგრძნო. აქედან გამომდინარე, არცერთ ფილოსოფიურ მიმდინარეობასა და არც ერთ სხვა რელიგიას არ აქვს ისეთი სრულყოფილი სწავლება ცალკეულ ადამიანთა, როგორც განუმეორებელ ინდივიდთა ფასდაუდებელ ღირებულებაზე და

მათ შორის უფლებრივ თანასწორობაზე, როგორც ქრისტიანობას.

მიუხედავად ამისა, როგორც ისტორიული გამოცდილება, ასევე თანამედროვე ყოფაც მხოლოდ იმას გვიდასტურებს, რომ ადამიანი და მისი სიცოცხლე თანდათან უფრო უფასურდება, ხოლო თანასწორობისა და მმობის იდეალებზე ლაპარაკი უკვე ნიღბადაც კი არ სჭირდება გაშიშვლებულ ძალადობასა და მუშტზე დამყარებულ პოლიტიკას.

მიზეზი ამისა არა ქრისტეს მოძღვრების არასრულყოფილება, არამედ მისი მიუღებლობა და, უფრო მეტიც, მისგან გაუცხოება და მასთან დაპირისპირებაა, რაც უფრო და უფრო მკვეთრად იგრძნობა. კაცობრიობის დიდმა ნაწილმა შემოქმედისაგან ბოძებული უდიდესი ჯილდო — თავისუფალი ნება მისივე ტანჯვისა და მწუხარების მიზეზად აქცია, სულმოკლეობა გამოიჩინა და ჰეშმარიტებისა და მარადიული ნეტარებისკენ მიმავალი გზის ნაცვლად, ამქვეყნიური წარმავალი ძალაუფლების, სიმდიდრისა და ფსევდოდიდების მოხვეჭის გზას დაადგა, რომელიც შედარებით სუსტისა და უძლურის დაჩაგვრა-დამონებასა და გამარცვას აუცილებლობით გულისხმობს.

კაცობრიობას უფლება არა აქვს უსაყვედუროს ღმერთს, თავისი სისხლიანი და ადამიანთა ტანჯვა-გებით აღსავსე ისტორიისათვის, რომელიც საკუთარი არჩევანით შექმნა და დღესაც აგრძელებს.

წმინდა ილია მართალს არ ჰქონია პრეტენზია პოლიტიკური მოღვაწისა, მაგრამ რამდენადაც ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიზნად მშობელი ერის სამსახური და მის სულიერსა და ფიზიკურ გადარჩენაზე ზრუნვა ჰქონდა არჩეული, გრძნობდა რა განსაკუთრებით დიდ პასუხისმგებლობას, როცა მისი გადარჩენის გზებს სახავდა, როგორც ამას მისი „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილები გვიდასტურებს, საფუძვლიანად სწავლობდა საერთაშორისო, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნების პოლიტიკას, რომელსაც როგორც დღეს, ასევე მე-19 საუკუნეშიც მთელს მსოფლიოში წამყვანი აღგილი ეკავა. მან კარგად იცოდა, რომ რამდენადაც მთელი მოღვა ადამისა, როგორც პავლე მოციქული გვასწავლის, ურთიერთას ასოებ გართ, არც ქართველი ერის აწმყოსა და მომავლის განხილვა შეიძლება ცალკე, საერთო კაცობრიული ყოფილან ამოგარდნილად. პოლიტიკური მოვლენებისა და ფაქტების ანალიზისა და შეფასებისას წმ. ილია მართალი ყოველთვის ქრისტიანულ მოძღვრებას ეყრდნობა, რომელიც კაცომოყვარებასა და ღმრთის წინაშე ადამიანთა თანასწორობას ქადაგებს. ვითარცა ჰეშმარიტად ქრისტიანს, რომელსაც, შესაბამისად მაცხოვრის სწავლებისა, მთელი არსებით უყვარდა ღმერთი და მოყვასი თვისი, რო-

გორც საკუთარი თავი, ღრმად სჯეროდა, რომ ადამიანზე დღი ღი-რებულება ამ სამყაროში არ არსებობს და აქ ყოველივე, მათ შორის პოლიტიკაც, მის გადარჩენას უნდა ემსახურებოდეს. ანალოგიურად მაცხოვრისა, რომელიც გვასწავლის, რომ სჯული შეიქმნა ადამიან-ისათვის და არა ადამიანი სჯულისათვის, ილია, არჩევს რა პოლიტიკურ სარბიელზე ორ დაპირისპირებულ მოძღვრებას, წერს: „გამგე-ბელნი სახელმწიფო ბედისანი იძახიან, რომ ერთ პოლიტიკისათვის არის ქვეყანაზედ გაჩენილი და ამიტომაც სუო; სახელმწიფოს გულ-შემატკიცარნი, ერთის მოყვარენი — კი პასუხად ეუბნებიან: უკაცრავად, პოლიტიკაა ერთისათვის გაჩენილი და არა ერთ პოლიტიკისათვის“.¹ მისი აზრით, „მთელი პოლიტიკური ისტორია ევროპისა ამ ორთა მოძღვრებათა ერთმანეთთან ბრძოლაა და სხვა არაფერი“ და გარემოებებიდან გამომდინარე ასკვნის, რომ ევროპის ქვეყნების ხელისუფალნი პირველი მოძღვრების — ერთ პოლიტიკისათვის მსახურები არიან, რომლის შედეგადაც ერთ იწირება.

ამავე წერილში, „მილიოტარობა ევროპაში“, რომელიც პირველად 1898 წელს გამოქვენდა, ევროპას იგი ადარებს კაცს, რომელიც გარე-დან მტერს უყენებს თვალს, ხოლო შიგნიდან — მოყვარუს, რაღან მშვიდობა, რომელიც მის ქვეყნებს შორის სუფეს, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც გამალებულ შეიარაღებაზეა დაფუძნებული, გარეუნულია. ამგვარ მშვიდობას წმ. ილია მართალი შეთოფიარაღებულ მშვიდობას უწოდებს და ამ გზით მშვიდობიანობის დაცვა დიდ უბედურებად მი-აჩნია, მით უმეტეს, რომ შეიარაღებისათვის წარმოუდგენელად დიდი თანხები ევროპის მკვიდრთა ჯიბიდან იყო ამოღებული.

ამავე თემაზე დაწერილ სხვა წერილში ილია იხსენებს გამოჩე-ნილ ფრანგ ფილოსოფოსს მონტესკიეს, რომელიც ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში „სჩიოდა, ევროპა თანდათან უმატებს ჯარებსა და თოფ-იარაღს, ამისთვის არა პზოგავს არავითარს ხარჯს და ამით თავს იღა-რიბებს და იღატაგებსო“ და აგრძელებს: „მონტესკიეს სიტყვას არა-ვინ გაფრთხილებია და დღეს ევროპის სახელმწიფონი თოფ-იარაღში სხედან და შეად არიან ერთმანეთი სისხლის მორევში დაარჩონ“.²

შეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, როცა ეს წერ-ილები იწერებოდა, ევროპას 16 მილიონამდე ჯარისკაცი, ანუ მისი მოსახლეობის შრომისუნარიანი ნაწილის ერთი მერვედი ჰყოლია და უახლოეს მომავალში მათი რიცხვის გაზრდას 20 მილიონამდე აპირებდა. საინტერესოა, რომ ამ დროს ჩრდილოეთ ამერიკაში შეერთე-

¹ ი. ჭავჭავაძე, მილიოტარობა ევროპაში // თხზ. ათ ტომად, ტ. VIII, თბ., 1957. გვ. 51.

² იქვე, გვ. 55.

ბულ შტატებს მხოლოდ 27 ათასი ჯარისკაცი ჰყოლია. ილია ჩვეული სიღრმით აანალიზებს ამ ფაქტს და შეერთებული შტატების ვროპის ქვეყნებზე ბევრად დიდ დაწინაურებას მრწველობასა და ვაჭრობაში იმით ხსნის, რომ სახელმწიფო მცირერიცხოვანი ჯარის შენახვასა და შეიარაღებაზე შემოსავლის ძალიან მცირე ნაწილს ხარჯავდა, ხოლო დანარჩენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ახმარდა. წინასწარმ-ეტყველურად უღერს ილიას სიტყვები იმის თაობაზე, რომ „ამერიკა მხედრობით გატაცებულს ვროპას კიდევ უფრო დასცემს ეკონომიუ-რად და მსოფლიო მემკვიდრეობასაც დაიმკვიდრებს“.³

ვროპაში გამეფებული ძალადობის პოლიტიკის მრავლისმეტყველ მაგალითად მიიჩნევს წმ. ილია მართალი ინგლისის დამოკიდებულებას მეზობელ ირლანდიასთან. აღსანიშნავია, რომ ამ დამოკიდებულებას სა-თავე რომის პაპმა, შთამომავლობით ინგლისელმა, ადრიანე IV-ემ, დაუ-დო, რომელმაც 1154 წელს ინგლისის მეფეს ჰენრის IV-ს, ირლანდია, რომელიც რომის ეპარქიად ითვლებოდა, თითქოს მისი საკუთრება ყო-ფილიყო, აჩუქა. 1154 წლიდან 1649 წლამდე ირლანდია, დიდი წინააღ-მდეგობის ფასად, ინგლისის მიერ სრულ დაპყრობას ბევრჯერ გადაუ-რჩა. 1648 წელს ქვეყნა კრომელმა დაამარცხა და დამარცხებულთა მიმართ ისეთი სისასტიკე გამოიჩინა, რომ თავზარი დასცა. მან ხალხი მშობლიური მიწა-წყლიდან აყარა და უცხო მხარეებში გადასახლა, ხოლო მრავალი ირლანდიელი ინდოეთში გაყიდა. 1800 წელს ინგლისმა ირლანდია სრულიად დაიმორჩილა და შეიერთა და პარლამენტიცა და საერთოდ, თვითმმართველობის ყველა ნიშან-წყალი, გაუუქმა. კიდევ უფრო ძვირად დაუჯდათ ირლანდიელებს კათოლიკური რწმენის ერთ-გულება. მათ თანდათანობით ჩამოართვეს მიწა-წყალი და ინგლისელსა და შოტლანდიელ პროტესტანტ ლორდებს დაურიგეს. ბოლოს საქმე იქამდე მოვიდა, რომ ირლანდიელებს სასკოლო განათლებასთან დაკავ-შირებული, „ერთი შშვენიერი ჩვეულება“ — როგორც ილია უწოდებს, ბავშვების ღია ცის ქვეშ, ზის ძირას, ან სადმე ლამაზ მდელოზე გან-სწავლა — აუკრძალეს. ეს 1830 წელს მოხდა.

მეზობელი ქვეყნისაგან ირლანდიელების გაუმართლებელ ჩაგვრას ზედ დაერთო ბენების რისხვაც: ზედიზედ სამი წლის განმავლობაში მოუსავლიანობა კარტოფილისა, რომლითაც მიწებწართმეული ხალხი სულს იბრუნებდა. ამ მოვლენამ მის დიდ ნაწილს სამშობლოს დატო-ვება და ბედის სხვაგან ძებნა აიძულა. 1841-1861 წლებში ორ მილიონზე მეტმა ირლანდიელმა აშშ-ს მიაშურა. გახიზნულებმა ყველას დაუმტ-კიცეს, რომ მათი უბედურების მიზეზი თვითონ ერის ბუნება კი არ იყო,

³ იქვე, გვ. 56.

როგორც ამას ინგლისელები ამტკიცებდნენ და დღესაც გაერცელებულია, კერძოდ, რომ ირლანდიელები ლოთები, მცონარები, წინდაუხედავნი, მფლანგველნი, ბედოვლათები, უმეცარნი არიან, არამედ, როგორც ილია წერს: „იგი არისტოკრატიული წესი მიწათმფლობელობისა, რომელიც ინგლისმა შეიტანა ირლანდიაში და რომელმაც გლეხობას ხელიდამ გამოაცალა მამული და შმრალზე დასვა“⁴ და ირლანდიელთა მიმართ თანაგრძნობით განმსჭვალული სკამს კითხვას: თუკი ამ ხალხის უბედურების მიხეზი ზემოთჩამოთვლილი თვისებები იყო, როგორ მოახერხეს და შეძლეს უქარებმა და ლოთებმა 17 წლის განმაჟლობაში ირლანდიაში დარჩენილი თანამემამულებისთვის ამერიკიდან სამასოცდახუთი მიღლიონი ფრანკის გაგზავნა.

მძლავრისაგან ყველა დაჩაგრულისა და დაბქჩავებულის თანამლმობსა და მოსარჩლეს არც ის უსამართლობა გამორჩენია მხედველობიდან, რომლითაც ინგლისი ვროპის ერთ პატარა ქვეყანას — პორტუგალიას, მოექცა. კერძოდ, როცა ვროპის „დიდმა სტატებმა გერმანიამ და ინგლისმა თავიანთი ხარბი თვალი აფრიკას მიჰმართეს“ და მისი ადგილების მისაკუთრება დაიწყეს, მათ შორის ერთი იმისთანა ადგილიც მოხვდა, რომელიც „ძველადვე ჰქონდა დაჭერილი“ პორტუგალიას. ინტერესთა შეჯახების შედეგად პორტუგალიამ სადაო საკითხთა გადასაჭრელად სამართალის გამოყენება კრძალვით ითხოვა: სამართალი ხომ აქ არის, ამოგარჩიოთ შუა კაცები (თანამედროვე ტერმინოლოგიით — კომისია) და ვისაც აკუთვნებენ, იმ ქვეყანას აკუთვნონ. ახლა ისევ ილიას კომენტარს მოუშემინოთ:

„ნეტა ღონიერი და ძლიერი ინგლისი რად იკადრებდა სამართალს, როცა მოპირისპირედ უღონო და პატარა პორტუგალია უდგა. საცა ერთის მხრით პირდაღებული ვეშაპია და მეორეს მხრით — მობუზული კრავი, იქ, ქხლანდელს დროში, სამართალს დაეკითხებადა ვინმე? განათლებულმა ინგლისმა ეს იუარა და შეუთვალა, ხელი აიღე, თორუებ მიწასთან გაგასწორებო. „ძალა შესწევს ქადილისა“ და საწყალმა პორტუგალიამაც ხმა გაქმინდა“⁵.

სამაგიეროდ, წმ. ილია მართალი აღფრთვანებულია ეროვნული თავმოყვარეობისა და ღირსების გრძნობით, რომელიც პორტუგალიის მკვიდრთ აღმოაჩნდათ. მათ ხელი ინგლისთან სხვაგვარი ომისათვის გამოიდეს: თუ ხმლით ვერას დავაკლებთ, ჯიბეს ხომ ცოტად თუ ბევრად მოვაჭრითო, — სთქვეს და ყოველივე აღებ-მიცემობა, სავაჭრო ურთიერთობა ინგლისთან გაწყვიტეს. ინგლისელები, რომელნიც მათ

⁴ იქვე. გვ. 34.

⁵ გვ. 58-59.

ქვეყანაში მსახურობდნენ, სამუშაოებიდან დაითხოვეს, ხოლო ლონ-დონში განათლების მისაღებად გაგზავნილი შვილები უკან დააბრუნეს.


ილია შენატრის ერის მიერ ამ გზით გამოჩენილ თავმოყვარეობას და ლირსებას და ერთგვარ მაგალითად უსახავს თავის ქვეყანას, როცა წერს: „ძლიერია ერი, რაც უნდა პატარა იყოს, როცა მამულიშვილობა, თავისი ქვეყნის სიყვარული ასე ამხნევებს, ასე ამოქმედებს, როცა უბედურება რამ, განსაცდელი რამ, გულზე ხელს კი არ აკრებინებს, როგორც იმედგადაწყვეტილს, სასოებადაკარგულს, არამედ იმოდენად ძლიერ აღვიძებს, ძლიერ მისძრავ-მოსძრავს, რამდენადაც ძლიერია თვით მის თავზე მოსული უბედურება და განსაცდელი“.⁶

მიუხედავად ამისა, ქვეყნად სამართლიანობის დამკვიდრებისათვის თვედაღებულ მებრძოლს მხედველობიდან აფრიკის იმ მხარის მიმართ, რომელიც ეპყრი და რომელსაც ინგლისი ედავებოდა, არც პორტუგალიის უსამართლობა გამორჩენია. „სამართალიო, იძახის პორტუგალია, ქვეყანაზე რომ სამართალი იყოს, ინგლისსაც პირში ჩალას გამოავლებდა და პორტუგალიასაც, საიდამაც მოსულხართ, იქავ წადითო, თქვენ იქ ხელი არა გაქვთ, იქაური პატრონები — იქაურივე მკვიდრნი არიან და თქვენ რაზე შესჩენიხართ ჭიასავით, მაგრამ სად არის ეს სამართალი? იგი თვალწინ ლამპარსავით უნთია ადამიანს მარტო იმ დრომდე, ვიდრე გახელებული ძალა არ მოვა და ერთის შებერვით არ ჩააქრობს ხოლმე“.⁷

საინტერესოა, რომ ეს დედა აზრი წერილისა — ნატვრა სრული სამართლიანობისა, და იმავდროულად გააზრება იმისა, რომ მატერიალურ სამყაროში მისი არსებობა შეუძლებელია, წერილის სათაურშივეა გამოტანილი „ევროპის დიდი და პატარა ონავრები“ (დაწერილია 1890 წელს, 20 იანვარი). სიტყვა ონავარი, როგორც ვიცით, ფრინველებთან მიმართებაში მტაცებელსა და თავდამსხმელს ნიშნავს, ხოლო ადამიანებთან, განსაკუთრებით ბავშვებთან, მიმართებაში ცელქისა და ანცის იგივეობრივი მნიშვნელობა აქვს. არა გვევნია ეს სათაური ავტორის მიერ გაუაზრებლად იყოს შერჩეული. მართლაც, ყრმის გონიერა უნდა ჰქონდეს ცალკეულ ადამიანსაც და ერსაც, ზნეობრივი იდეალებისა და მათი სამსახურით მოპოვებულ მარადიულ ცხოვრებას, უზნეობით მოპოვებული და ისიც კვამლივით წარმავალი ამაო დიდება ამჯობინოს და აღიძრას იმავ მიწისთვის (და აქ მიწაში საერთოდ ამქვეყნიური ძალაუფლება და სიმდიდრე იგულისხმება), რადაც დღეს თუ ხვალ თვითონვე უნდა იქცეს.

⁶ გვ. 59-60.

⁷ გვ. 60.



გულგაათ რცხილაპი

ვიზალიბერალიზაცია ანუ ევროპული საპრინციპო ქართველებისთვის

საქართველოში ბოლო წლებში აშკარა გახდა ხალხის საკმაოდ დიდი ნაწილის იმედგაცრუება დასავლეთის მიმართ. ამ განწყობების ცვლილებას თავისი მიზეზები აქვს. ასევე უძინებო არ არის ის გარემოება, რომ ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიების, მასმედიისა და არასამთავრობო სექტორის უდიდეს ნაწილზე ეს ცვლილებები თითქმის არ აისახა და აღნიშნული სოციალური კატეგორიების წარმომადგენლები კვლავინდებურად რელიგიური აღტაცებით საუბრობენ „დასავლეთისკენ მიმავალ ურყმე კურსზე“. მაგრამ აშკარაა, რომ დღევანდელი ვითარება, საზოგადოებრივი აზრის თვალსაზრისით, ბევრად განსხვავდება წინა წლებისა და ათწლეულებისაგან — დასავლეთის იმიჯი დღესდღეობით სერიოზულად შერყეულია საქართველოში.

საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც დასავლეთისადმი კრიტიკულად და, ზოგ შემთხვევაში, მტრულადაც განეწყო, დასავლეთში ძირითადად მოიაზრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს — ნატოს, რომლებმაც საქართველოს უბიძებეს რუსეთან კონფლიქტისაკენ და ამ კონფლიქტში იგი მიატოვეს. ნატო აღიქმება რუსეთისადმი გამოწვევად და ზედმეტ თავის ტკივილად, სადაც „მაინც არ მიგიღებენ“. შეერთებული შტატები-სადმი იგივე პრეტენზიებია, თან ეს ზესახელმწიფო დიდი ხნის მანძილზე უჭერდა მხარს და დღესაც მფარველობს „ნაციონალებს“. დაახლოებით იგივე კრიტიკა ისმის ევროპის მიმართაც, თუმცა ევროპაში, შეერთებულ შტატებთან ერთად, ჩვენი საზოგადოების ბევრი წარმომადგენლი ხედავს ზნეობის დაცემას, „ლგბტ“-თემატიკის მხარდაჭერას და ტრადიციულ ფასეულობებთან ბრძოლას.

მაგრამ დასავლეთისადმი ამგვარად განწყობილ ადამიანებშიც ჯერ ბოლომდე არ გაფერმკრთალებულა დასავლეთის, კერძოდ კი, ევროპის სოციალურ-ეკონომიკური მიმზიდველობა. სახელმწიფო პროპაგანდა, ისევ და ისევ დასავლეთიდან მხარდაჭერილი, შედარებით ეფექტურია ამ მიმართულებით — ნატოში ინტეგრაციაზე საუბარი უფრო მეტად იწვევს ადამიანების გაღიზიანებას, ვიდრე ევროკავშირში ინტეგრაციის პროპაგანდა, რადგან ევროპა „ვიზა-ლიბერალიზაციას“ გვპირდება, ეს კი, თავის მხრივ, ჩვენს საზოგადოებაში შინაგანად აღიქმება, როგორც დუხშირი ცხოვრებისგან თავის დაღწევის გზა და ევროპული ცხოვრების დონის მეტ-ნაკლებად გაღმოტანა ქართულ რეალობაში ან, ბოლოს და ბოლოს, უმუშევარი საქართველოდან ევროპაში სამუშაოდ გადაბარება.

რეალურად რომ შევხედოთ ვითარებას, საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ძალზე ძლიერია საბჭოთა კავშირის ალტერნატივის პოვნის სურვილი — რომელიმე ცენტრისა, რომელიც საქართველოს შეიფარებდა და ისევე უზრუნველყოფდა მას თითქმის მუქთა ცხოვრებით, როგორც ამას საბჭოთა ცენტრი აკეთებდა. ოღონდ ახლა ქართველობას იგივე უნდოდა დამოუკიდებლობის საკუთარი ატრიბუტებით და ასეთ ცენტრად, პირველ ყოვლისა, იმთავითვე ევროპა (შემდგომში — ევროკავშირი) მოიაზრებოდა. ობიექტურობისათვის უნდა ითქვას, რომ ასეთი ლტოლვის ნიშნები პოსტკომუნისტურ სივრცეზე — ყოფილი ვარშავის პაქტის ქვეყნებშიც (მაგალითად, რუმინეთი, ბულგარეთი) გამოკვეთილია, მაგრამ საქართველოსთან შედარებით უფრო ნაკლებად.

ეს არც უნდა გაგვიკვირდეს და საამისო მიზეზები ნაკლებად უნდა ვეძებოთ „ქართულ ხასიათში“ (რითაც ასე გვიყვარს ქართველებს თვითგვემა), არამედ უფრო იმ გარემოებაში, რომ საბჭოთა კავშირში საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონემ არნახულ სიმაღლებს მიაღწია. თამარ მეფის ეპოქის შემდეგ საქართველოს არასოდეს უცხოვრია იმგვარი ეკონომიკური დოკლათის პირობებში, როგორც საბჭოთა კავშირში. ჩვენი ქვეყანა საუკუნეების მანძილზე იმყოფებოდა მუდმივ ომებში, გაჭირვებაში და უპერსპექტივობაში. ქვეყანამ მშვიდობა პპოვა, კვლავ გაერთიანდა და სული მოითქვა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველო შეოლოდ გვიანდელი სტალინის ეპოქისა და შემდგომი ათწლეულების საბჭოეთში ავიდა ხარისხობოდა ახალ სიმაღლეზე (იგივე ითქმის მეცნიერებაზე,

კულტურაზე, ხელოვნებაზე და სხვ.). როგორც ჩემმა კოლეგამ და მეგობარმა გოჩა გვასალიამ აღნიშნა თავის ერთ-ერთ შესანიშნავ ანალიზში, საბჭოთა კავშირის პირობებში „ქართველი პირდაპირ ქერის ორმოში ჩავარდა“. ამიტომ არც უნდა გაგვიკვირდეს, რომ 1991-1992 წლებიდან მოყოლებული, ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა და შემდგომი სიღუწეჭირე ქართველებისათვის სოციალურ-ეკონომიკურთან ერთად, უდიდესი ძორალური დარტყმაც იყო. სწორედ ამ მორალურმა დარტყმამ წარმოშვა ახალი, მდიდარი და ხელგაშლილი ცენტრის პოვნის წყურვილი.

საბჭოთა კავშირის ცხოვრების დონისადმი ნოსტალგიის პროექცირება მოხდა ევროკავშირზე (სადაც არის მდიდარი ცენტრი, რომელიც შედარებით ღარიბ ქვეყნებს „ეხმარება“). მართალია, ევროკავშირიც ისე მომხიბლავად არ გამოიყურება დღეს, როგორც უწინ, და ხალხში ბევრი ისევ უშუალოდ საბჭოთა კავშირის ნოსტალგიას აჰევა, მაგრამ ქართულმა ბიუროკრატიამ ნამდვილად ჰპოვა თავისი „ახალი საბჭოთა კავშირი“ ევრობიუროკრატიის სახით, რომელიც ქართულ ბიუროკრატიას სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში დახმარებას უწევს და, ფაქტობრივად, თავის სხეულზე ჰყავს მიბმული (შეერთებული შტატების მხრიდან ამ პროცესის პოლიტიკური კონტროლის პირობებში).

სწორედ ამ ბიუროკრატიამ იზეიმა „შალახოს“ ფონზე ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების დადება. „ასოცირებით“ ხალხს ბევრ სიკეთებებს ჰპირდებოდა ბიუროკრატია, მაგრამ რეალურად უკვე წელიწადნახევარზე მეტი გავიდა ამ მომენტიდან და ვერც ერთი ეკონომისტი ვერ დაგვისახელებს რაიმე პოზიტიურ ცვლილებას ჩვენს ეკონომიკაში, რომელიც ასოცირების ხელშეკრულებამ მოიტანა.

პოლონეთის რადიკალურად ანტირუსული და სააკაშვილთან „ჩახუტებული“ კაჩინსკის ხელისუფლების მიერ 2008 წელს ევროკავშირში ინიცირებულ იქნა ე. წ. „აღმოსავლური პარტნიორობა“, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ექვს სახელმწიფოსთან (აზერბაიჯანი, ბელორუსია, მოლდავეთი, საქართველო, სომხეთი და უკრაინა) ურთიერთობების გაძლიერებასა და ინტეგრაციას აცხადებს თავის მთავარ მიზნად. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ამ პროექტში საქართველოს მონაწილეობა კიდევ უფრო უფექტური და უსარგებლო აღმოჩნდა, ვიდრე ასოცირების ხელშეკრულება. „აღმოსავლური პარტნიორობის“ ფარგლებში ინტეგრაციის უმ-

თავრეს წინაპირობად გამოცხადებულია აღნიშნულ ექვს სახელმწიფოში დემოკრატიის განვითარება, მაგრამ სწორედ 2008 წლიდან სააკაშვილის ხელისუფლებამ კიდევ უფრო დაამძიმა ისედაც მძიმე ვითარება ადამიანის უფლებების სფეროში. აგვისტოს ომის შემდგომ რეჟიმს ხელ-ფეხი გაეხსნა ჯაშუმობის ბრალდებით პოლიტიკური ოპონენტების დევნის გასაძლიერებლად. რეჟიმი ახდენდა ამბოხისა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობების ინსცენირებას, შედეგად კი კრიტიკულად მოაზროვნე სამხედროებს და ოპოზიციონერებს უსწორდებოდა. საზოგადოებამ შემდგომში იხილა ყოფილი შეს მინისტრის ვანო მერაბიშვილის უშუალო მონაწილეობა ამგვარ ამაზრზენ სპექტაკლებში, როდესაც იგი ამბობდა — „ორი გვამი მჭირდება“. ევროპელები ყოველივე ამას თვალს აღევნებდნენ, ისევე, როგორც 2011 წლის 26 მაისის მიტინგის უსასტიკეს დარბევას. თვალს აღევნებდნენ, მაგრამ სდუმდნენ. სამაგიეროდ, შანსს არ უშვებდნენ ხელიდან, რომ გაეკრიტიკებინათ და სხვადასხვა პროვოკაციები მოეწყოთ ბელარუსის პრეზიდენტის, ალექსანდრე ლუკაშენკოს მიმართ. ლუკაშენკოს ბევრად უფრო მცირე დარღვევებსაც არ პატიობდნენ თვალთმაქცი ევროპელი ვაი-დემოკრატები, ხოლო სააკაშვილის რეჟიმს მკვლელობები, ციხეში გაუპატიურებები და კიდევ ათასგვარი უბედურების განხორციელება დაუსჯელად გასდიოდა. მიზეზი ცხადია: ლუკაშენკო დამოუკიდებელი ფიგურაა, სააკაშვილი კი — ვაშინგტონის მონა და ბრიუსელის ლაქია.

„აღმოსავლურმა პარტნიორობამ“, საკუთარი დეკლარირებული მიზნების საწინააღმდეგოდ, არც ეკონომიკური ინტეგრაცია და არც თავისუფალი ვაჭრობის ზონების შექმნა მოიტანა, ხოლო საქართველოს ხელისუფლება ანგარიშვალდებულია ევროჩინოვნიკების წინაშე, საქართველოს ენერგეტიკულ პროექტებთან დაკავშირებით. ერთადერთი, „აღმოსავლური პარტნიორობის“ მიზნებიდან, თითქოს ვიზების ლიბერალიზაციას მივაღწიეთ. ეს ფაქტი იმდენად მნიშვნელოვნად საღდება, რომ სწორედ ამ „მიზნების“ ფონზე გადადგა პრემიერის პოსტიდან ირაკლი ლარიბაშვილი, რომელმაც ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია თავის მოღვაწეობაში წარმატებების ზენიტად მიიჩნია.

ევროკავშირის ე. წ. შენგენის ზონაში თავისუფალი, უვიზო გადააღვილება ნამდვილად არ იქნება ცუდი ფაქტი, თუმცა ქართულ საზოგადოებას არ უხსნიან, რომ ეს ლიბერალიზაცია, თუკი იგი ძალაში შევა, არასგზით არ იძლევა ევროკავშირის ტერიტორიაზე

დასაქმების საშუალებას. ევროკავშირი არც იმას დაუშვებს, რომ საქართველოს მოქალაქეები არალეგალურად იქნან დასაქმებულნი. არსებობს ისრაელის მაგალითი: ისრაელმა უკვე ორიოდე წელია, გააუქმა სავიზო რეჟიმი საქართველოსთან, მაგრამ ისრაელიდან დეპორტირებული ქართველების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა სწორედ ვიზების გაუქმების შემდეგ. ასევე მოხდება ევროკავშირის შემთხვევაშიც — ევროპაში გაურკვეველი წარმომავლობის ქალების გაუპატიურებაზე, ძარცვა-ყაჩაღობასა და სხვა მძიმე დანაშაულებებზე დახელოვნებულ სუბიექტებს უფრო მიიღებენ, თანაც ძალიან დიდი რაოდენობით, ვიდრე სამუშაოს ძებნაში დატანჯულ ქართველებს. ასეთი ირაციონალურია დღეს ევროპა — ეს არის ფაქტი, რომელსაც ვერსად გავექცევთ.

მაგალითები: გერმანული გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ“ (18.01.2016) გვაუწევებს, რომ გერმანიაში 7 ათასზე მეტი უკრაინელი ელის თავშესაფარს. ეს ხალხი უკრაინიდან ომს და ამ უსამართლო ომში ჯარში გაწვევის ვალდებულებას გამოექცა. მათ, ვინც უკრაინაში უარს აცხადებენ ჯარში წასვლაზე, სახელმწიფო „მოღალატეებად“ აცხადებს და პატიმრობას უსჯის. გარდა ამისა, მათი ოჯახის წევრებზე ხორციელდება ზეწოლა სხვადასხვა ექსტრემისტური ორგანიზაციის მხრიდან. მაგრამ გერმანია ამ გარემოებებს საკმარის საფუძვლად არ მიიჩნევს, რათა თავშესაფარი მისცეს უკრაინელ დევნილებს., „სულ უფრო და უფრო ძეგლი უკრაინელი დებულობს უარს თავშესაფრის მოთხოვნაზე... გერმანიაში დევნილთა თემაზე დღესდღეობით წარმოებული დებატების შედეგად, ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდება. კონსერვატორი პოლიტიკოსები მოითხოვენ, რომ უკრაინა გამოცხადდეს უსაფრთხო ქვეყნად, საიდანაც ლტოლვილებს არ მიიღებენ. ... ამას ემატება ისიც, რომ ომი, როგორც ასეთი, თავშესაფრის მოთხოვნის საფუძველს არ წარმოადგენს“, — წერს გერმანული გაზეთი.

ახლა დავფიქრდეთ, თუკი ევროპის კონტინენტზე მდებარე უკრაინა, თავისი საკმაოდ მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, ევროპული მენტალიტეტის მქონე ხალხით, ასე მიუღებელია ევროკავშირის უმთავრესი სახელმწიფო გერმანიისათვის, რისი იმედი უნდა ჰქონდეს აზის კონტინენტზე მდებარე, ნაკლებად განვითარებულ საქართველოს? ვინ ელის ჩვენს მოქალაქეებს ევროპაში? სამწუხაროდ, ქართულ მასედიაში იშვიათად აშუქებენ ევროპიდან ქართველების დამამცირებელი გამოძევების ფაქტებს, არადა,

სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები უხვად მოიპოვება. აუცილებელია, ხალხს სრული სიმართლე ეუთხრათ, რათა შემდგომი იმედგაცრუება ცუდად არ შემოუბრუნდეს ჩვენი სახელმწიფოს სტაბილურობას.

P.S.

აქვე გაცნობებთ ერთი ახალი ფილმის შესახებ.

ევრაზის ინსტიტუტის მიერ მომზადდა და ინტერნეტის საშუალებით გავრცელდა დოკუმენტური ფილმი, სახელწოდებით „გურჯისტანის ვილაიეთი“, რომელშიც განხილულია სირიის მოვლენების გამომწვევი მიზეზები, თურქეთის საგარეო პოლიტიკა და, ამასთან დაკავშირებით, საქართველოსათვის არსებული ისლამისტური საფრთხე. ფილმი დასათაურებულია „გურჯისტანის ვილაიეთად“, რადგან ე. წ. ისლამურმა სახელმწიფომ საქართველო თავის ერთ-ერთ ვილაიეთად, ანუ პროვინციად გამოაცხადა. გარდა ამისა, კეთდება მინიშნება, რომ საქართველო ისტორიულად ოსმალეთის იმპერიის აგრესიას განიცდიდა.

ფილმი საათი და თორმეტი წუთიანია და მისი ნახვა შეიძლება „იუთუბზე“ — youtube.com, თუკი საძიებო სისტემაში ჩავწერთ სიტყვათწყობას: „გურჯისტანის ვილაიეთი (დოკუმენტური ფილმი)“.

ფილმის სიუჟეტი აგებულია დოკუმენტურ კადრებზე და კადრსმიღმა ავტორისეულ კომენტარზე, შუალედებში კი სპეციალურად ამ ფილმისათვის ჩაწერილი ქართველი პოლიტოლოგებისა და პოლიტიკოსების შეფასებებია გადმოცემული.


სიუჟეტი იწყება სირიაში განვითარებული მოვლენების მოკლე მიმოხილვით, სირიის ქრისტიანული მოსახლეობის მდგომარეობის წარმოჩენით. ფილმში დოკუმენტურ კადრებზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ პრეზიდენტი ასადი, რომელსაც დასავლეთი ბრალს ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევაში სდებს და მის გადადომას მოითხოვს, სირიის უმცირესობების — ქრისტიანების, ასევე შიიტი მუსლიმებისა და ქურთული მოსახლეობის უსაფრთხოების გარანტია. მეტიც, ასადის გადადომის შემთხვევაში საფრთხე ექმნებათ სუნიტური ისლამის მიმდევარი მოსახლეობის უმეტესობასაც, რომელთაც არ სურთ რადიკალურად ვაპაბისტური და ტერორისტული „ისლამური სახელმწიფოს“ დიქტატურის ქვეშ ცხოვრება.

შემდგომ, ფილმში განხილულია ტერორისტების მთავარი სპონსორების — საუდის არაბეთისა და თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკა რეგიონში, განსაკუთრებით კი საქართველოსთან მიმართებაში.

უკვე საქმაო ხანია, რაც საქართველოდან წასული ისლამისტების თურქეთის სპეცსამსახურებთან კავშირის ფაქტი ვეღარ მაღავს თავს. თურქეთი კი, არა მარტო სირიაში, არამედ საქართველოშიც უწყობს ხელს რადიკალურად განწყობილი ისლამის გაძლიერებას, რის საფუძველსაც პირველ ეტაპზე საქართველოში მეჩეთების, მედრესეების, ასევე გარგვეული კატეგორიის საერო სკოლების უკონტროლო შშენებლობები წარმოადგენს. განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ არის ამ მხრივ აჭარა და სამცხე, რადგან ამ ტერიტორიებს თურქეთი თავის ისტორიულ ნაწილად განიხილავს.

თავიანთი კომენტარებითა და ანალიზით ფილმი გაამდიდრეს პოლიტოლოგებმა, ისტორიკოსებმა და პოლიტიკოსებმა: პამლეტ ჭიპაშვილმა, გოგი თოფაძემ, გიორგი ოთხმეზურმა, ლევან ჩაჩუამ, დავით გოგიშვილმა, გიგლა ბარამიძემ, ხოლო ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციებიდან რუსთავის მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) ისაუბრა.





თინა იველაპვილი

„უხა“ — გამოცხვარი პურის
ერთი სახეობის სახელფოდება

Չոլողի դարձնեմ, հաջգան ամ ողորմված մեռլոց և մեմետո ոյցշրուրյեծ, մասն հոգեսաց ամ և անու էպշը ամ թյիբոլոցօս անու արայրո վզեյանած աշեմծի դա դզեսաց աշեմծի.

Եղուժաք աղոլուս մոտույթօս մոխ գամեացյօս թյիբոլոցօս այստօս: „Խլեբ-լավաշ – это название тонкой пресной лепешки, из белой муки. Исторически с таким названием он распространен на Кавказе, в Турции, Иране, Средней Азии...ни одной из этих стран не дошли до такого абсурда чтобы присвоить изобретение лаваша исключительно своему этносу. Но вот армянская сторона в деле присвоения чужого по всему миру слишком вольготно себя чувствует....Этот вид хлеба в Армении готовится только в тендире. А в Азербайджане и в Турции кроме тендира готовится в печи и особенно на садже. Сам садж, который не используется армянами, является изобретением кочевников и важным атрибутом полевой кухни. В пути он очень практичен применении. Хлеб-лаваш изобретен не из за формы, или вкуса, а из за необходимости. Некоторые виды тонкого хлеба-лаваша в сухом виде могут не портиться неделиами и месяцами. Такой хлеб выгодно иметь при себе во время кочевий, или странствий. Стоит слегка увлажнить сухой хлеб-лаваш, и он готов к употреблению. Завернутый в такой хлеб сыр, творог, каймак, масло можно было употреблять не сходя с лошади....Обычно во время остановок в пути можно приготовить хлеб-лаваш на садже под открытым небом и сделать хлеба на несколько недель.“ մոխ մոտույթօս: «именно на садже готовится самая тонкая и вкусная лепешка, а не тендире. На садже также легко готовятся лаваша-подобные мучные изделия начинками на подобии кете, кутеби, гезлеме, гатлама-каттама, катмер и т. д. Сам раскатанный хлеб-лаваш в тюркском мире больше известен под названием *йуха*, *йука*, *йуйга*, *йүвә* *йүфка*, *жука*, *жупка* и т. п”(Алили, , 2-3).

օգո, մօտօնօլազ և լազածօն ֆյանյը արեցնյլ լլյիօզյը մասալաս, մօքս օմ գաշզնամք, բոմ:

“1. Тонкая пресная лепешка изготовленная из белой муки под названием лаваш, исторически распространен на Кавказе, в Турции, Иране, Средней Азии, Поволжье. В некоторых других странах Востока подобный хлеб имеет свой региональные названия. Уже только с этой причине все потуги армянской стороны

присваивать данное изделие исключительно к своей культуре вызывает недоумение.

2. Слово лаваш распространенное среди многих турецких языков является не сугубо называнием хлеба, а распространяется ко многим тонким, раскатанным, слоеным складчатым видам пищи, как мучных, так и не мучных изделий.

3. Сам хлеб-лаваш в тюркских языках имеет другое и аутентичное название в таких фонетических модификациях как *йуха*, *йухка*, *йуйга*, *йувга* *йуфжса*, *жука*, *жупка* и т. п., что отмечается еще в текстах древнетюркского периода и свидетельствует о практике приготовления тонко раскатанного хлеба среди древних тюрков.

4. Но даже при этом в армянской хлеб-лаваш изготавливается только в тендире. В Турции и Азербайджане кроме тендира готовится так же в печи и на выпуклой стороне саджа. Садж является отрицанием полевой кухни и является незаменимым практическим предметом во времена кочевий. Сам хлеб-лаваш тоже является изобретением кочевников, так как тонкий хлеб, изготовленный на выпуклой стороне саджа“[Алили, 10].



საჯ-ლავაში

რამდენადაც სომეხ და აზერბაიჯანელ მკვლევარებს შორის დამ-ოშებული პურის ეს სახეობები „უხა“ და სადავო ე. წ. „ლავაში“ ფართოდ იყო გავრცელებული სამცხე-ჯავახეთის მკვიდრ ქართველ მოსახლეობაში, ამდენად მიზანშეწონილად ვცანით ამ პრობლემას-თან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია დაგვეფიქსირებინა. ე. წ. „სომხ-ური ლავაში“ თავისი ფიზიკურის ტექნოლოგით ძალიან დიდ

სიახლოვეს ამჟღავნებს სამცხე-ჯავახეთში ფართოდ გავრცელებულ გამომცხარი პურის ისეთ სახეობასთან, როგორიცაა „უხა“. მოკლედ მიმოვისილოთ მისი დამზადების ტექნოლოგიის ქართული ვარიანტი.



უხის გამოცხობა საჯზე (აზერბაიჯანი).

XX ს-ნის 60-70-იან წლებამდე უხას დოლის ან დიკის (გამონაკლის შემთხვევაში ქერ-დიკის) ფქვილისაგან (პურის დედის, ანუ საფუარის გარეშე) მოზელილი მაგარი გაუფუვებელ-გაუღვივებელი ცომისაგან აცხობდნენ. ცომი საკმაოდ მაგარი და სქელი უნდა ყოფილიყო, თორქებ უხად, ანუ თხლად არ გაიშლებოდა. კარგად დაზელილ ცომს, დაახლოებით მუშტის სიდიდის ნაჭრებად, ამოაგუნდავებდნენ, თითოულს ხელახლა დაზელდნენ, მრგვალ ფორმას მისცემდნენ, ცოტა ხანს (4-5 წუთი) „თავის ასაღებად“ ასე დატოვებდნენ, შემდეგ კი დაიწყებდნენ უხის გაშლას. უხას ფეხშუმზე (ფეშუმი) ან მაგიდაზე, ვისაც როგორ ეხერხებოდა, უხლავის გამოყენებით სიფრიფანად, ძალიან თხლად შლიდნენ. დოლის ან დიკის ფქვილისაგან მოზელილი ცომი საკმაოდ ხასია, წევადია, ამიტომ ადვილი იყო მისგან უხლავით სიფრიფანა უხის დამზადება-გაშლა. უხლავი ხისგან მრგვლად გამოთლილი, დაახლოებით ერთი მეტრის სიგრძის ჯოხია, რომელიც შუა წელზე ოდნავ სქელია, ბოლოებში კი შედარებით წვრილი: „უხლავი — ხის იარაღი, ერთი მეტრის სიგრძისა, ხმარობენ ცომის გასაშლელად“ [ბერიძე, 1983: 126]. გაშლილ, ზომაზე გათხელებულ უხის ცომს უხლავის საშუალებით გახურებულ საჯზე გადააფარებდნენ, ცოტა ხანს აცლიდნენ და უხლავით ან ხელით მეორე პირზე გადააბრუნებდნენ. რემდენიმე წუთში ეს მხარეც შეცხვებოდა თუ არა, გადმოიღებდნენ და

ორად ან ოთხად გაკეცილს გაშლილი ტილოს ქვეშ ამოღებდნენ, რომ არ გამხმარიყო, არ „გაფხეჭილიყო.“ უხა სახელდახელოდ და ადვილად გამოსაცხობი იყო, თბილ-თბილს, სხვადასხვა მისა-ტანებელთან (ყველი, კარაქი, მაწონი, მწილი, ერბო, წვნიანი თუ მშრალი კერძები) ერთად ჭამდნენ. მას ერთი დღის სამყოფს თუ გა-მოაცხობდნენ. ფაქტობრივად, ეს იყო უღვივარი ცომისაგან გამომ-ცხვარი ჩვეულებრივი პური.

საჯი-საჭი — ეს იყო საგანგებოდ დამზადებული 50-60 სან-ტიმეტრის დიამეტრისა და 2-3 მილიმეტრის სისქის მქონე ოდნავ კონუსური, ქამა სოკოს გაშლილი ქუდის მსგავსი, ფორმის მქონე თუჯის მრგვალი ნაჭერი. უხის გამოცხობისას საჭის შიდა მხარეს (რომელიც ცეცხლის მხარეს ექცეოდა) ნაცრის სქელი ტალახით 0,2 სმ-ის სისქეზე გალესავდნენ-დაქულავდნენ და სამფეხზე-ზედად-გარზე, ან ორ-სამ სპეციალურად დაწყობილ (ზედადგარივით გამარ-თულ) ქვასა თუ აგურზე შემოდგამდნენ, ქვეშ კი ცეცხლს შეუნ-თებდნენ. იმისათვის, რომ გაეგოთ, საჭი გახურდა თუ არა, ზედა-პირზე თხლად ფქვილს მოაბნევდნენ. ფქვილი ოდნავ რომ შეწითლ-დებოდა, საჯი გახურებული იყო, ზედაპირიდან ფქვილს ტილოთი გადაწმენდნენ და გამოსაცხობად გაშლილ უხას გადააფარებდნენ.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, XIX საუკუნის 30-იან წლებში სამცხე-ჯავახეთში კომპაქტუ-რად შემოცხოვრებული სომხებისთვის საჯზე უხის ცხობის ტექნო-ლოგია და თვით ტერმინიც სრულიად უცნობი იყო.

გამოცხვარ უხას არა მარტო პურის სახით იყენებდნენ საკვებად, არამედ თითქმის ყველა ოჯახი მისგან ერიშტას, ანუ საკვებ ნახ-ევარფაბრიკატსაც საზამთროდ და საგაზაფხულოდ მარაგის სახით (საკმაოდ დიდი რაოდენობით) ამზადებდა. მისი მომზადება საკმა-ოდ შრომატევადი საქმე იყო (ცომის მოზელა, გაშლა, გამოცხობა, დაჭრა და ა. შ.), ამიტომ რამდენიმე ქალი ერთდროულად მუშაო-ბდა. გამოცხვარ უხას თბილ-თბილს სათითაოდ წვრილი მილი-ვით დაახვევდნენ და დანით რგოლებად დაჭრიდნენ. როცა ყველა უხას დაჭრიდნენ, ამ დაჭრილ მასას წინდაწინ გახურებულ და გამოგვილ-გამოსუფთავებულ ფურნეში გაშლილად შეყრიდნენ და ფურნის კარებს რკინის საფარებელს მიაფარებდნენ. აღროვებდნენ და, როცა მტვრევადი გახდებოდა, დაჭრილ რგოლებს ფურნიდან გამოიღებდნენ და გაცივების შემდეგ სუფთად შეინახავდნენ.

კერძის მომზადება შემდეგნაირად ხდებოდა: გამხმარ ერიშტას

საწურში (სვიზადში) ჩაყრილნენ, დაასხამდნენ მდუღარე წყალს ისე, რომ ყელა ნატეხი კარგად დასკელებულიყო, დამბალ ერიშტას დიდ ჯამში გადაიღებდნენ, გამდნარი კარაქიდან დამზადებულ ერბოს წა-მოადუღებდნენ და ცხელ-ცხელს მოასხამდნენ ერიშტაზე, კარგად აურევდნენ და კერძი საჭმელად შხად იყო.

მოტანილი მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ გამომცხვარი პურის ამ სახეობის სახელწოდება, რომელზედაც მეზობელი ქვეყნების მკვ-ლევარები ერთმანეთს ედავებიან, ფაქტობრივად არის არა ლავაში, არამედ თურქული უხა. მისი ცხობის ტექნოლოგია თავდაპირვე-ლი სახით და ნამდვილი სახელწოდებითაც დღემდე უცვლელადაა შემორჩენილი სამცხე-ჯავახეთის მკვიდრ ქართულ მოსახლეობაში.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ერთი შეკითხვა გვაქვს აზერბაი-ჯანელ კოლეგებთან: როგორ მოხდა, რომ სამცხე-ჯავახეთის ძირძ-ველმა მკვიდრმა ქართულმა მოსახლეობამ სხვა სახეობის პურის — ლავაშის თუ შოთის გვერდით დღემდე შემოინახა ულვივარი ცომისაგან გამომცხვარი პურის დამზადების ტექნოლოგია და მისი თავდაპირველი თურქული სახელწოდება — უხა, ხოლო აზერბაი-ჯანულ მოსახლეობაში ტერმინი უხა რატომ შეცვალა ლავაშმა?

სამწუხაროდ, ჩვენი დაუღევრობით თუ უყურადღებობით დღეს საქართველოს სავაჭრო ქსელებში ფართოდ შეტანილია გასაყიდად პურის ეს სახეობა სომხური ლავაშის სახელწოდებით. ფაქტო-ბრივად, იგი (თუნდაც დამზადების ტექნოლოგიით) არა სომხური ლავაში, არამედ თურქულ-აზერბაიჯანული უხაა.

როგორც მოტანილი მასალა გვიჩვენებს, სამცხე-ჯავახეთში შემორჩენილი ულვივარი ცომისაგან მომზადებული გამომცხვარი პური მომზადების ტექნოლოგიითა და თავდაპირველი თურქული სახელწოდებით — უხა, ყველაზე სრულყოფილი სახით არა თურქულენოვან აზერბაიჯანის, არამედ ამ რეგიონის მკვიდრ ქარ-თულ მოსახლეობაშია შემორჩენილი. ეს მოსახლეობა გამომცხვარი პურის ამ სახეობას ლავაშის სახელით არ იცნობს.

რაც შეეხება ლავაშს, სამცხე-ჯავახეთში მას აცხობდნენ, ძირითადად საახალწლოდ, მხოლოდ ფურნეში ხორბლის ან დიკის გამტკიცული ფქვილის „გაღვივებული“ (გაფუებული) ცომისაგან. ახალწლის დილით მეკვლეს ოჯახის წევრები და ხშირად საქონელ-იც კი ბაქმაზსა თუ თაფლში ამოვლებული ლავაშის ნატეხით „ტკ-ბილად უნდა დაებერებინა.“

ლავაში მოგრძო ფორმის (სიგრძით დაახლოებით 50-60 სმ,

სისქით 1-2 სმ, ხოლო სიგანით — 15-20 სმ) პური იყო. მოშადებულ ცომს მუჭის ზომაზე ამოაგუნდავებდნენ, კარგად დაზელდნენ და დამრგვალებულს რამდენიმე წუთს გააჩერებდნენ, რათა ცომს თავი აეღო. შემდეგ მას თითების მოძრაობით სიგრძივ გააბრტყელებდნენ (ნიჩის პირის სიგრძის შესაბამისად), გადაიტანდნენ ფურნის ნიჩა-ბზე და გახურებულ, ნაცრისაგან გამოსუფთავებულ ფურნეში სათი-თაოდ ფრთხილად შეაწყობდნენ. საერთოდ, საახალწლოდ რამდენ-იმე პირ (სახეობის) პურს აცხობდნენ, გახურებულ ფურნეში პირვე-ლად ლავაშს „შეყრიდნენ“ — „ლავაშს გამოატარებდნენ,“ შემდეგ შოთს, მერე კაკალა ან ჩაწეკილ პურს, ბოლოს კი სომინს.



ფურნეში გამომცხარი ლავაში (სამცხე-ჯავახეთი).

კახეთში ლავაში მრგვალი ფორმისა იცოდნენ. მას აცხობდნენ თონეში. კარგად გახურებულ თონეში ჯერ პურისათვის მოშადე-ბული გაფუუბული ცომისაგან მრგვლად გაბრტყელებულ (1-3 სან-ტიმეტრის სისქით) რამდენიმე ლავაშს ამოატარებდნენ — ჩააკრავდ-ნენ, მისი გამოცხობის შემდეგ კი — მოგრძო დედას პურებს, ანუ შოთი პურებს. ჯერ ისევ თბილ ლავაშს წასულების სახელზე წვერს წაატეხდნენ და გადააგდებდნენ, დარჩენილს კი სახელდახელოდ მი-ირთმევდნენ. ყველაზე არსებითი ლავაშთან დაკავშირებით ის არის, რომ იგი რიტუალური დანიშნულების პურია. ეთნოგრაფიული მა-სალებით დასტურდება, რომ ლავაშს მიცვალებულების სახელზე აცხობდნენ, თავის რიგზე ანუ ქელეხის დროს. იცოდნენ ლავაშის მკვდრის გულზე გადატეხვა და შემდეგ, სამწუხარო სერობის დაწ-ყების წინ სასაფლაოდან მობრუნებულებს, ამ ნატეხების ღვინოში ჩამბალი ლუკმით უმასპინძლდებოდნენ, გარდაცვალებულის სულის მოსახსენიებლად [ბარდაველიძე, 1953: 127].

აკად. გ. ჩიტაიას მითითებით, განსაკუთრებით აღმოსავლეთ სა-ქართველოში, „აცხობდნენ სხვადასხვა ფორმის პურს: მრგვალს (გ

ო მ ი ჯ ი), ოვალურს, თხელს (ლ ა ვ ა შ ი), გრძელს (შ ო თ ი) და ა. შ.“ [ჩიტაა, 2001: 152].

„სიტყვა „ლავაშ“ სპარსულია. იგი „გაბრტყელებულ“, თხელ პურს ნიშნავს. ამგვარი ფორმის პური, როგორც წინა აზიური კულტურის მონაპოვარი, ფართოდაა გავრცელებული მთელს წინააზიაში და, რა თქმა უნდა, კაგებისაშიც. ცნობილია სომხური, აზერბაიჯანული და ასირიული ლავაში და. ქართული ლავაში ორი ფორმითაა გავრცელებული: მრგვალი და ოვალური (მოგრძო), სისქით დაახლოებით 2-3 სმ-ია და აშკარად განსხვავდება სომხური, ხელზე გადასაკიდი „ბლინისებური“ ლავაშისაგან. ქართული ლავაში უწინარეს ყოვლისა გაფუქებული, ამოსული ცომისაგანაა, სომხური კი აუფუქებელი. მათ შორის საერთო მხოლოდ ის არის, რომ ორივე მათგანი თონეში ცხვება.... ქართული ლავაში თვითმყოფადი ეროვნული ფენომენია“ [გოცირიძე, 2007: 137-138], ისავე როგორც თურქულენოვანი მოსახლეობისთვის „უხა“.

სამცხე-ჯავახეთში სიტყვა ლავაში სხვა დანიშნულებითაც იხმარება დღემდე, კერძოდ, სიგრძის აღმნიშვნელად. მაგალითად, სარის ლობიოს ნედლი, დაუმწიფებელი ბეწვის პარკის სახელწოდებად. რაც შეეხება დაბალ, კუტ ლობიოს, მისი დაუმწიფებელი მარცვლების ბუდეზე მხოლოდ „პარკს“ ამბობენ. სარის ლობიოს მოსავალს თუ კარგი პირი უჩანს, მასზე იტყვიან „კარგი, მტკაველზე გრძელი ლავაში აყრია“-ო. ივ. ჯავახიშვილი ლობიოს ერთი სახეობის შესახებ აღნიშნავს: „დანამდვილებით ძნელი სათქმელია, თუ რას უნდა ნიშნავდეს „ლაბაშა ლობიო“იბადება აზრი „ლაბაშა“ ხომ „ლავაშა“-ს დიალექტური ფორმა არ არის?“ [ჯავახიშვილი, 1986: 64].

გარდა ამისა, დღესაც სიტყვა ლავაში ხშირად იხმარება გადატანითი მნიშვნელობითაც: როცა ერთი ადამიანი მეორეს გაშლილ ხელს სიგრძივ მეორეს სახეში გაარტყამს, იტყვიან „რა გემრიელად გაულავაშა“-ო. როცა ბავშვს ემუქრებიან, სიგრძივ გაშლილ ხელს აჩვენებენ და ეტყვიან — „ამ ლავაშს ხომ ხედავ“-ო. „ლავაშის ჭმევა — გარტყმა ლოფაში, ცემა. ნდლ. „იმ თავხედს, მეტი გზა არ იყო, თქვენი მოწონებული ლავაში ვაჭამე და ისიც გაჩუმდა,“ მიმსგავსებულია, გაშლილად მოქნეული ხელი საჭმელ ბრტყელ ლავაშს“ [სახოკია, 1979:351-352].

საერთოდ, თავსართი „ლავ“ კომპონენტის მონაწილეობა არაერთ სიტყვათა კომპოზიციაში გვხვდება. ასე მაგალითად:

ლავ-გარდანი — „1. შენობის კედელზე ან ჭერზე შემოვლე-

ბული არშია-კარნიზი. 2. კლდის თავზე გადმოშვერილი გაყინული თოვლი [ორბელიანი, 1955: 401]. „გრეხილი შენობისა, ან კედლის ძირი, რომელზედაც შეიკვრის კამარა“ [ჩუბინაშვილი, 1985: 639].

ლავგარდი — „1. ოთხკბილიანი რანდა; იღებს ოთხ ღარს; 2. ლავგარდიანი, ლავგარდით დამუშავებული ოთხლარიანი, ოთხნაწი-ბურიანი ფიცარი“ [ქართული დიალექტის ლექს., 1981: 262].

ლავიწი — „1. ადამიანის მორკალული თხელი ძვალი, რო-მელიც აერთიანებს მკერდის ძვალსა და ბეჭს. 2. პირუტყვისა და ფრინველის შიდა პირველი ნეკნი“ [ქ.ე.გ.ლ. 1986: 274]; „ყელის მრუდე ძვალი“ [ორბელიანი, 1955: 401].

ლავ-რა — „[ბერძ.] ზოგიერთი დიდი მამათა მონასტრის სახელ-წოდება, მთავარი მონასტერი, დიდი მონასტერი“ [აბულაძე, 1973: 207; ქ.ე.გ.ლ. 1986: 274].

ლავ-ა — „ვულკანიდან დედამიწის ზედაპირზე ამოფრქვეული დამდნარი მინერალური მასა“ [ქ.ე.გ.ლ. 1096: 274]. ვულკანიდან ამონთხეული გავარვარებული მასა, „რომელიც კრატერის ყელიდან მთელ სიგრძეზე ეშვება ლაბლობისაკენ. ამა თუ იმ საბადოს „ლავა“

— მაღაროებში მთლიანი სანგრევი ზოლი დიდი სიგრძისა (25-30 მ-იდან 200 მ-მდე)“ [უცხო სიტყვათა, 1973: 233].

ლავ-ანოსი — „მირონის სუნ(ნ)ელია“ [ორბელიანი, 1966: 401].

ლავ-აში — „ბრტყელი გრძელი პური“ [ორბელიანი, 1966: 401].

ლავლავა — „თხელი ქსოვილის ტანსაცმელი“ [ქრთული დი-ალექტის, 1981: 262].

ლავ-რინთო — „მთა კრეტას, შინაქვაბებიანი და მღვიმეოანი, ძნელ შესასვლელ-ამოსავლიანი“ [ორბელიანი, 1966: 401].

ლავ-ირება — „1. იალქნიანი გემის სვლა-ცურვა ისე, რომ ქარი ხამ ერთი მხრიდან უბერავდეს, ხან მეორედან; საერთოდ, გემის სვლა კურსის (მიმართულების) ხშირი ცვლით წყალქვეშა ქვების, თავთხ-ელების გვერდის ასაქცებად“ [უცხო სიტყვათა, 1973: 233].

ლავ-ანდა „[იტალ.] — ბუჩქი ან ბუჩქისნაირი ერთგვარი; ხარ-ობს სამხრეთის ქვეყნებში, შეიცავს ეთერზეთს, რომელსაც იყენებენ პარფიუმერიაში“ [უცხო სიტყვათა, 1973: 233].

ნიმუშების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ნათლად დავინახოთ, რომ ქართულ სი-ტყვეარებში მოცემული „ლავ“ ფუძიანი ტერმინების მიშენელობები არანაირად არ მიესადაგება მეზობელი ქვეყნების მკვლევართა მიერ მოცემულ განმარტებებს. ამავე დროს არსადაა მითითებული, რომ

რომელიმე სიტყვაში ფუძე **ლავ** უშუალოდ „კარგის“ ან „პურის“ მნიშვნელობითაა დატვირთული. ამ მონაცემებიდან გამომდინარე, არ შეიძლება პურის ამ სახეობის წარმომავლობა მხოლოდ და მხოლოდ ტერმინ „ლავაშის“ ეტიმოლოგიით აიხსნას. ასეთი საკითხის კვლევისას, პირველ რიგში, ყურადღება უნდა გამახვილდეს პურის მომზადების ტექნოლოგიაზე, გავრცელების არეალზე და ამ არეალში მცხოვრები ხალხების ეთნიკურ კუთვნილებაზე და, რა თქმა უნდა, ტერმინთა ეტიმოლოგიაზეც.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

1) საერთოდ, ქართული ლავაში დამზადებისა და ცხობის ტექნოლოგიით, თავისი რიტუალური დანიშნულებით თუ ფორმით, მეზობელი ხალხების იმავე სახელწოდების პურისაგან დიამეტრულად განსხვავდება.

2) საქართველოს ყველა კუთხეში, სადაც კი პურის ეს სახეობაა გავრცელებული, ლავაშს გაღვივებულ-გაფუქებული ცომისგან, სადაოდ ქცეულ ე. წ. ლავაშს კი გაუღვივებელი//უფუარი ცომისა-გან აცხობენ. აქედან გამომდინარე, მართებული იქნება, თუ მას თავისი ისტორიულად ნამდვილი თურქულებოვანი სახელი — „უხა“ აღუდება.

3) ქართული ლავაში შედარებით სქელია; მისი სისქე 1,5-2,5 სმ მაინც არის, ხოლო სომხურის — 0,2-0,3 სანტიმეტრია.

4) წარსულში საქართველოში ლავაში გარკვეულ დღეებში (საახალწლოდ, სააღდგომოდ, მიცვალებულის მოსახსენებელ სუფრაზე) ცხვებოდა როგორც სარიტუალო პური და არა როგორც ყოველ-დღიური საკვები. რაც შეეხება, მეზობელ ხალხებში გავრცელებული გამომცხვარი პურის ამ სახეობას, იგი ყოველდღიური კვების მენიუში შედიოდა და რიგ შემთხვევაში დღესაც შედის.

5) ე. წ. „სომხური ლავაში“ თავისი დამზადების ტექნოლოგიით (გაუღვივებელი მაგარი ცომი, მისი უხლავით გაშლა, ცხობის ტექნიკა, დანიშნულება და ა. შ.) არა ლავაშად, არამედ წარსულში სამხრეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული უხის ნაირსახეობად უნდა ჩაითვალოს. ამას გვათიქრებინებს არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც მცხოვრებ თურქულებოვან ხალხებში აღნიშნული პურის სახეობის ფართოდ გავრცელებული სახელწოდება: ყუხა, ყუკა, ყუყა (Древнотюркский словарь, 1969: 177-182).

6) მოტანილი მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ გამომცხვარი პურის ამ სახეობის, რომელზედაც მეზობელი ქვეყნების მკვლევარე-

ბი ერთმანეთს ედავებიან, ფაქტობრივად, სახელწოდება არის არა ლავაში, არამედ თურქული სახელი უხა. მისი ცხობის ტექნოლოგია თავდაპირველი სახით და ნამდვილი თურქულენოვანი სახელწოდებაც დღემდე უცვლელადაა შემორჩენილი მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის მკვიდრ ქართულ მოსახლეობაში.

7) საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული გამომცხარი პურის ამ სახეობის, უხის სახელდახელოდ მომზადების გადმოღებისა და დღემდე შემონახვის ფაქტი, მეზობელ ხალხებთან, თუნდაც მხოლოდ მესაქონლე-მოძაბარებთან, მჭიდრო და ახლო ურთიერთობაზე მეტყველებს. არ არის გამორიცხული, რომ ქართულ მოსახლეობას პურის ცხობის ეს უმარტივესი ხერხი XVII-XVIII საუკუნეებში აქ შემოსახლებული სხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხებისაგან შეეთვისებინა და გაჭირვების უამს, თუ ექსტრემალურ სიტუაციებში გამოეყენებინა. ამას გვაფიქრებინებს ადგილობრივ მოსახლეობაში დღემდე შემორჩენილი მათი სახელწოდებანი და ცხობის ტექნოლოგიებიც.

8) ადვილი შესაძლებელია, საზაფხულო საძოვრებზე წასულ ქართველ მუჟრნეს გამომცხარი პურის ეს სახეობა თავისი სახელწოდებითა და დამზადების ტექნოლოგიით მეზობელი თურქულენოვანი მოსახლეობისაგან გადაედო და თანდათანობით მისი ცხობის ტექნოლოგიაც გაეუმჯობესებინა [ხორბლის გაცრილ-გამტკიცული ფქვილი, საჯის დაქულვა, გამომცხარი უხისაგან ერიშტის დამზადება, ქადისათვის ცომის უხლავით უხის მსგავსად გათხელება და ა. შ.].

9) სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი ქართველებისათვის ადრეული ხანიდანვე ცნობილი იყო გაღვივებული ცომისაგან განსხვავებული ტექნოლოგიით ფურნებში (ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში — თონებში) გამომცხარი პურის სახეობა ძველი სპარსული სახელწოდებით „ლავაში“.

10) ფაქტია, რომ სომხებმა პურის ამ სახეობის ცხობის ტექნოლიგია თურქულენოვანი მოსახლეობისგან გადაიღეს, სახელწოდებად კი საქართველოში ფართოდ გავრცელებული და მყარად დამკვიდრებული ირანული ტერმინი აიღეს და UNESCO-ში, როგორც სომხური არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მონაპოვარი, ისე წარადგინეს.


11) გამომცხარი პურის ეს სახეობა რა სახელითაც არ უნდა მოვიხსენიოთ, მისი დამზადების ტექნოლოგია და სამცხე-ჯავახეთში დღემდე შემორჩენილი სახელწოდებაც გვიჩვენებს, რომ ის

თურქულენოვანი ხალხების კულტურულ მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს და UNESCO-ს არამატერიალური კულტურის ძეგლთა ნუსხაში არა სომხების, არამედ პირველ რიგში აზერბაიჯანელებისა და თურქების სახელით და „უხის“ სახელწოდებით უნდა შევიდეს.

უხის ცხობის ტექნოლოგიის აღწერისა და გავრცელების არეალის რუკის ჩვენებით, მათ სრული უფლება აქვთ UNESCO-ს წინაშე დასვან საკითხი, რომ პურის ეს სახეობა, თავისი თურქული სახელწოდებით და დამხადების ტექნოლოგიით, მსოფლიოს არა-მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში შევიდეს არა სომხეთის, არამედ როგორც თურქულენოვანი ხალხების (პირველ რიგში, თურქებისა და აზერბაიჯანელების) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ერთ-ერთი უძველესი ნიმუში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953.
3. ვ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1981.
4. ვ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში, თბ., 2007.
5. ვ. ზედგინიძე, ჯავახური ლექსიკონი, თბ., 2014.
6. თ. იველაშვილი, ხალხური სამზარეულო, თბ., 1991.
7. თ. სახოკია, ქართული ხალხური სიტყვა-თქმანი, თბ., 1979.
8. სულხან საბა ორბეგლიანი, ლექსიკონი ქართული, 1, თბ., 1966.
9. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთჭომეული, თბ., 1986.
10. ქართული დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1981.
11. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1972.
12. ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. 5, თბ., 1986.
13. ვ. ჩიტაია, შრომები, ტ. 4, თბ., 2001.
14. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.
15. Древнотюркский словарь, Ленинград, 1969.
16. Эльшад Алили, Об этнологии слова „лаваши“.



ნათელი არველაპი

თბატრისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხისათვის

პროფესიული თეატრის, როგორც სახელმწიფოს მონაპოვარის როლი და ადგილი კულტურის განვითარებისთვის, შესაბამისი სპეციალისტების მიერ უკვე განსაზღვრულია. თეატრის ისტორიის შესწავლის შედეგად, ჩამოყალიბებულია მისი მნიშვნელობაც სოციუმისა და სახელმწიფოს თანაცხოვრების პროცესისათვის. ასე გამოიკვეთა კიდეც თეატრი — სახელმწიფოსა და თეატრი — სოციუმის პრობლემა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა და ზოგჯერ დომინანტურ ფუნქციას იძენდა. ცივილიზაციის განვითარების კვალდაკვალ, იცვლებოდა ეს ურთიერთობაც, მაგრამ თეატრის როლი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ყოფისათვის, მაინც საგრძნობი გახლდათ.

ბუნებრივია, რომ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას კორექტივი შეჰქონდა ამ ურთიერთობათა განვითარებაში, მაგრამ თავად პრობლემა თეატრი — სახელმწიფო და თეატრი — სოციუმი არ მოხსნილა დღის წესრიგიდან. ისიც გასათვალისწინებელია, რომ საუკუნეთა მანძილზე თეატრი იყო ერთადერთი ვიზუალურ-ვერბალური და, ამდენად, უნივერსალური საშუალება სოციუმზე აქტიური ზემოქმედებისათვის. ყოველი ფორმაციის სახელმწიფო ეშურებოდა მასებზე ზემოქმედების საშუალებათა გამოყენებას, თუნდაც იდეოლოგიური ზეწოლის მომგებიანად „შეფუთვისათვის“.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება ახალი ეტაპი თეატრი — სახელმწიფოს ურთიერთობათა სისტემის რეგულირებისათვის. კინოხელოვნების, მასმედიის, ტელევიზიის ბუმის ეპოქაშ საგრძნობი კონკურენცია გაუწია თეატრს ინფორმაციის მიწოდება-გავრცელების

თვალსაზრისითაც. თანამედროვე ტექნიკურმა მიღწევებმა, კომპიუტ-ერული კომუნიკაციის ფორმებმა, ახალი რეალობის წინაშე დააყენა სასცენო ხელოვნებაც, სოციუმიც, სახელმწიფოც. მიუხედავად ასე-თი ძლიერი კონკურენციისა, თეატრი განაგრძობს არა მარტო არსებობას, არამედ ინარჩუნებს ერთგვარ პრიორიტეტსაც კი, როგორც მაყურებელზე ცოცხალი ზემოქმედების, ინფორმაციის პირდაპირი და ვიზუალური მიწოდების, უშუალო ზეგავლენისა და ორმხრივი კომუნიკაციის, ინტელექტუალურ-ემოციური საშუალება.

როგორც ცნობილია, ცოცხალი და უშუალო ზემოქმედება მაყურებელზე არის თეატრის უნიკალურობის ნიშანი, რომლის ამოქმედებასაც ასე ეშურება და თანაც უფრთხის ნებისმიერი სახელმწიფო. თანამედროვე ეპოქა მეტ-ნაკლები ძალით გამოხატავს ამ კანონზომიერებას, მით უფრო მაშინ, როდესაც თეატრი ცდილობს მაქსიმალურად შეასრულოს თავისი მისია — არა მარტო გაართოს მაყურებელი, არამედ შეაგონოს კიდეც. იდეალურ შემთხვევაში, როცა ეს პროცესი თანაფარდობით მიმდინარეობს, მაღალია ბილატ-ერული კომუნიკაციის პოტენციალი.

თეატრის განსაკუთრებულ დამსახურებად შეიძლება ჩათვალოს მისი ხელდრითი წონა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. თუკი კაცობრიობის განვითარების მრავალსაუკუნოვან გზას (ანტიკური ეპოქიდან დღემდე) განვიხილავთ, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესსაც, მაშინ სრულიად ნათელი ხდება, რაოდენად მნიშვნელოვანია ყოველი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის, მათ შორის თეატრის, როლი ამ მეტად საგულისხმო სისტემის არსებობისათვის.

თვის დროზე თეატრი დაწინაურდა სახელმწიფოებრივ ინსტიტუტთა შორის, ვინაიდან საკუთარი იდეოლოგიის დანერგვის მიზნით ხელოვნების გონებრივ-ემოციური სახეობის „გამოყენება“ მასებზე ზემოქმედებისთვის, სახელმწიფო პოლიტიკის შეფარული, მაგრამ უაღრესად ღირებული იარაღი აღმოჩნდა. გაარღვია რა ვიწრო, სპეციფიკური არეალის რკალი, თეატრმა სხვა ვიზუალურ, შემდგომ კი, ვიზუალურ-ვერბალურ ხელოვნებათა შორის, განსაკუთრებული ადგილი მოიპოვა სწორედ ბრეხტისეული ფორმულის შემწეობით: თეატრის მიზანია მაყურებლის დამოძღვრა გართობის საშუალებით, მასებზე უნივერსალური ზემოქმედების შემწეობით (მხედველობაში მაქს გონიო-გრძნობადი, ინტელექტუალურ-ემოციური, ცოცხალი, იმპროვიზირებული, იმაგდროულად, ბილატერული კომუნიკაცია).

თეატრმა ხელი შეუწყო სოციუმის ფორმირებასასაც, ადამიანთა თვითშეგნების ამაღლებასაც, საზოგადოებრივი თანაცხოვრების, გაწონასწორებული თანაცხოვრების ფორმათა ძიებასაც, ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბება-განმტკიცებასაც, ადამიანის საკუთარი თავის შეცნობასაც, სპეციფიკური ამოცანის გადაჭრასთან ერთად.

პარაბოლური, ენიგმატური, უშუალო ენობრივი სტრუქტურის შემწეობით, თეატრი მოძლრავდა სოციუმს, მაგრამ ამავე დროს — ხელისუფლებასაც. რაც უფრო ნიჭიერი და მოქალაქეობრივი თვითშეგნებით გამორჩეულია შემოქმედებითი გუნდი (მწერალი — თეატრი), მით უფრო ღრმა და მნიშვნელოვანია ის ხნული, რომელსაც გაავლებს ხოლმე თეატრი და რომელზეც უნდა ამოიზარდოს მაყურებლის „ასოციაციური ნაკადი“. ეს კი, თავისთვად ზრდის თეატრის პოტენციალს. ზოგჯერ პირდაპირი მინიშნების მეთოდსაც მიმართავს თეატრი, მაგრამ თუ ამ კერძო შემთხვევას ზოგადი, საყოველთაო, მასშტაბური ნიშანი არ ახლავს, მხოლოდ კალენდარული დროის ზერელე გააზრების ფაქტად შეიძლება მივიჩნიოთ. კერძო, ზოგადი მინიშნება იმ ღრმა ხნულის შემწეობითაც ხორციელდება, რომელსაც ავლებს დამდგმელი გუნდი მთელი სასცენო ქმედების მანძილზე.

ახლა თეატრის ისტორიის ერთ მაგალითს მოჟუხმობ, როგორც აღნიშნული საკითხის სასცენო ტრანსფორმაციის კლასიკურ ნიმუშს. ანტიკური ეპოქის ბერძნული თეატრი ამ თვალსაზრისითაც მეტად ღირებულია. ამჯერად სოფოკლეს ტრაგედიას („ოიდიპოს მეფე“) მხოლოდ ამ ნიშნით განვიხილავ. აღნიშნული ტრაგედია არაერთგზის გამხდარა ლიტერატორთა, ფილოსოფოსთა, რეჟისორთა, თეატრმცოდნეთა და სხვ. კვლევისა და შეფასების ობიექტი, ძალზე საგულისხმოა ფილოლოგთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგი, აგრეთვე, ფილოსოფოსთა და სხვა მეცნიერთა სტრუქტურული, ფენომენოლოგიური ანალიზი, ფსიქო-ანალიზიც. როგორც აღვნიშნე, ახლა მითითებული საკითხის წარმოჩენა-ანალიზია ჩემი ამოცანა.

რადგანაც ნებისმიერი ტექსტი გახსნილი მოცემულობაა და ყოველი ახალი წაკითხვის დროს ბუნებრივად ხდება „ტექსტის გაცოცხლება“ (ბარტი), დასაშვებია ყოველი ადამიანის (მათ შორის მეცნიერის) მიერ ახალ მოსაზრებათა აღნიშვნაც, თუნდაც საკამათო იყოს მისი პოზიცია. ამ ორი პრინციპის გათვალისწინებით გავუზიარებ მკითხველს ჩემს მოსაზრებას ტრაგედიის მიხედვით თეატრი — სოციუმისა და თეატრი — სახელმწიფოს ურთიერთობათა წარმოჩენის დროს.

უწინარესად აღვნიშნავ, რომ „ოიდიპოს მეფე“ მიმაჩნია ამჟამინდელი სამყაროსათვის, მით უფრო დღევანდელი ქართული სინამდვილისათვის, მეტისმეტად აქტუალურ ნაწამოებად. გამოვყოფ სოფოკლეს ორ პრინციპს: 1. ქალაქ-სახელმწიფოს მმართველის არჩევას პიროვნული თვისებების ნიშნით; 2. მმართველის პიროვნულ პასუხისმგებლობას დემოსის, ანუ ამომრჩეველთა წინაშე. ამიტომაც სარგებლობს ოიდიპოსი აფტორიტეტით, რაც გამოიხატა მის მიმართ დემოსის დამოკიდებულებით; თებელები შავი ჭირისაგან თავდახსნის მოთხოვნით მიმართავენ ოიდიპოსს, როგორც მათზე მზრუნველ ფიგურას. მან ხომ ერთხელ უკვე იხსნა თებე და, ამდენად, თებელები დმერთების გარდა, მასაც მიმართავენ, მისგანაც ელიან პასუხისმგებლობას აღსრულებას.

თეატრი ხომ თავისი არსით მებრძოლი, შემტევი, აქტიური ბუნებისაა. წარმოაჩენს რა იგი რეალობის წინააღმდეგობებს, ზოგჯერ უპირისპირდება მმართველი ელიტის პოზიციას, რადგანაც უმეტესად ცდილობს კლასიკურ დირექტულებათა განმტკიცებას. საგულისხმო ინფორმაციის ემოციურ-ინტელექტუალური ხარისხით მიწოდების უამს, იგი თანაშმრომლობს კიდეც სახელმწიფოსთან სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში. ამ თვალსაზრისით თეატრი ტრიბუნის სტატუსს იძენს. ამ საძირკველზე იყო წამომართული ათენის ქალაქ-სახელმწიფოს პოლიტიკური თეატრი. ასე გამოიკვეთა თეატრი — სახელმწიფოს და თეატრი — საზოგადოების ურთიერთობის პრობლემაც.

სოფოკლემ მთელის სიღრმითა და მასშტაბით გამოხატა რა თავისი დროის „დრამატურგიული პროდუქცია“ (ბრესტი), სამომავლო ორიენტაციის სიმბოლოც წარმოქმნა მმართველის (სახელმწიფოს პირველი პირის) პიროვნული ვალდებულების, პასუხისმგებლობის, ზნეობრივი პრინციპების წარმოჩენის თვალსაზრისით.

„ოიდიპოს მეფე“, როგორც ბედისწერის ტრაგედია, გვიჩვენებს დმერთების მრისხანების ხარისხსაც (დაწყეველილია ლაბდაკიდების მოდგმა და არა მხოლოდ ლაიონი, ჩადენილი დანაშაულის გამო!). ამასთანავე, წარმოაჩენს ბედისწერის წინააღმდეგ ამზედრებულ, გონიერ და მამაც პიროვნებას, მის სულიერ კონსტიტუციას, მსოფლმხედველობას, არჩევანის გარდუვალობასაც — საკუთარი ფესვების ძიებით გამოვლენილი სიმართლის პირისპირ დარჩენილი ოიდიპოსი, თავად გამოუტანს საკუთარ თავს სასტიკ განაჩენს და თვადვე აღასრულებს მას! პარალელურად სოფოკლე გამოხატავს

დემოსის (ქოროს) მსოფლგანცდას, მენტალიტეტს, „უამთააღმწერ-ლურ ეპოქას“. ტრაგიკოსი თვალნათლივ გამოკვეთს ცივილიზაციის ცენტრალურ დილექტას — მმართველის (ოიდიპოსის) და დემოსის ურთიერთობას.

ამ პრობლემის წარმოჩენის დროს სოფოკლემ მიმართა მითს, არ გამოიყენა მისი თანამედროვე დროების რაიმე ამბავი, თუნდაც შეთხზული სიუჟეტი. აქ რამდენიმე მიზეზია დაშიფრული, რაც მიგვითითებს შემოქმედისა და სახელმწიფოს ურთიერთობათა ფორმაზეც. ათენის დემოკრატიის პირობებში დრამატურგებს და, შესაბამისად, თეატრსაც აკრძალული პქონდათ თანამედროვე ცხოვრების ამსახველ მოვლენებზე წერა, ეს საკითხი ტაბუირებული იყო. სოფოკლეც კი, რომელიც დაახლოებული გახლდათ პერიკლეს-თან (ეჭირა ატიკის საზღვაო კავშირის ხაზინადარის თანამდებობა) და იზიარებდა მის პოლიტიკურ ორიენტაციას, იძულებული იყო მხოლოდ მითების დამუშავებით შეექმნა ტრაგედიები.

სრულიად სამართლიანად მიმაჩნია იმ მეცნიერთა მოსაზრება, რომლებიც მითს განიხილავენ, როგორც სამყაროს არქეტიპულ მოდელს. თუკი მითი სრულად მოიცავს, სრულად აღწერს, სრულად გამოხატავს სამყაროს, მაშინ შესაძლებელია გაკეთდეს ლოგიკური დასკვნა, რომ მითი მივიჩნიოთ სამყაროს თაობაზე არსებულ გარკვეულ კანონად. მითი, როგორც ისტორიული მოვლენა, ხომ დამყარებულია მსოფლმხედველობრივ საფუძველზე და ამდენად, იძენს დიდაქტიკურ მნიშვნელობასაც. ამასთანავე, მითი, როგორც ზნეობრივი სრულყოფილების გამოხატულება, ხდება მიმართულების მაჩვენებელი, ორიენტირის გამოხატულება. როგორც ჩანს, პერიკლეს მმართველობის დროსაც კი, ათენის ქალაქ-სახელმწიფოს ესაჭიროებოდა ამგვარი ზნეობრივი ორიენტირის არსებობა. ამ თვალსაზრისით, შესაძლოა სოფოკლე პოლისის სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში ამჩნევდა ბზარს და ამიტომაც ქმნიდა ამგვარი იდეით დამუხტულ სანახაობებს.

ისიც აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში მითიური სიუჟეტი განსახილველია, როგორც პარაბოლა, როგორც დიშიფრული ტექსტი თანამედროვეთა დამოძღვრისათვის. აქ მწედველობაშია მისაღები, რომ შეგონება ქხება ორივე მხარეს — სახელმწიფოს სუბიექტსაც და დემოსსაც. მმართველი — ქურუმი — ქორო შესაძლებელია გამოისახოს ასეთი სისტემითაც: სახელმწიფო — დემოსი, ანუ სახელმწიფო — საზოგადოება. როდესაც თეატრი გამოსახავს, ითვალისწინებს, ეყრდნობა ამ „ფორმულას“, საზოგადოება — სახელმწიფოს დამო-

ღვრას, შესაძლებელია ითქვას, რომ თეატრი ასრულებს თავის უძავრეს მისიას; ცდილობს, გაროობით შეაგონოს ორივე მხარეს.

როგორც ვხედავთ, სოფოკლემ შენიდბული ფორმა გამოიყენა, რათა ემოქმედა თავის თანამედროვეთა გრძნობა-გონებაზე და ამ გზით მიეღწია კათარზისისთვისაც. და რადგანაც ეს მითიური სიუჟეტი ქება მმართველისა და საზოგადოების ურთიერთობათა პრობლემას, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სოფოკლემ გაიაზრა რა არსებული პოლიტიკური ვითარება, ჩაუღრმავდა რა პერსპექტივასაც, აღიარა იგი სამყაროს ცენტრალურ საკითხად. თუ იმასაც მთვიღებთ მხედველობაში, რომ ტრაგიკოსმა შექმნა „ანტიგონე“, როგორც ამბავი ტირანიაზე, უზენაესი კანონისა და ადამიანის (მმართველის) მიერ გამოცემული კანონის შეუთავსებლობაზე, შესაძლებელია აღინიშნოს, რომ ის ამგვარ საფრთხეს უკვე ხედავდა თავის ქალაქ-სახელმწიფოში და ეს გაფრთხილება გადასცა შთამომავლობას.

მმართველის პასუხისმგებლობაზე, მის ვალდებულებათა აღსრულების აუცილებლობაზე ალაპარაკდა დემოკრატიული ათენის მოქალაქე, პერიკლეს სასახლის კარზე დაწინაურებული პიროვნება, თავადაც გამორჩეული პოლიტიკური ფიგურა და მოაზროვნე შემოქმედი, მაგრამ ალაპარაკდა იგაუური შეგონებით, პარაბოლათა შემწეობით. ეს თავისთვად საგულისხმო ფაქტია დემოკრატიული ათენის სახელმწიფოებრივი ყოფის შესაცნობად, ამასთანავე, სახელმწიფო — შემოქმედის ურთიერთობათა ჭეშმარიტი სახეობის ამოსაცნობადაც.

ცვილიზაციის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იცვლებოდა სახელმწიფო — შემოქმედის, სოციუმი — შემოქმედის ურთიერთობები, მაგრამ თავად პრობლემის სიმწვავე დამოკლეს მახვილივით გახლდათ წამომართული ხელოვანის თავზე. აღორძინების ეპოქაშიც კი, შექსპირიც ხან დანიაში, ხან რომსა თუ ვენეციაში, ვერონასა თუ ათენში ჩაასახლებს თავის პერსონაჟებს. ესეც ერთგვარი შენიდბების, პარაბოლური აზროვნების ნიშანია, რაღგანაც არც ელისაბედის მმართველობის დროს იყო, უთუოდ, გაწონასწორებული ურთიერთობა სახელმწიფოსა და შემოქმედს შორის, მით უფრო თეატრსა და სახელმწიფოს შორის. ტრაგედია ხომ არ არის თანაბარუფლებიანი სუბიექტების დაპირისპირებით აღმოცენებული ამბავი. მისი განვითარება მოცემულ პირობებში პროტაგონისტის არააღეკვატურ, უჩემეულო, რისკიან მოქმედებათა ჯაჭვითაა გამაგრებული, ტრაგედიის სიუჟეტი ამოზრდილია ჩვეულებრივ ვითარებაში პროტაგონისტის გაუთვალისწინებელი შეჭრით, „საწინააღმდეგო მიმართულებით

ცურვის“ მოთხოვნულებით, შესაძლებლობით და, რაც მთავარია, ამ ქმედების აუცილებლობით.

ამდენად, ამ განსაკუთრებული მოვლენის შემოქმედი თავად პროტაგონისტია, ის ხდება მამოძრავებული იმპერატივი. მოვლენა, რომელსაც ის წარმოქმნის, მხოლოდ მისი შემწეობაა, მისი დამსახურებაა, მხოლოდ მისი მიზეზით იქმნება. ამიტომაც, პროტაგონისტი გამორჩეული და აღმატებულია პიროვნული თვისებებით — გონით, ძალით, ემოციით. ის არ ექვემდებარება არსებულ ნორმას, არღვევს დადგენილ ყალიბს, რაც კიდევ უფრო მეტად გამოკვეთს მის გამორჩეულობას. ეს ყოველივე ჩაქსოვილია „ოიდიპოს მეფის“ სიუჟეტურ ქარგაში, ლოგიკურად გამოკვეთს ოიდიპოსის პიროვნულ თვისებებსაც და მის განსაკუთრებულ მისიასაც, რის გამოც ტრაგედია საუკუნეთა მანძილზე არ კარგავს აქტუალობას.

როდესაც სოფოკლემ მიმართა თებეს ციკლის მითოლოგიას, უთუოდ ამბავისა და დიდაქტიკის გამოყენება სცადა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი პრობლემის წარმოსახენად. მან შექმნა კიდეც ტრაგედია გამორჩეულ, ძლიერ, მთლიან, გონიერ პიროვნებაზე, რომელსაც ძალა და უნარი შესწევს აუმნებლდეს ბედისწერას (დამარცხება ამ „შერკინებაში“, სრულიადაც არ აკნინებს ოიდიპოსს. ამ უთანასწორო „ბრძოლის“ შედეგი კიდევ უფრო წარმოაჩენს ოიდიპოსის შინაგან შზაობას — არ მიიღოს ბედისწერის „განაჩენი“. აქ, ვგონებ, მთავარია არა მარტო შედეგი, არამედ თავად ფაქტი — ბედისწერის მორჩილებისაგან გაუცხოებისა, არჩევანის შესაძლებლობისა); სოფოკლემ შექმნა ტრაგედია არა ბედისწერის გარდუვალობაზე, არამედ გონიერ მმართველზე, რომელსაც გაასმაგებული აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა, აღმატებულია ვალდებულებათა შეგნებით, ჯვრის ტარების ნიჭითა და უნარით.

ამ შემთხვევაში ზნეობრივი, ღირსებით აღმატებული პერსონაჟის სასცენო წარმოსახვა, პროტაგონისტის მიერ იმ პერიოდისათვის შეუძლებელი, დაუშვებელი, გაუგონარი გმირობის ჩადენა (ღმერთების ნების დაუმორჩილებლობამ, ანუ შენი დროის ყველაზე დიდი წინააღმდეგობის დაძლევის უნარმა, აღამაღლა ოიდიპოსი გმირის რანგში), შესაძლებელია მივიჩნიოთ თავად დრამატურგისა და თეატრის ზნეობრივი აღმატებულობის ფაქტად, მოქალაქეობრივ ვალდებულებათა აღსრულების ფაქტად. ამ ასპექტის გათვალისწინება კიდევ უფრო აღამაღლებს ტრაგედიას და დაგვაფიქრებს თეატრის ისტორიის ამ მეტად საგულისხმო პერიოდზე, მის სადღეისოდაც

აქტუალურ და მნიშვნელოვან პრინციპებზე, თავად შემოქმედის მასშტაბურ ფიგურაზეც.

როგორც ცნობილია, ძველ საბერძნეთში წარმოდგენები იმართებოდა ღია ცის ქვეშ. ეს იყო ადამიანის ღმერთებთან ვიზუალურ-ვერბალური დაკავშირების სურვილიც, შესაძლებლობაცა და ვალდებულებაც. მასშტაბური იდეებიცა და მათი გამოსახვის მასშტაბური ფორმებიც ამ მოცემულობის გათვალისწინებითაც იძადებოდა. ამდენად, მსახიობთა ღმერთებისადმი მიმართვა, აბსტრაქტული მოცემულობა კი არ იყო, არამედ კონკრეტული მიზანი. თეატრი ისევე, როგორც დემოსი და მმართველი კორპუსი, ღმერთებს მიიჩნევდა უმაღლეს ინსტანციად, ორიენტირად, ამიტომაც მათს სამსჯავროზეც გამოჭრონდა დრმა აზრითა და ძლიერი გნებათადელვით დამუხტული, მათი საკადრისი სანახაობა.

„ოიდიპოს მეფის“ პირველივე ეპიზოდი, ზევსის ქურუმის მონოლოგი ძალზე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის მმართველისა და დემოსის (ანუ სახელმწიფოსა და სოციუმის) არსებულ ურთიერთობაზე. შევი ჭირისაგან თავზარდაცემულმა თებელებმა, უბედურების მიზეზთა შეტყობისა და სენისაგან თავდახსნისათვის, მიმართეს ათენას და ოიდიპოსს (შეიკრიბნენ ათენას ტაძართან და მიმართეს ქურუმის სახით ოიდიპოსს, რომელმაც ერთხელ უკვე იხსნა ისინი ურჩხულისაგან). როგორც ვხედავთ, მათთვის ოიდიპოსის სიბრძნე და ათენას სიბრძნე ერთნაირი ძალისაა, ოიდიპოსი მათთვის ავტორიტეტია. ამიტომაც ენდობიან, მას მიიჩნევენ კრიტიკული სიტუაციდან მოქალაქეთა გამოხსნის შემწედ. ამასთანავე, რადგანაც მათ თავად აირჩიეს ოისიპოსი მმართველად, მოითხოვენ კიდეც მისგან ვალდებულებათა აღსრულებას (ოიდიპოსი კრეონტს აგზავნის დელფოს სამისნოში).

თებელებმა არჩევანი შეაჩერეს ოიდიპოსზე მას შემდეგ, რაც მან იხსნა ქალაქის მოსახლეობა. თებეს ჰყავს პიროვნული თვისებით შერჩეული, სიბრძნით გამორჩეული მმართველი, ე. ი. დემოსმა განახორციელა დემოკრატიის უპირველესი მოთხოვნა — თავისუფალი არჩევნები! უმთავრესი კი ის არის, რომ მოქალაქეებმა განახორციელეს სრულიად გაცნობიერებული და შეგნებული აქტი — მათ პიროვნული ღირსების ნიშნით მოახდინეს არჩევანი. ეს ორი მომენტი — ოიდიპოსის პიროვნული ღირსების შეფასება და დემოსის შეგნებული მოქმედება — არის მოქალაქეთა პოლიტიკური ნების, პოლიტიკური ორიენტაციის გამოვლინების ფაქტი. ამიტომაც მათ

აქვთ უფლება, უფრო ზუსტად, მათ მოიპოვეს უფლება, მოითხოვონ მმართველისაგან მოვალეობის აღსრულება. თავის მხრივ, ოიდიპოსმა ხელკეტებით კი არ გაყარა მოქალაქენი, არამედ თავი ვალდებულად ჩათვალა, გამოსულიყო მათ წინაშე, თავად აქსნა ვითარება და ემცნო მათვის, რა მოიმოქმედა შევი ჭირის მიზეზთა მოკვლევისათვის.

ექსპოზიცია სახიერად გვაწვდის ინფორმაციას საერთოდ დემოკრატიისათვის დამახასიათებელ ნიშნებზე (აქ გამეფებულ ქცევათა ნორმაზე); მმართველსა და დემოს შორის უფლებრივ-მოვალეობითი ურთიერთობაა ის ერთ-ერთი განმსაზღვრული მოცემულობა, რომელიც გამოარჩევს დემოკრატიულ ფორმაციას, თუნდაც ეს იყოს მონათმფლობელური წყობის ფარგლებში არსებული დემოკრატია. შესაძლებელია ითქვას, დემოსის მიერ საჯაროდ საკუთარი წუხილის, საკუთარი ნების გამოხატვა არის, აგრეთვე, დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის, სახელმწიფო-დემოსის თანაცხოვრებისთვის ნორმა. ამრიგად, ტრაგედიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ ორ ძალას შორის გაწონასწორებული ურთიერთობაა, უფლებრივ-მოვალეობითი დამოკიდებულება, რაც არის დემოკრატიის საფუძველი.

შხოლოდ ამ ასპექტით არ ამოიწურება სოფოკლეს დიდაქტიკა. ამჯერად კიდევ ერთი ინფორმაციის თაობაზე გავამახვილებ ყურადღებას. ქურუმის მონოლოგით იმასაც ვიგებთ, რომ თებელები იმყოფებიან ათენას ტაძართან და ზევსის ქურუმის შემწეობით მიმართავენ ოიდიპოსსაც, მისგან ითხოვენ შველას. ამით გაიგივებულია ათენას სიბრძნე და ოიდიპოსის სიბრძნე. და კიდევ — განხორციელდა მმართველის ღვთაებასთან გაიგივების აქტიც. ამასთანავე, მმართველი ჩაენაცვლა მისანსაც, რაც თავისთავად მიგვანიშნებს, რომ ძლიერი პიროვნება, გონიერი ადამიანი თანდათან იკავებს იმ კვარცხლბეკს, რომელზეც ღმერთები იყვნენ ხელშეუხებლად წამომართულნი. ამ ფრთხილი ნიშნებით, ამ გაიგივებითა და ჩანაცვლებით (ოიდიპოსი — ათენა, ოიდიპოსი — მისანი) გამოისახა საგულისხმო ფაქტი — ერთგვარად შეირყა ის მყარი ნიშა, რომელიც ანტიკურ ეპოქაში ღმერთებს ჰქონდათ აპრილულად დაკავებული.


ცოდილიზაციის განვითარებისათვის მეტად ღირებულია ეს ფაქტი, მით უფრო, რომ იგი რეალური ყოფითაც არის გამყარებული. სოფოკლე გახლდათ სტრატეგოსიც, ხოლო 420 წელს აირჩიეს ასკლეპიოსის კულტის მთავარ ქურუმად, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სიკვდილის შემდეგ აღიარეს „წმინდა ადგილის გმირად“; ამასთანავე, აღიარეს და თაყვანს სცემდნენ, როგორც ღვ-

თაებას. ეს სინამდვილე შესაძლებლობას გვაძლევს აღინიშნოს: სოფოკლეს მიერ ცხოვრებისეული ცვლილებების შენიშვნა, მისი დიდაქტიკის ფორმით გამოყენება, მმართველისა და დემოსის დამოძღვრა, არის ცვილიზაციის ისტორიისათვის მეტად საგულისხმო მოვლენა, თუ გავითვალისწინებთ პერსპექტივას, გავიხსენებთ ჰუმანისტური მოძრაობის არსება და მასშტაბს, მთლიანად აღორძინების ეპოქის ჰუმანისტთა მოღვაწეობის სულისკვეთებას, მათ პრინციპებს, გასაგები და კიდევ უფრო ნათელი გახდება, რა მნიშვნელობისაა სოფოკლეს, ტრაგიკოსისა და პოლიტიკოსის ფიგურა, მისი დიდაქტიკის მასშტაბი და ღირებულება კაცობრიობის ისტორიისათვის.

აღორძინების ეპოქაში ხომ იმ კვარცხლბეკზე, რომელზეც ანტიკურ ეპოქაში ღმერთები იყვნენ წამომართულნი, მათ ჩანაცვლა ადამიანი! როგორც ვხედავთ, იქ, ანტიკურ ხანაში, პერიკლეს მმართველობის ეპოქაში უკვე შეინიშნებოდა ეს საგანგებო მნიშვნელობის რყევა. სოფოკლემ ეს შენიშნა, გააცნობიერა და შეაგონა კიდეც თანამედროვე მოქალაქენი შეფარვით, მითის ინტერპრეტაციის საშუალებით. ამით კი, გამოიკვეთა ჭეშმარიტად მოაზროვნე, მასშტაბური შემოქმედის ფიგურაც და მისი ადგილი ცვილიზაციის განვითარებისათვის. ამით კი, გამოიკვეთა კიდევ ერთი, მეტად საგულისხმო პრინციპი: სახელმწიფო — ინდივიდის, სახელმწიფო — შემოქმედის ურთიერთობის პრობლემა, რომელიც ერთ-ერთ დილემად იქცა შემდგომი ეპოქებისთვისაც.

ამრიგად, თეატრი — სახელმწიფოს ურთიერთობა, დემოკრატიის უპირობო საფუძველზე — მმართველისა და სოციუმის უფლებრივ-მოვალეობით კავშირზე, სახელმწიფო — ინდივიდის, სახელმწიფო — შემოქმედის გაწონასწორებულ ურთიერთობაზე ბევრად არის დამოკიდებული, სხვა ფაქტორებთან ერთად. საერთოდ, სოციუმის მხაობაზე, იყოს ყოველი სახის ცვლილებათა გაცნობიერებისა და გათავისების შემოქმედი, ხოლო სახელმწიფოს მხაობაზე — იტვირთოს მოვალეობათა, ვალდებულებათა მძიმე ჯვარი — ბევრადაა დამოკიდებული ჰარმონიული თანაცხოვრების წარმოქმნა. ჰასუხისმგებლობაა ის მძიმე ჯვარი, რომლის ტარებისთვისაც ორივე მხარე არა მარტო სიტყვიერად, არამედ მოქმედებითაც უნდა იყოს მხად.

ამიტომაც მიმაჩნია, რომ სოფოკლეს ტრაგედია, „ოიდიპოს მეფე“, მეტად აქტუალურია თანამედროვე სამყაროსთვისაც, მით უფრო საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ყოფისთვისაც.



მარტა ცუხიშვილი

ოძნებს ციხე და ეკლესია

ჯერ კიდევ ლეონტი მროველმა მოგვაწოდა ცნობები ოძნებს წარსულის შესახებ, რომელიც დღემდე ცოცხლობს ისტორიულ მქნისერებაში. მცხეთოსს პყოლია სამი ვაჟი, რომელთა სახელებია „უფლოს, ოძნებოს და ჯავახოს“, შუათანას, ანუ ოძნებოს მამისგან ებოძა „ტასისკარიდან სპერამდე, ქვეყანა კლდოვანი“, სადაც აღაშენა ორი ციხე „ოძნებები და თუხარისი“...

ამ დროიდან ოძნებმ ისტორიის ფურცლებზე ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა. იგი შემდგომ საუკუნებშიც არაერთხელ გამხდარა ჟამთააღმწერელთა თუ მტერთა ინტერესების ობიექტი. ფარნავაზის მეფობის დროს ალექსანდრე მაკედონელმა „დაიპყრა ყოველი ქვეყანა, და აღმოგიდა ქუეყანასა ქართლისასა. და პოვნა ციხე-ქალაქი ესე ძლიერნი შუა-ქართლ: წუნდა, ხერთვისი მტკუარისა, ოძნებებიდან კლდესა ღადოსასა“¹, მტრის შემოსვეის შემდეგ დანგრეული ციხე-ქალაქები ქართველთა ბრძოლისა და ღვაწლის შედეგად კვლავ აღდგა. ოძნები კვლავ განახლდა სიცოცხლე და ფარნავაზმა, რომელიც „უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თვისთაგან“, განაწესა რვა ერისთავი „ყოველსა ქართლსა და ეგურსა(ეგრისი) ზედა“ და მათ შორის მექესე „გაგზავნა ოძნების ერისთაგად, და მისცა ტასისკარითგან ვიდრე არსიანითამდის, ნოსტის თავითგან ზღუა-მდის, რომელ არს სამცხე და აჭარა“.

წმიდა მეფემ, ვახტანგ გორგასალმა ერთ-ერთ მთავრად დაადგინა „ბივრიტიან, ერისთავი ოძნებისი“, ხოლო წლების შემდეგ ეს მძლავრი ციხე-ქალაქი მეფის ოჯახის ზამთრის რეზიდენციად იქცა. „და დაჯდა საყდარსა მისსა ქე მისი დაჩი. ხოლო ცოლი და ორნი

¹ ქართლის ცხოვრება, ლეონტი მროველი, ცხ. ქართველთ შეფეთა, თბ., 1955, გვ. 17.

ძენი ვახტანგისნი წარიყვანნეს სამთა მათ ერისთავთა, და დაიპყრეს დასავლეთ ქართლისა, რომელი მისცა ვახტანგ. და დასხდეს წუნდას ქალაქსა ზაფხულის, და ზამთრის იყვნიან ოძრხეს“.²

წმიდა მთავართა დავითი და კონსტანტინე მხეიძეთა ღვაწლის აღწერისას კიდევ ერთხელ ცოცხლდება ჩვენს მეხსიერებაში დიდებული ქალაქი ოძრხე. საქართველოში შემოსული მაოხრებელი მტერი მურვან ყრუ „მოვიდა სამცხეს და დაიბანაკა არეთა ოძრხისათა. რამეთუ იყო მაშინ ქალაქი იგი სახელოვანი, ძველ ნაქმართა მისთათვის“. ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ზეკარის უღელტეხილით იმერეთს გადავიდა. „ე. ი. VIII საუკუნის 30-იან წლებში ოძრხე, ანტიკური ქალაქი კვლავ სახელოვანია, მაგრამ სახელოვანი არა აწინდელი საქმების გამო, არამედ ტრადიციითა და წარსულით“.³

ქართლში არეულობისა და მეფე-მთავართა ქიშპობის დროს, დავით კურაპალატის წინააღმდეგ ამხედრებულმა გუარამ მამფალის ძემ ნასრამ „შეიძყრნა სამნი ციხენი სამცხეს: ოძრხე, ჯუარის-ციხე და ლომისიანთა, გუარამისივე აღშენებული“.

ბიზანტიის კეისრის მოთხოვნით, 1054 წელს ლიპარიტ IV გახდა სამხრეთ საქართველოს მთავარი, რომელსაც აუმხედრდა მესხი დიდებული სულა კალმახის ერისთავი, სწორედ ამ დაპირისპირების აღსაკვეთად მეფე ბაგრატმა სულას უბოძა „ციხისჯვარი და ოძრხე ბოლო-კლდითა და სხუაცა მრავალნი“.

IX საუკუნის დამდეგს ოძრახეს ციხე კვლავ აუგია გუარამ მამფალს. მის ჩრდილოეთით მდებარეობდა „იწრონი რკინის ხევისანი“ – ერთადერთი პირდაპირი გზა დასავლეთ საქართველოდან სამცხე-ში მისასვლელი.

როგორც ჩანს, თავისი სტრატეგიული მნიშვნელობა ოძრხეს გამაგრებულ ციხე-ქალაქს თამარის ეპოქაშიც შეუნარჩუნებია. როცა რუმის გათავედებული სულთანის რუქნადინის დასასჯელად მეფემ დავით სოსლანის წინამდლოლობით ლაშქარი წარგზავნა, მემატიანის ცნობით, „თვით მოვიდა ოძრხესა კათალიკოზით ფეოდოსით⁴, ეპისკოპოსებითა და წინამდღვრებით, და ჰყოფდნენ მარადის ლოცვასა, მღვიძერებასა და ველრებასა ღმრთისასა“.

დიდ ციხე-ქალაქში, რომელიც მთელი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ტაძარი ნამდვილად იარსებებდა. მით უმეტეს ეს ითქმის ოძრხეზე, რომელიც

² ქართლის ცხოვრება, ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ტ. I. გვ. 205.

³ ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. II, თბ. 1970, გვ. 61.

⁴ თეოდოსი II საქართველოს ეპლესიას 1188-1205 წლებში ედგა სათავეში.

არ იყო ჩეეულებრივი და რიგითი ციხე-ქალაქი. „მესხეთ-ჯავახეთის გასამხედროება ხელს უწყობდა აქაური ფეოდალების გაძლიერებას. თამარის ეპოქაში მათ შორის ცნობილნი იყვნენ: ოორუელი, ფანას კერტელი, კალმახელი, თმოველი, ჯაველი, თუხარელი, ახალციხელი და სხვ. რომელებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ დროისათვის ოძრხე „ისეთ პირველხარისხოვანი ციხე-სიმაგრეთა შორის იხსენიება, როგორებიც იყვნენ: ომოგვის, თორის, არტანუჯის ციხეები და სხვ.“⁵

„ქაბლიანის ხეობა მდინარე ძინძეს, ღაღვისწყლის და საკუთრივ ქვაბლიანისწყლის სათავეებთან იწყება და ფოცხოვის შესართავთან მთავრდება. ამ ხეობის აუზი 893 კვ. მ. შეადგენს და თავის მხრივ სამ მიკროხეობას შეიცავს. ესენია ოცხეს (იგივე აბასთუმნისწყლის), ღაღვისა და ძინძეს ხეობები, საიდანაც დასახლებული ამ დროისათვის არის ოცხესა და ღაღვის ხეობის სოფლები. ოცხეს ხეობაშია სოფლები აბასთუმანი, ვარხანი, ხარჯაში და სხვ., ასევე მთის ქიმზე აღმართული IX-XII საუკუნეების ციხე („თამარის ციხედ“ წოდებული) თავისი ნაეკლესიარით“.⁶

ჩვენ ვიცით, რომ ოძრხე და ოცხე ერთი და იმავე ისტორიული პროვინციის სახელწილდებაა, თუმცა იგივე ავტორი აბასთუმან-ვარხანის თემის ტერიტორიაზე ასახელებს როგორც ოძრხეს, ასევე ოცხესაც: „ვარხნის თემში შედის: 164. ოძრხის ციხე-კოშკი, 165. კურცხანის ნაეკლესიევი, 166. ოცხის ეკლესია, 167. ოცხის ახალი ზარზმის ეკლესია.“ ოძრხის ციხე-კოშკი უდავოდ თამარის ციხეა.

„თამარის ციხე დგას კურცხანასა და აბასთუმნის ხევებს შუა მდებარე გორაკზე. იგი ქვითკირის შენობაა ზომით 50 X 10, 8 მ. დაახლოებით აღმოსავლეთ ნაწილის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში არის პირამიდული შენობა, შიგნით სუფთა ცემენტისებური დუღაბით გალესილი; მის ზევით აქვს მრგვალი ხვრელი; იგი ხორბლის შესანახი უნდა იყოს; ახლა მას აღმოსავლეთით აქვს კარი. კედლის სისქე ჩრდილოეთით 1,5 მ, სამხრეთით და სხვაგან 1,3 მეტრია. ნაგებია ქვითკირისგან. ციხის დასავლეთ ნაწილში შენახულია თაღის ნაწილი, შიგნით არის სხვადასხვა შენობები, მათ შორის პატარა საყდარი, საგარაუდო აგებული მოგვიანო საუკუნეებში, ასევე არის გვირაბიც; ჩრდილო ნაწილი დანგრეულია. გზა შეუდის ჩრდილოეთის მხრიდან, კარიც ჩრდილოეთის მხრისა აქვს“.⁷

⁵ ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938, გვ. 33.

⁶ იქვე.

⁷ გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992. გვ. 122.

„შუა საუკუნეთა ქალაქ ოძრხისგან, ძველ ციხეთა ნანგრევების გარდა, დღემდის აღარაფერს მოუღწევია“, — დანანებით წერს ქართული ხელოვნების მკვლევარი, აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე.

გულდასმით გავეცანით მეცნიერის სიცოცხლეში რამდენიმეჯერ გამოცემულ სამეცნიერო მონოგრაფიას სამცხე-ჯავახეთთან დაკავშირებით და ყველგან ეს წინადაღება მეორდება “.... ერთი ციხე ვარხანთანაა, მეორე აბასთუმანში, მდინარე აბასთუმნისწყლის მარჯვენა ნაპირას, ტყიან მთაზე — ე. წ. „თამარის ციხე“. მეცნიერი იქვე შენიშნავს შემდეგს: „საგანგებო არქეოლოგიური კვლევა-ძიება, უეჭველია, თვით ძველი ქალაქის ნაკვალევსაც აღმოაჩენდა, მაგრამ იგი ჯერ არ ჩატარებულა“.⁸

ბასიანთან ობის დროს, როდესაც თამარი კათალიკოსა და მცირე ამალასთან ერთად ოძრხეს ციხეში ლოცულობდა, კვლოვი სალოსი „წინაშე იყო თამარისა მწირველი“, რა თქმა უნდა, ციხე-ქალაქში მდგარ ტაძარში. ოძრხის ციხე-სიმაგრეში ტაძრის არსებობას ამოწმებს ვ. ბერიძეც. იგი ოძრხეს იმ ბუნებრივ, მიუვალ ადგილს გაშენებულ ქალაქთა შორის ასახელებს, რომლებიც მხარეების ადმინისტრაციულ ცენტრებს წარმოადგენდნენ და რომლებშიც ქრისტიანული სალოცავებიც იდგა. „ასეთი ციხე-ქალაქებია: ოძრხე, წუნდა, სამშვილდე“.⁹

ყველა მკვლევარი ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს, რომ „ფეოდალურ ქვეყანაში მთავარი სიმაგრე ციხე-ქალაქია, რადგან მხოლოდ ქალაქი, ციხის გარეშე, თავის ფუნქციას ვერ შეასრულებდა“, რის გამოც „ქვეყნის მესვეურნი ციხისათვის სტრატეგიულად გამართლებულ ადგილს არჩევდნენ. ასეთი ციხე შემოჭრილ მტერს გზას ადვილად გადაუკავშიდა. ციხის ავებისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბუნებრივი სიმაგრის შერჩევას. ასეთ შემთხვევაში ყოველ ციხეს ძალა უორკეცდებოდა“.

შუასაუკუნეების ციხე-ქალაქის აუცილებელი შემადგენელი ნაგებობა იყო, აგრეთვე, ტაძარი, რომელიც ხელს უწყობდა ციხეში გამაგრებულთა სულიერსა და ზნეობრივ სიმაღლეს, მრწამსს, ღმერთთან სიახლოეს.

პროფესორმა ლევან ჭილაშვილმა აღწერა ოძრხეს, თამარ მეფის ციხის დეტალები: „ოძრხეს ციხის სიგრძეა 40-50 მეტრი (ჩვენი გაზომვით არის 53 მეტრი - მ. ც.), მას აქვს ორი ძირითადი

⁸ ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., 1970, გვ. 79.

⁹ ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. I, თბ. 1968, გვ. 125.



კოშკი სამხრეთით და ჩრდილოეთით. კოშკები მრავალსართულიანი ჩანს. კედლები ნაგებია მკვიდრად, ნაგლეჯი ქვით კირის სხნარზე (ქვითკირი). ჩრდილოეთის კოშკის დიდი ნაწილი ჩანგრეულია. მის პირველ სართულზე პატარა ოთახია შემორჩენილი, რომლის კედლებიც ზევით და ზევით ვიწროვდება და მთავრდება წრიული გვირგვინით, დანგრეულია სამხრეთის კოშკიც. ციხის სიგანე, როგორც ვთქვით, ემთხვევა ქედისას. იგი დაახლოებით 15 მ. იქნება (ჩვენი აზომვით მაქსიმუმ 11 მეტრია – მ.ც.). შემორჩენილი სათავსოებისა და კედლების მიხედვით საყარაულოა, რომ ციხის ერთ ნაწილში იდგა ტაძარი, რომელსაც შესასვლელი აქვს დასავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს, ხოლო აღმოსავლეთით აქვს პატარა სარგმელი, აგებულია თლილი ქვის ფილებით, რომელიც განირჩევა მთლიანად სხვა კედლების ქვების წყობისაგან.^{“10”} (იხ. სურათი: ოძრხეს ციხის გეგმა).

უშუალოდ ციხის ტერიტორიის ფართობი დიდი არ არის, მაგრამ ციხე-ქალაქი უდავოდ იქნებოდა გაშენებული მთის მიმდებარედ ორივე მხარეს, როგორც კურცხევის (იგივე კურცხანა), ისე ოცხეს

¹⁰ ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. I, თბ. 1968, გვ. 33.

ციხის ნახატი და აღვილის გვერდი შესრულებულია
პროფ. ლ. ჭილაშვილის მიერ 1970 წელს (მასალა

მოძიებულია ლ.
ჭილაშვილის არ-
ქივმი, ხელი).



ხეობებში. „აქ რამდენიმე აღგილზე (მთის ფერდობებეზე და მათ მიმდებარედ – მ.ც.) შესამჩნევია თლილი ქვის ნატეხები, გამოყენებული მეორადი დანიშნულებით. ნაქალაქარის დიდი ნაწილი, ვფიქრობთ, განადგურებულია მიწის სამუშაოების დროს. სამწუხაროდ, უყურადღებობის გამო არქეოლოგიური ნივთები, რომლებიც აქ ამოდიოდა, დაიკარგა“.¹¹

„ნერეგა-აოხრებამ საუკუნეთა მანძილზე მრავალი ქალაქი აღგავა მიწის პირიდან, რომელთაგან ზოგის ნანგრევები შემოგვრჩა, ზოგის კი, მხოლოდ სახელი მატიანეთა ფურცლებზე. აღარაა ისეთი დიდებული ქალაქები, როგორიცაა მცხეთა, წუნდა, ხერთვისი, ოძრხე „მოკიდებული კლდესა დადოსა“, კასპი.“¹²

საჭიროა უფრო ზუსტი აღრიცხვა და აღწერა რეგიონში შემორჩენილი მრავალი საფორტიფიკაციო ნაგებობისა, „რომელიც ერთიან თავდაცვით სისტემას ქმნიდა. აღსანიშნავია ახალციხის, აქვერის, სლესის, ხერთვისის, ზანავის, ოქროსციხის, ასპინძის, ოთას, თმოვის, ერემჭალის, წრიოხის, შორეთის და სხვა ციხეები და სიმაგრეები, როლებიც საუკუნეების მანძილზე შენდებოდა“.¹³ ზემოთქმული-დან გამომდინარე, მათ შორის ოძრხეც უნდა ვიგულისხმოთ.

ოძრხეში (თანამედროვე აბასთუმანი, რომელიც ამჟამად იმაზე უფრო იაგარქმნილია, ვიდრე რომელიმე ომის შემდეგ), იღვა ციხე, რომელიც თამარის გამეფებამდე დიდი წნით ადრე იყო აგებული, ხოლო ამავე ციხეში არსებული ტაძრის თავდაპირველი ნაგებობა, საგარაუდოდ, განეკუთვნება წმიდა მეფის ვახტანგ გორგასლის ეპოქას, რამეთუ ქრისტიანი მეფე თავის ოჯახს მთელი ზამთარი ბინას არ მიუჩენდა ისეთ რეზიდენციაში, სადაც სალოცავი მაინც არ იქნებოდა.

ჯერ კიდევ, 1930-იან წლებში, ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით, პროფესორმა ბორის კუფტინმა დაიწყო მტკვარ-არაქსისა და ორიალეთის მიდამოებში არქეოლოგიური კვლევა-ძიება და თავის საჯარო გამოსვლაში შექმნა ოძრხეს ციხეს: „აღსანიშნავია მაღალი კულტურით გამორჩეული ოძრხეს ციხე-ეკლესია, რომელიც ორი ეპოქის გზაგასაფარზე არის აგებული“.¹⁴

დაბოლოს, გავისხენოთ წმიდა ექვთიმე ღმრთისკაცი, რომელიც მართებულად აღნიშნავდა: „საქართველოს ყოველ დიდ ქალაქში

¹¹ იქვე.

¹² პ. ზაქარაია, საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები, თბ., 1988, გვ. 6.


¹³ საქართველოს გეოგრაფია, ნან. II, თბ., 2001, გვ. 125.

¹⁴ პ. კუფტინი, ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში, თბ., 1939, გვ. 34.


სახელოვანი ციხე იდგა, დიდი ციხე საქართველოს გადარჩნისა და სიძლიერის სიმბოლო იყო, ციხეებში კი ტაძრებს აგებდნენ ჩვენი წინაპრები, რათა მეტი სიმტკიცე და ერთიანობა ყოფილიყო მარად, რამაც გაგვაერთიანა კიდეც“.¹⁵

ჩვენდა სასიხარულოდ, როგორც ეს აბასთუმნის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის მორჩილმა გვითხრა, თამარის ციხეში მდგარ ტაძარში, რომელიც წმინდა ნინოს სახელს ატარებს, ზოგჯერ წირვაც აღვევლინება. ამ ფაქტმა განმიმტკიცა სასო იმისა, რომ ღმრთის წყალობითა და წმიდა მეფის თამარის ლოცვით, აღდგება და თავის ძველ დიდებას დაიბრუნებს ოძრხის ციხეცა და ტაძარიც.

და ბოლოს მინდა მადლობით მოვიხსენიო ჩემი მეგობარი და მასპინძელი აბასთუმანში გიორგი გორელიშვილი, რომელმაც არც დრო დაზოგა და არც ენერგია, ჩემთვის დახმარების გასაწევად.



¹⁵ ე. თაყაიშვილი, არტაანის მხარის ქაჯის ციხე, საქართველოს კალენდარი, ტფ., 1903, გვ. 309.



დეკანოზი ვლაძისლავ ციცინი

მაიც ვინ დაიჭყო პირველი მსოფლიო ომი?!

ნაყოფიერმა ბლოგერმა, ერთ-ერთმა მათ შორის, ვინც რუსეთს ისევ ომისკენ მოუწოდებს, პარალელი გაავლო დღე-ვანდელობასა და ასი წლის წინანდელ პირველი მსოფლიო ომის დაწყების მიზეზ შორის: „რუსეთი, თითქოს თავისძა უნებურად, გაუაზრებლად იმისა, თუ რატომ და რისთვის აკეთებს ამას, ერთვება ომში, რომელიც შესაძლებელია მსოფლიო ომში გადაიზარდოს. ეს 101 წლის წინანდელ მოვლენებს გვახსენებს. თუმცა მაშინ ჯერ კიდევ არ არ-სებობდა სისხლიანი მეგობარი ასადი, მაგრამ იყვნენ სხვა ძმობილები, რომელთა საკრალური უფლება, მოეკლათ ავ-სტრიელი ერცჰერცოგები, ყველა საშუალებით, თვით იმ-პერის განადგურების ფასადაც კი, უნდა დაეცვათ“.



«ეილპელმ, ეს შენი ნამოქმედარია!» ლითოგრაფია ჟ. კომბაზისა, რომელზეც სიკვდილის სიმბოლური სახე იმპერატორ ვილჰელმ II-ს ძახობრივ სამარხზე მიუთითებს.

ამრიგად, ავტორის სარკაზშით გაჯერებული მოსაზრების მიხედვით, რუსეთი ომში ჩაება, რათა დაეცეა სერბების უფლება — სიცოცხლეს გამოესალმებინათ ავსტრია-უნგრეთის ტახტის ყველა მექვიდრე. სხვა სიტყვებით ომდ ვთქვათ, ომამდელ დიპლომატიურ მიმოწერაში რუსეთის მხარე იცავდა მეგობარი სერბეთის უფლებას — განეხორციელებინა ტერორი მეზობელი ქვეყნის მიმართ. ყურადღებას თუ არ მივაქცევთ ავტორისეულ ფართო მასებისთვის გათვლილ პოზას, ცხადია, რომ მისი მიზანია, შთააგონოს მკითხველს მოვლენათა მიმდინარეობის ისეთი ვერსია, რომლის მიხედვითაც ომის დაწყებისთვის მთელი პასუხისმგებლობა სწორედ რუსეთს ეკისრება. რამდენადაც იმ პერიოდში რუსეთის ხელისუფალი გახლდათ წმინდა მოწამე იმპერატორი ნიკოლოზ II, ეს ბრალიც სწორედ მას წაეყვენება.

მიუხედავად მრავალვნებული წმინდა მეფის უმწიკვლობისა, რომლის სხვონა არაერთხელ გამხდარა ისტორიის ბევრად უფრო მცოდნე და ბევრად უფრო გონებამახვილი მამხილებლების კრიტიკის თემა, საჭიროდ მიგვაჩნია, ამჯერადაც ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ და ცილისწამებას რუსეთსა და მის მეფეზე — ცილისწამება ვუწოდოთ. ასევე გავიხსენოთ ომის წინა პერიოდის რეალური ძლიერი მომართვებაც: საქმე ისაა, რომ პირველი მსოფლიო ომის დაწყების მიზეზთა შესახებ, განსხვავებულ მოსაზრებათა მიხედვით, ბრალი, თანაბარი ან არათანაბარი წილით, ომში მონაწილე ყველა სახელმწიფოს ეკისრება, მათ შორის რუსეთსაც. ეს კი მცდარი შეფასებაა.

რა ხდებოდა სინამდვილეში ომისწინა ივნისისა და ივლისის იმ მეტად რთულ და მრისხანე დღეებში? ციტირებულ ტირადაში სინამდვილეს ნაწილობრივ შეესაბამება მხოლოდ სერბი ეროვნების ავსტრიელი მოქალაქის გავრილო პრინციპის მიერ 15 (28) ივნისს სარაევოში, ავსტრია-უნგრეთის მიერ ვერაგულად ანექსირებული ბოსნია და ჰერცოგოვინას დედაქალაქში, ჩადენილი ერცჰერცოგ ფრანც-ფერდინანდისა და მისი მეუღლის სოფიოს მკვლელობის ფაქტის აღნიშვნა. მკვლელი და მისი თანამშრახველი ჩაბრინოვიჩი დაუყოვნებლივ დააპატიმრეს. გავრილო პრინციპის ქმედება სხვადასხვა მოტივებმა განაპირობა, სრულიად შესაძლებელია, რომ მათ შორის სერბულმა პატრიოტიზმმაც. ის დარწმუნებული იყო, რომ ბოსნიისა და ჰერცოგოვინას, სადაც გვერდი-გვერდ ცხოვრობდა ერთი და იგივე, სერბულ-ხორვატულ ენაზე მოლაპარაკე მართლმადიდებელი, კათოლიკე და მაპმადიანი მოსახლეობა, 1909 წელს განხორციელებული

ანგელსია არაკანონიერი იყო. იმპერატორმა ნიკოლოზ II, მიიღო რა მკვლელობის შესახებ ინფორმაცია, დაუყონებლივ მიუსამძიმრა ავსტრია-უნგრეთის ხანდაზმულ იმპერატორს ფრანც-იოსებს. გრაფ ჩერნინს, ავსტრიის ელჩს პეტერბურგში, ეწვივნენ დიდი თავადები, მინისტრები და სხვა ცნობილი პირები.

ამასობაში აკსტრიული გაზეთები სერბეთს ომის დაწყებით ემუქრებოდნენ. აკსტრია-უნგრეთის ქალაქებში სერბების მაღაზიებს არბევდნენ. უწესრიგობისა და საკეთად ხელისუფლება არავითარზომებს არ იღებდა. ბოსნიაში დაიწყო სერბების მასობრივი დაპატიმრება. უწესრიგობისა და უკანონობის ამ აქტებმა რუსული საზოგადოების აღშფოთება და მთავრობის შეშფოთება გამოიწვია. დიპლომატიური არხებით იმართებოდა მოლაპარაკებები, რომელთა დროს რუსული მხარე ყოველმხრივ ცდილობდა თავიდან აერიდებინა აკსტრია-უნგრეთის თავდასხმა სერბეთზე. 28 ივნისს ბელგრადში, აკსტრიელი დესპანის კაბინეტში, გარდაიცვალა რუსეთის ელჩი ა.ა. გარტვიგიძე: მისმა გულმა ვერ გაუძლო როგორ მოლაპარაკებების დაძაბულობას, რომელსაც იგი აწარმოებდა დიდი ომის თავიდან აკილების მიზნით.

რა თქმა უნდა, შეიძლება ავსტრიის მთავრობას ეჭვი ჰქონოდა, რომ ტერაქტთან სერბეთის აგენტურა იყო დაკავშირებული, მაგრამ ამ კავშირის დასასაბუთებლად არავთარი მტკიცებულება არ გააჩნდა. შემდგომში კი ცხადი გახდა, რომ გავრილო პრინციპს სერბეთის სახელმწიფოს წარმომადგენლებთან კონტაქტი არ ჰქონია და ამიტომ სერბის მთავრობის კავშირი ერცჰერცოგისა და მისი მეუღლის მქონელობასთან არ დასტურდებოდა. მიუხედავად ამისა, ავსტრიის მთავრობამ ბელგრადს წაუყენა ულტიმატუმი. ულტიმატუმის ტექსტი დამტკიცებული იყო ავსტრია-უნგრეთის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე 6 (19) ივლისს, მაგრამ, რადგან იმ დღეებში პეტერბურგში ვიზიტით იმყოფებოდა რუსეთის მოკავშირე საფრანგეთის პრეზიდენტი რ. პუანკარე, ულტიმატუმის წაყენება გადაიდო: ვენაში არ სურდათ, რომ ულტიმატუმის გაცნობისთანავე რუსეთსა და საფრანგეთს მაშინვე დაეწყოთ მოელაპარაკებები ერთობლივ შეთანხმებულ მოქმედებებზე. ულტიმატუმი წაყენებულ იქნა ბელგრადში ავსტრია-უნგრეთის დესპანის გიზლემის მიერ 10 (23) ივლისს, რ. პუანკარეს პეტერბურგიდან გამგზავრების შემდეგ ერთ საათში.

ულტიმატური შეიცავდა მოთხოვნებს, რომლებიც აბსოლუტურად
მიუღიერდებოდი იყო ნებისმიერი სუპერინული სახელმწიფოსთვის, კურძო:

„Народна Одбрана“,

მოხდეს ამ საზოგადოების პროპაგანდის ყველა საშუალების კონფისკაცია და გატარებულ იქნას იგივე ღონისძიებები სერბეთის სხვა საზოგადოებებისა და დაწესებულებების მიმართ, რომლებიც ეწევიან ავსტრია-უნგრეთის მონარქიის საწინააღმდეგო პროპაგანდას...

3) სერბეთშიმოქმედისასწავლოდაწესებულებებისპროგრამებიდან, ეს ეხება როგორც მოსწავლეთა პირად შემადგენლობას, ასევე სწავლების საშუალებებს, დაუყოვნებლივ ამოღებულ იქნას ყოველივე ის, რაც ემსახურება ან შესაძლებელია ემსახურებოდეს ავსტრია-უნგრეთის საწინააღმდეგო პროპაგანდის გავრცელებას;

4) სამხედრო და ადმინისტრაციული სამსახურიდან გათავისუფლდეს საერთოდ ყველა ოფიცერი და თანამდებობის პირი, რომლებიც დამნაშავენი არიან ავსტრია-უნგრეთის მონარქიის წინაშე. ავსტრია-უნგრეთის მთავრობა იტოვებს უფლებას, აცნობოს სერბეთის მთავრობას მათი ვინაობა მათ მიერ ჩადენილი ქმედებების მითოთებით.

5) რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის მიზნით, რომელიც მიმართულია მონარქიის (იგულისხმება ავსტრია-უნგრეთის მონარქია

— დეპ. ვ.ც.) ტერიტორიული ხელშეუხებლობის წინააღმდეგ, სერბეთში დაიშვას ავსტრია-უნგრეთის სადამსჯელო ორგანოებთან თანამშრომლობა;

6) ჩატარდეს სასამართლო გამოძიება იმ პირთა მიმართ, ვინც მონაწილეობდა 15 ივნისის შეთქმულებაში და იმყოფება სერბეთის ტერიტორიაზე. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ პირების ძებნაში მონაწილეობას მიიღებენ ავსტრია-უნგრეთის მთავრობის მიერ მივლინებული პირები.

9) ავსტრია-უნგრეთის მთავრობას განემარტოს, რომ დაუშვებელია სერბეთის მაღალი თანამდებობის პირების მიერ როგორც სერბეთში, ასევე საზღვარგარეთ გაკეთებული განცხადებების გამართლება, რომლებმაც, მიუხედავად მათ მიერ დაკავებული ოფიციალური მდგრამარეობისა, 15 ივნისის თავდასხმის შემდეგ მიცემულ ინტერვიუებში უფლება მისცეს საკუთარ თავს, ესაუბრათ ავსტრია-უნგრეთის მონარქიასთან მიმართებაში მიუღებელი და მტრული ჭონით...»

სერბეთის დესანტა რუსეთში სპოლაკოვიჩმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ს.დ. საზონოვს შეხვედრის დროს აცნობა, რომ კონფლიქტის დაწყებისთანავე «ბელგრადის ხელისუფლება აღნიშნავდა, რომ ისინი შზად არიან დასაჯონ შეთქმულებაში მონაწილე პირები. მსგავსი საკითხების მოგვარება ყოველთვის დაინტერესებულ მთავრობებს შორის ურთიერთმოლაპარაკებების გზით

ხდება და მოცემულ შემთხვევაშიც რაიმე გაუგებრობას აღვილი არ შეიძლება ჰქონდეს... ბოსნიისა და ჰერცოგოვინას საკითხი ევროპის დაინტერესებული ქვეყნების მოლაპარაკებების საგანი იყო და ამიტომ... სერბეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის საკითხიც ევროპის იმავე ქვეყნების მთავრობებმა უნდა განიხილონ და მათვე უნდა დაადგინონ, რამდენად სამართლიანია ავსტრიის მიერ სერბეთისთვის წაყენებული ბრალი. ხომ არ შეიძლება, რომ ავსტრია ერთდროულად მბრალდებელიც იყოს და მოსამართლეც!»



ავსტრიული კარიკატური: «სერბეთი უნდა განადგურდეს!»

ევროპის დედაქალაქებმა ომის საფრთხის შემცველ კონფლიქტზე დაუყონებლივ დააფიქსირეს თავიანთი დამოკიდებულება. პარიზის გაზეთი «Journal des Débats», გამოხატავდა რა საფრანგეთის მთავრობის პოზიციას, იმ დროს წერდა: «თავდასხმა, რომელსაც სერბეთზე ამზადებენ, დაუშვებელია. სერბეთი უნდა დათანხმდეს ყველა მოთხოვნას, რომელიც არ არღვევს მის დამოუკიდებლობას, დაიწყოს გამოძიება და დაადგინოს დამნაშავეების ვინაობა. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მისგან უფრო მეტს მოითხოვენ, მას უფლება აქვს, არ დათანხმდეს. თუ მის წინააღმდეგ ძალას გამოიყენებენ, მაშინ ევროპის საზოგადოებრივი აზრი და დიდი სახელმწიფოები, რომელთა მიზანია ევროპაში წონასწორობის დაცვა, ვერ დარჩებიან გულგრილნი და სერბეთის თხოვნა, დაეხმარონ მას, ამაო არ იქნება». იქნება».

მაგრამ გერმანიაში ავსტრიულმა ულტიმატუმმა საბრძოლო ენთუზიაზმი გააღვივა. გაზეთმა «Berliner Lokal Anzeiger» შემდეგი კომენტარი გააკეთა: «ნოტა რისხვითაა ნაკარნახები... მოხუცი იმპერატორის მოთმინების ფიალა აივსო. რა თქმა უნდა, ბელგრადში ნოტას სილის გაწის ეფექტი ექნება, მაგრამ სერბეთი მიიღებს დამამცირებელ მოთხოვნებს, თუ არადა, ავსტრიული თოფები, რომლებიც ასე ხშირ-ხშირად იტენება, თავისთვალი გაისვრის. ამაო იქნება

ბელგრადის მცდელობა, დახმარებისთვის მიმართოს პეტერბურგს. გერმანელი ხალხი თავისუფლად ამოისუნთქავს. ის მიესალმება ვენის მოკავშირის გამბედაობასა და სიმტკიცეს და უახლოეს დღეებში დაამტკიცებს თავის ერთგულებას».

რუსეთის მთავრობის რეაქცია ავსტრიის ულტიმატუმზე და- ფიქსირდა «Русский инвалид»-ის 12 ივლისის გამოშვებაში: «მთა- ვრობა ძალიან შეწუხებულია მიმდინარე მოვლენებითა და სერბე- თისთვის ულტიმატუმის წაყენებით. მთავრობა ფხიზლად ადევნებს თვალს ავსტრია-სერბეთის კონფლიქტის განვითარებას, რომლის მიმართ რუსეთი ვერ დარჩება გულგრილი».

13 ივლისს სერბეთმა ულტიმატუმზე უკიდურესად კომპრომისული პასუხი გასცა: ავსტრიელების მხრიდან წაყენებული მოთხოვნების უმეტესობა მიღებული იქნა, მაგრამ სერბეთი არ დაეთანხმა მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც ავსტრია-უნგრეთის ხელისუფლება სერბეთის ტერიტორიაზე მიმდინარე სასამართლო გამოძიებაში უნდა ჩარეცდის, რაც არღვევდა სერბეთის სახელმწიფოს სუვერენიტეტს. სერბეთის მთავრობის შშვიდობის მოყვარე პოზიციამ შთაბეჭდილება მოახდინა თვით გერმანიის იმპერატორ ვილჰელმ II, რომელმაც სერბების პასუხი დამაკმაყოფილებლად ჩათვალა.

მაგრამ ავსტრიის მთავრობამ, როგორც იტყვიან, „კრიჭა შე- კრა“. მან ეს პასუხი დამაკმაყოფილებლად არ ჩათვალა და იმავე დღეს სერბიასთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა. ომი გარდაუვალი იყო. ორი დღით ადრე, 11 ივლისს, სერბეთის უფლ- ისწულმა-რეგენტმა ალექსანდრემ დეპეშა გაუგზავნა იმპერატორ ნიკოლოზ II: «ჩვენ ვერ შევძლებთ თავის დაცვას. ამდენად, გევედრებით თქვენ, თქვენო უდიდებულესობავ, რაც შეიძლება სწრაფად და- გვეხმაროთ». ამ დეპეშაზე წმინდა იმპერატორმა ნიკოლოზ II სამი დღის შემდეგ უპასუხა: «ვიდრე არსებობს სისხლისღვრის თავიდან აცილების სულ მცირე იმედი, მთელი ჩვენი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ამ მიზნისქენ. თუკი, ჩვენი გულწრფელი სურვილისდა მი- უხედავად, დახმარებას ვერ მოვასწრებთ, თქვენი უდიდებულესობა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ რუსეთი სერბეთის ხვედრისადმი გუ- ლგრილი არ დარჩება».

15 ივლისს ავსტრია-უნგრეთმა ომი გამოუცხადა სერბეთს. გა- ერთიანებულ მონარქიაში დაიწყო საყოველთაო მობილიზაცია. ავ- სტრია-უნგრეთის ჯარი უახლოვდებოდა არამარტო სერბეთის, არ- ამედ რუსეთის საზღვრებსაც.

შექმნილი კითარებიდან გამომდინარე, რუსეთის მთავრობამ ავსტრიის საზღვართან მომიჯნავე ოთხ სამხედრო ოლქში მობილიზაციის ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო. მთავრობის გადაწყვეტილება არ გაიზიარა გენერალური შტაბის უფროსმა. ნ.ნ. იანუშკევიჩის აზრით, აუცილებელი იყო საყოველთაო მობილიზაციის ჩატარება. მან აღნიშნა, რომ ავსტრია-უნგრეთის რუსეთთან დაპირისპირების შემთხვევაში, გერმანია ომში ნამდვილად დაუჭერდა მხარს თავის უახლოეს მოკავშირეს ავსტრია-უნგრეთს; ნაწილობრივი მობილიზაციის ჩატარებას კი შეეძლო გაერთულებინა საყოველთაო მობილიზაციის გეგმის შესრულება, რომელიც, როგორც წესი, წინასწარ დეტალურად იყო დამუშავებული გენერალურ შტაბში: მომზადებული გეგმების დარღვევის გამო შესაძლებელია ლოგისტიკური პრობლემები წამოჭრილიყო. გენერალის წინადაღება მეფემ გაიზიარა მხოლოდ სამხედრო მრჩეველებთან მოთათბირების შემდეგ. 17 ივლისს, მისი ბრძანებით, ნაწილობრივი მობილიზაცია შეიცვალა საყოველთაო მობილიზაციით.

აცნობიერებდა რა მოახლოებული საფრთხის მასშტაბებს, ნიკოლოზ II მაინც ცდილობდა ომის თავიდან აცილებას. მას, მისი და თავისი მეუღლის ახლო ნათესავის, გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ II კეთილგონიერების იმედი ჰქონდა. იმავე დღეს ნიკოლოზ II დეპეშა გაუგზავნა გერმანიის იმპერატორს, რომელიც რუსეთის მთავრობისაგან მობილიზაციის შეწყვეტას მოითხოვდა:

„ტექნიკური თვალსაზრისით შეუძლებელია ჩვენი სამხედრო მომზადების შეჩერება, რაც ავსტრიაში ჩატარებული მობილიზაციის გარდაუგალი შედეგი იყო. ჩვენ არ გვსურს ომი. ვიდრე ავსტრიასთან სერბეთის საკითხზე მოლაპარაკებები გაგრძელდება, ჩემი ჯარები არ წამოიწყებენ არცერთ საომარ მოქმედებას. მე სრული პასუხისმგებლობით გაძლევ ამ სიტყვას.“.

გერმანიის საპასუხო რეაქცია სიკეთის მომასწავებელი არ იყო. 18-დან 19 ივლისის დამეს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ს.დ. საზონოვს ეწვია გერმანიის ელჩი პეტერბურგში პურტალესი. მან მინისტრს წაუყენა მოთხოვნა, დაუყონებლივ შეეწყვიტათ მობილიზაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში ომის გამოცხადებით დაემუქრა. გერმანიის მთავრობამ რუსეთთან ულტიმატუმის ენით დაიწყო საუბარი, რაც, რათქმა უნდა, სუვერენული და დიდი სახელმწიფოსთვის მიუღებელი იყო. ულტიმატუმის პირობებზე ელჩმა უარი მიიღო, თუმცა საზონოვმა იქვე დაუდასტურა, რომ ავსტრიის სერბეთთან მოლაპარაკებების პერიოდში რუსეთი არ დაიწყებდა მათ წინააღმდეგ საომარ მოქმედებებს.



1914 წლის 19 ივნისს (1 აგვისტოს) 7 საათსა და 10 წუთზე პურტალებმა საზონოვს გადასცა ომის გამოცხადების ოფიციალური აქტი. ასე დაიწყო დიდი ომი და, იმავდროულად, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, დაიწყო „არაკალენდარული, ნამდვილი მეოცე საუკუნე“. 20 ივნისს სანკტ-პეტერბურგში (რომელსაც სულ მაღვე, პატ-რიოტული ენთუზიაზმის გავლენით, პირველად შეუცვლიან სახელს და პეტროგრადს დაარქმევენ) სასახლის მოედანი ხალხით გაივსო. როდესაც ზამთრის სასახლის აივანზე ნიკოლოზ II გამოვიდა, გაისმა შეძახილები — „ვაშა“, აუღერდა პიმი „უფალო, დაიფარე მეფე!“, ხალხმა დაიჩოქა; თითქოსდა, საუკუნის დასაწყისში გადატანილი რევოლუციური შფოთი საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს. არმიისა და ფლოტის მაღალი თანამდებობის პირებისთვის სასახლეში მოწყობილ მიღებაზე, იმპერატორმა აღნიშნა: „მე აქ საზეიმოდ ვაცხადებ, რომ არ დავდებ საზავო ხელშეკრულებას, ვიდრე მტრის უკანასკნელი მებრძოლი არ დატოვებს ჩვენს მიწა-წყალს“. იმავე დღეს გამოვიდა უმაღლესი მანიფესტი, რომელიც ასე მთავრდებოდა: «ამჯერად მოგვიწევს, დავიცვათ არა მარტო უსამართლოდ განაწყენებული ჩვენი მონათესავე ქვეყანა, არამედ რუსეთის პატივიც, ღირსებაც, მთლიანობაც და მისი ადგილიც დიდ სახელმწიფოთა შორის».

როგორც ციტირებული დოკუმენტებიდან ჩანს, ომის წინ რუსეთმა თავისი მონარქის პიროვნებაში აღმოაჩინა ისეთი თვისებები, როგორიცაა უდიდესი მშიდობისმყოფელობა, კომპრომისებისადმი შხადებოფნა, და ყოველივე ეს — პატივისა და ღირსების შენარჩუნებით, ერთორწმუნება თვისტომი სერბეთის ერთგულებით, რომელსაც თავის დროზე დამოუკიდებლობის გარანტიები ჰქონდა მიცემული. ასეთია მოვლენათა მორალური მხარე და შეფასება. მაგრამ რა მდგომარეობაა პოლიტიკურ-პრაგმატული თვალსაზრისით, როგორ აღიქმებოდა ეს მოვლენები რუსეთის სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე? დიდი ომის მოახლოებაზე, უფრო მეტიც, მის გარდაუვალობაზე

ფიქრობდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებსა და სხვადასხვა ფენებში: პოლიტიკურ ოლიმპზე — მინისტრები, დიპლომატები და გენერლები, ოპოზიციური პარტიები და რევოლუციური იატაკქვეშეთი, პოლიტიკურად ანგაურებული ინტელიგენცია და აპოლიტიკური წრები. ეს განწყობა ომისწინა წლებისა და თვეების საგაზეთო პუბლიკაციებში აისახა. ომის მოახლოებაზე მიუთითებდა გერმანიასა და საფრანგეთს შორის არსებული სერიოზული უთანხმოება. საფრანგეთი ვერ შეურიგდა ელჩასისა და ლოტარინგიის დაკარგვას და თავისი საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკა უმაღლეს მიზანს — რევანშს დაუქვემდებარა. ავსტრია-უნგრეთი, ვერ დაკმაყოფილდა რა ბოსნიისა და ჰერცოგოვინას ანექსით, აგრძელებდა ბალკანეთში ექსპანსიას. მისი მიზანი აშკარა იყო — დაემორჩილებინა ბალკანეთის მართლმადიდებელი ქვეყნები, რომლებზეც ოსმალეთის იმპერია ნაბიჯ-ნაბიჯ კარგავდა ძალაუფლებას. ჰაბსბურგების იმპერიის მსგავს პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა მართლმადიდებელი რუსეთი, რომლისთვისაც ეს ექსპანსია მიუღებელი იყო. გერმანიასა და დიდ ბრიტანეთს შორის იზრდებოდა მეტოქეობა უცხოური კოლონიებისთვის. გერმანიას, მიუხედავად თავისი ინდუსტრიული და სამხედრო ძლიერებისა, კოლონიები ნაკლებად ჰქონდა. და ეს მხოლოდ აისძერგის მწვერვალი იყო დიდ ევროპულ სახელმწიფოებს შორის არსებული უთანხმოებისა.

ამ სიტუაციაში, თუ ომი დაიწყებოდა, რუსეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა უფრო ძლიერ კოალიციაში ყოფნას. და მართლაც, რუსეთის მთავრობის გათვლები გამართლდა. დაიწყო რა რუსეთის წინააღმდეგ ომი, გერმანიის ხელისუფლებას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ საფრანგეთი, რომელსაც რუსეთთან მეჯობრული ხელშეკრულება ჰქონდა დადებული და რომელსაც 1871წლის სამარცხვინო წაგებისთვის სამაგიეროს გადახდა სწუუროდა, არ დაარღვევდა შეთანხმებას. ამიტომ, სამხედრო-სტრატეგიული მოსახრებებიდან გამომდინარე, გერმანია არ დაელოდა პოტენციური მოწინააღმდეგის რეაქციას და 21ივლისს ომი გამოუცხდა საფრანგეთს. ავსტრია-უნგრეთი, რომლის აგრესიულმა მოქმედებებმა სერბეთის წინააღმდეგ აღაშფოთა ევროპა, აგვიანებდა რუსეთისთვის ომის გამოცხადებას. ამ პაუზის უკან დიპლომატიური ფანდი იმაღლებოდა: იტალიამ, რომელიც გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთთან ერთად სამთა კაშირში შედიოდა, თავისი სამოკავშირეო ვალდებულებები ომის თავდაცვითი მიზნებით შემოფარგლა. ის ფაქტი, რომ არა რუსეთმა გერმანიას, არამედ გერმანიამ გამოუცხადა ომი

ჯერ რუსეთს და შემდეგ კი საფრანგეთს, იტალიას ათავისუფლებდა მოვალეობისგან, ებრძოლა თავისი მოკავშირეების მხარეზე. ამიტომ ავსტრია დროს ჭიმავდა, რუსეთის მხრიდან თავდასხმას ელოდებოდა. მაგრამ, სამხედრო მოსაზრებებიდან გამომდინარე, ის მაინც იძულებული გახდა 24 ივლისს პირველს გამოეცხადებინა ომი რუსეთისთვის. იტალიამ მაშინ ნეიტრალიტეტის პოლიტიკა აირჩია, ხოლო მოგვიანებით, 1915 წელს, ჩაერთო ომში და ანტანტის მხარეზე იბრძოდა. საქმე ისაა, რომ იტალია მერყეობდა, ვერ გადაეწყვიტა, ვინ აერჩია მოკავშირედ. მას ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდა როგორც საფრანგეთთან, ნიცის გამო, ასევე ავსტრია-უნგრეთთან, ტრიესტისა და სამხრეთ ტიროლის გამო. ასე რომ, გამოვიდოდა რა სამთა კავშირიდან, იტალიას არჩევნის გაკეთების საშუალება ექლეოდა — მოკავშირედ აერჩია ის მხარე, რომელსაც გამარჯვების მეტი შანსი ექნებოდა.

დიდი ბრიტანეთი საფრანგეთთან მოკავშირეობის ხელშეკრულებით — „გულითადი კავშირით“, ანუ ანტანტით იყო დაკავშირებული, მაგრამ, რამდენადაც მას ცენტრალურ აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში სერიოზული უთანხმოება ჰქონდა რუსეთთან, ბრიტანეთის მთავრობა ომში ჩართვას არ ჩქარობდა. მაგრამ, როდესაც გერმანიის არმიამ, იმის გამო, რომ საფრანგეთის მხრიდან საზღვარი, საინჟინრო თვალსაზრისით, ძლიერად იყო გამაგრებული და სწორედ იქ იყო თავმოყრილი მოწინააღმდეგის ყველაზე ბრძოლისუნარიანი ძალები, გადაწყვიტა, ნეიტრალური ბელგიის ტერიტორიიდან იერიში მიეტანა პარიზზე, ლონდონმა ულტიმატუმის ტონით მოთხოვა გერმანიას, პატივი ეცა ამ ქვეყნის ნეიტრალიტეტისთვის და გამოეყვანა თავისი ჯარი. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობისა და გენერალური შტაბის სტრატეგიული გათვლები ბრიტანულ ნეიტრალიტეტს ემყარებოდა, გერმანიამ ბრიტანეთის მოთხოვნას ყურადღება არ მიაქცია.

22-დან 23 ივნისის დამეს დიდმა ბრიტანეთმა ომი გამოუცხადა გერმანიას. 1 აგვისტოს ანტანტას შეუერთდა ბრიტანეთის მოკავშირე იაპონია. იმ დროისთვის ნეიტრალური რუმინეთი, მიუხედავად იმისა, რომ მისი მეფე, პოენცოლერნების დინასტიის წარმომადგენელი, კარლის I ამაღლ ცდილობდა მთავრობის დაყოლებას, გერმანიისა და ავსტრიის მხარეზე ჩაბმულიყვნენ საომარ მოქმედებებში, მოგვიანებით ანტანტას მხარეზე ჩაერთო ომში. გერმანიამ და ავსტრიამ, თავის მხრივ, მოკავშირეობაზე დაიყოლიეს ოსმალეთის იმპერია და ბულგარეთი. 1917 წელს, როდესაც საბოლოოდ გაირკვა

მსოფლიო ომის შედეგები, ანტანტას მოკავშირე გახდა ამერიკის შეერთებული შტატები.

ამგვარად, მნიშვნელოვანი უპირატესობა, როგორც შეიარაღებული ძალებისა და მოსახლეობის, ასევე ეკონომიკური მასშტაბების თვალსაზრისითაც, ანტანტის მხარეზე იყო. გერმანელი ჯარისკაცების სამხედრო მოშზადება და სიმამაცე, გერმანელი გენერლებისა და ოფიცირების მაღალი პროფესიონალიზმი მოწინააღმდეგის ამ კოლოსალურ უპირატესობას ვერ გადაწონიდა. ორ ფრონტზე გაშლილი ომის კოშმარი, რომლისაც ასე ეშინოდა ბრძენ პოლიტიკოს ოტო ბისმარქს და ამის თაობაზე აფრთხილებდა კიდეც გერმანიას, რეალობა გახდა, რამაც მისი დამარცხება განაპირობა. ასე რომ, ჩაება რა ომში, რუსეთი გააზრებულად, მტკიცე პრაგმატული გათვლით მოქმედებდა.

და მაინც, რუსეთისთვის ეს ომი არანაკლები კატასტროფული შედეგებით დამთავრდა, ვიდრე გერმანიისთვის. საგაზეთო პუბლიკაციებში ხშირად შეხვდებით მოსაზრებას, რომ ამ ომში რუსეთი დამარცხდა: ეს, რა თქმა უნდა, აბსურდული მოსაზრებაა — ერთის დამარცხების შემთხვევაში გამარჯვებული ხდება მეორე მხარე. დამარცხდნენ რუსეთის მოწინააღმდეგები, ომის გამჩაღებლები. მათზე გამარჯვება, ძირითადად, მოპოვებულ იქნა რუსი ჯარისკაცების მსხვერპლად გაღებული სისხლით, რომლებმაც გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ცოცხალი ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი გაანადგურეს. თუმცა, როდესაც 1919 წელს ვერსალის სამშვიდობო კონფერენციაზე გამარჯვებულები ტერიტორიებს ინაწილებდნენ, რუსეთი ამ განაწილებაში მონაწილეობას არ იღებდა.

ვერსალში მისი დელეგაციის არყოფნის მიზეზი არა მარტო ყოფილი მოკავშირეების უსამართლობა იყო: რუსეთის კონფერენციაში მონაწილეობისგან აცილების საბაზი გახდა, გერმანიისა და ავსტრიის განადგურების წინ, მისი გამოსვლა ომიდან და ბრესტის ზავის დადება. ცნობილია, რომ ბრესტ-ლიტვის სამშვიდობო ხელშეკრულებას წინ უსწრებდა რევოლუციური კატასტროფა: წმინდა იმპერატორის ნიკოლოზ II იძულებითი გადადგომა ტახტიდან — საიმპერატორო სახლის წევრების, დიდ თავადთა ინტრიგების, უმაღლესი სამხედრო მხედართმთავრების დაუფარავი დალატისა და იმ პოლიტიკური ოპოზიციონერების შეთქმულების გამო, რომლებიც 1917 წლის თებერვლის საბედისწერო დღეებში აშკარა რევოლუციონერები აღმოჩნდნენ. მრავალვნებული მეფე გადადგა თავისი ძმის, დიდი თავადის

მიხეილ ალექსანდრეს ძის სასარგებლოდ, რომელმაც საიმპერიო ძალაუფლებაზე უარი განაცხადა. იმ დროისთვის დათხოვილი სახელმწიფო დუმის დეპუტატების უმნიშვნელო წარმომადგენლობაში თავრიზის სასახლეში კრება გამართა და შექმნა დროებითი მთავრობა, რომლის შემადგენლობა შეათანხმეს იმავე დარბაზში სასწრაფოდ ჩამოყალიბებულ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დეპუტატებთან. ამით საფუძველი ჩაეყარა ახალ რუსულ არეულობას, რომლის ტალღაზეც, თითქმის ერთი წლის შემდეგ, პეტროგრადში ხელისუფლებაში მოვიდა პარტია, რომლის ლიდერი დიდი ომის დასაწყისისთანავე თავისი ქვეყნის დამარცხების მომხრე იყო ამ ომში და გამოთქვამდა იმედს (რომელიც სავსებით გამართლდა), რომ რუსეთში ხალხთა შორის ომი სამოქალაქო ომში გადაიზრდებოდა. თანაც, 1918 წელს, ბრესტის ხელშეკრულების დადების დროს, სახალხო კომისრების საბჭო (რომელმაც გადააყენა ისეთივე თვითმარქება დროებითი მთავრობა, როგორიც თვით იყო), ომის გაგრძელებისთვის შზადაც რომ ყოფილიყო (რისკენაც მას უბიძებდა ბოლშევკიების ლიდერების უმრავლესობა), მოკლებული იყო ამ შესაძლებლობას: მეფის ჩამოგდების შემდეგ დაწყებულმა მოქმედი არმიის დაშლის პროცესმა, ერთ წელიწადში ლოგიკურ ფინალს მიაღწია - მასობრივი დეზერტირობა და ფრონტის რღვევა გამოიწვია.

რუსეთის იმპერიის დაცემა თავის დროზე ნაწინასწარმეტყველები იყო პროფეტიკულად დირსი სერაფიმე საროველის, ხოლო ისტორიოსოფიურად — კ.ნ. ლეონტიევის მიერ, ასევე პოეტურადაც — მ.ი. ლერმონტოვის ახალგაზრდულ, თითქმის ბავშვობის დროინდელ ლექსში: «დადგება ჟამი, რუსეთისთვის შავბნელი ჟამი; ოდეს გვირგვინი მეფების ძირს დაუცემა; ბრძო დაივიწყებს მის სიყვარულს წინარე ჟამის, და მრავალთ საზრდოდ სიკვდილი და სისხლი გადაიცცევა».

რუსეთის ომში ჩაბმის შემდეგ მოვლენების განვითარების პოლიტიკური პროგნოზი დეტალურად წინასწარ განვერიტა გამოცდილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, კოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა პ.ნ. დურნოვომ. ის ალექსანდრე III დროს დაწყებული რუსეთისა და რესპუბლიკური საფრანგეთის დაახლოების პროცესის წინააღმდეგი იყო და წინამორბედი მეფობის დროინდელი გერმანოფილური ორიენტაციის რუსული დიპლომატიის დაბრუნებისკენ მოუწოდებდა. 1914 წლის თებერვალში, ხელმწიფის სახელზე გადაცემულ „ბარათში“, დურნოვო აფრთხილებდა, რომ გერმანიასთან ომში რუსეთს «გერმანული თავდაცვის ყველაზე ძლიერი ხაზის გატარვნის როლი» დაეკისრება,

და რომ „წარუმატებლობის შემთხვევაში... სოციალური რევოლუცია, მისი ყველაზე უკიდურესი გამოვლინებით, ჩვენთან გარდაუგალია... სოციალისტური ლოზუნგები ერთადერთი საშუალებაა, რასაც შეუძლია მოსახლეობის ფართო მასების გამოღვიძება და ერთ მუშტად შეკვრა; თავდაპირველად „შავი“ გადანაწილება, შემდეგ კი მთელი ქონებისა და ფასეულობების საყოველთაო გაყოფა. დამარცხებული არმია, რომელმაც ომის დროს თავისი საკადო შემადგენლობის ყველაზე სანდო ნაწილი დაკარგა და უმეტესწილად მიწისადმი გლეხური ლტოლვით ხასიათდება, იმდენად დემორალიზებული აღმოჩნდება, რომ კანონიერებისა და წესრიგის ბურჯი ვეღარ იქნება. საკანონმდებლო დაწესებულებები და ხალხის თვალში ნამდვილ ავტორიტეტს მოკლებული ოპოზიციურ-ინტელიგენტური პარტიის ვეღარ შეაჩერებენ მათ მიერვე აღზევებული ხალხის მღელვარებას და რუსეთი ჩავარდება ანარქიის წყვდიადში, საიდანაც გამოსავლის გზების წინასწარგანჭვრეტაც კი შეუძლებელია».

იგი მართალიც აღმოჩნდა. იმპერატორი ნიკოლოზ II გერმანიასთან ომის საშიშროებას აცნობიერებდა. ნებისმიერ შემთხვევაში, მას არ სურდა რუსეთის ჩაბმა ამ ოში, მაგრამ ავსტრიის მთავრობის მიერ ერთმორწმუნე სერბეთისთვის, შემდეგ კი გერმანიის მიერ თავად რუსეთისთვის წაყენებულმა ულტიმატუმმა, არჩევანი არ დაუტოვა: მოკვდავი ადამიანი თავისი ქმედებების ყველა შესაძლო შედეგს წინასწარ ვერ გათვლის, მაგრამ ქრისტიანი ყველა ვითარებაში ქრისტიანული სინდისის კარნახით უნდა მოქმედებდეს. 1914 წლის ივლისში იმპერატორი ნიკოლოზ II სინდისიერად მოიქცა — სერბეთი დასაგლეჯად არ გაიმეტა.

ხალხური სიბრძნის თანახმად: „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“. ღმრთის განგებას რუსეთი მისთვის განკუთვნილი გზით მიყავდა. თავის დროზე დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ კ.პ. პობედონოსცევმა მრავალმნიშვნელოვანი სიტყვები წარმოთქვა: „რუსეთი რომ არ დაჭაოდეს, უნდა მოყინო“. მას, რა თქმა უნდა, მხედველობაში სულაც არ ჰქონდა ისეთი მოყინვა, როგორის ატანაც რუსეთს სინამდვილეში მოუწია. მაგრამ რუსეთმა ამ გამოცდას გაუძლო.

რაც შეეხება რუსეთისთვის მსოფლიო ომის შედეგებს: როგორც ამ ოში ერთ-ერთმა გამარჯვებულმა, საფრანგეთის მარშალმა ფ. ფოშმა აღნიშნა, ვერსალის საზაო ხელშეკრულება, რამდენადაც მან ვერ გადაჭრა ქვეყნებს შორის არსებული ომის გამომწევევი უთანხმოებები, აღმოჩნდა არანამდვილი მშვიდობა, არამედ მხოლოდ დროებითი


ზავის ხელშეკრულება. 20 წლის შესვენების შემდეგ ომი განახლდა. განახლდა თითქმის იმავე მონაწილეებით, როგორც მსოფლიო-ისტორიული დრამის პირველ აქტში და 1945 წელს რუსეთისა და მისი მოკავშირეებისთვის ტრიუმფალური გამარჯვებით დამთავრდა. მაგრამ ეს უკვე სხვა ისტორიაა.

თანამედროვეობასა და ასი წლის წინანდელ მოვლენებს შორის პარალელის გავლება არ შეიძლება. არ შეიძლება იმიტომ, რომ ამჟამად არ არიან ისეთი შეშლილები და უგუნურები, რომლებიც გარისკავნენ და გააჩადებენ მსოფლიო ომს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. მაგრამ ერთი რამით მაინც ეხმადებიან ეპოქები ერთმანეთს: როგორც 1914 წელს, რუსეთი ისევ უწევს მფარველობას ხალხს, რომელიც აგრესიის მხვერპლი გახდა; ხალხს, რომლის საკმაო ნაწილი ჩვენი ერთმორწმუნეა — სირიელი მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომლებსაც, როგორც ამ ქვეყნის სხვა რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს, ამ კონფლიქტში რუსეთის მონაწილეობის გარეშე განადგურება, გაძევება ან, ყველაზე მცირე, დამამცირებელი უუფლებობა ემუქრებოდა.

თარგმანი* თამარ ფანცულაიასი.



* თარგმნილია ტექსტიდან: Протоиерей Владислав Цыпин, Так кто же начал первую мировую войну?! <http://www.pravoslavie.ru>. 2016.



მიხეილ ჩისტი

1936-38 ფლების მოსკოვის პროცესები: სხვაგვარად-მოაზროვნეთა თუ ეხუთი კოლონის განადგურება?¹

გარდაქმნის შემდგომ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში სათავეში მოვიდნენ პოლიტიკური ძალები, რომლებიც “მსოფლიო საზოგადოებრიობის” მხარდაჭერით სარგებლობდნენ. საშინაო და საგარეო პოლიტიკაში მიღებული ყველა ძირითადი გადაწყვეტილება შეთანხმებული იყო მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მთავრობებთან, რაც რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ამჟამად, ყირიმისა და სევასტოპოლის რუსეთთან ხელახლა შემორთების შემდეგ, გააქტიურდა დასავლეთზე ორიენტირებული პოლიტიკური გაერთიანებების საქმიანობა, რომლებიც საკუთარ თავს “დემოკრატებსა” და “ლიბერალებს” უწოდებენ. მათი მიზანია, დააბრუნონ რუსეთი მათი მმართველობის 90-ან წლებში.

ამასთან დაკავშირებით, უდავოდ აქტუალურია იმ ძალთა საქმიანობის ანალიზი, რომლებსაც ხელისუფლებასთან საბრძოლველად უცხო სახელმწიფოების იმდი აქვთ. მეტად მნიშვნელოვანია, პასუხი მოვქებნოთ კითხვაზე: იბრძვიან თუ არა ისინი ჩვენი სახელმწიფოს ან, როგორც თავად ამბობენ, რეუიმის წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც დასავლეთის ქვეყნები, მათი აზრით, “დემოკრატიისთვის” ბრძოლაში მხარდაჭერას უცხადებენ და რეალურად ეხმარებიან მათ? ამ კუთხით, განსაკუთრებულ ყურადღებას “მემარჯვენე-ტროკისტული” ბლოკი იმსახურებს, რომლის საქმიანობაშიც უამრავი “თეთრი ლაქაა”.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში, თავად მემარჯვენე მოძრაობის შიგნითაც კი, 1936-38 წლების პროცესების თემა (ტროკ-

¹ Михаил Чистый, аспирант Исторического факультета МГУ, Московские процессы 1936 – 1938 гг.: разгром инакомыслящих или пятой колонны? 2016.

ისტულ-ზინოვიევური ცენტრი, ტროცკისტული პარალელური ცენტრი, მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი) ერთ-ერთი ყველაზე სადისკუსიო თემაა. ჯერ კიდევ 1956 წელს ჩატარებულ სპპ² XX ყრილობაზე ცდილობდნენ შეემუშავებინათ მოსაზრება, რომლის თანახმად, ტროცკისტებმა და ბუხარინელებმა კავშირი გაწყვიტეს ტროცკისთან და 1937 წლისთვის ი.ბ. სტალინის მხარეზე გადავიდნენ. 6.ს. ხრუშჩოვმა ზემოხსენებულ ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში განაცხადა, რომ, თითქოს, ისინი ჯაშუშები, მავნებლები და შეთქმულები არ იყვნენ, რომ არ არსებობს მათი ანტისაბჭოთა საქმიანობის დამადასტურებელი არავითარი მტკიცებულება, გარდა მათი საკუთარი აღიარებისა, რომელიც გამომძიებლების მიერ წამების საფუძველზე მოკოვებული. გორბაჩოვის დროინდელ “გარდაქმნის” პერიოდში მოსკოვური პროცესების ყველა ფიგურანტი რეაბილიტირებულ იქნა. ბურუჟაზიული და მემარცხენე მკვლევრების გარკვეული ნაწილი თავისი პოზიციის ძირითად თეზის ასე აყალიბებს: ტროცკისტები და ბუხარინელები ხელისუფლების ბიუროკრატიულ გადაგვარებას უპირისპირდებოდნენ და საზოგადოების დემოკრატიზაციისთვის იბრძოდნენ, ხოლო ი.ბ. სტალინმა, თავისი ბუნებრივი დიქტატორული ჩვევებიდან გამომდინარე, ისინი, თითქოს-და, თავიდან მოიცილა.

დღეისთვის უკვე გამოვლენილია დოკუმენტების საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომლებიც ადასტურებენ ტროცკისტებისა და ბუხარინელების დანაშაულებრივ საქმიანობას. ისინი მართლაც გარეული აღმოჩნდნენ ყველა იმ დანაშაულში, რაშიც მათ 1936-38 წლების პროცესებზე ბრალი ოფიციალურად წაუყენეს. რა თქმაუნდა, ბევრი გადახრაც იყო, მაგალითად, როდესაც აღგილობრივი ხელისუფლება ერთმანეთს “ეჯიბრებოდა”, ვინ უფრო მეტი რაოდენობის კონტრრევოლუციონერებს გამოავლენდა ან ფიზიკურად გაანადგურებდა. ყოველივე ეს დაგმობილ იქნა ჯერ კიდევ ი.ბ.სტალინის დროს, რაზეც საუბარია ისეთ დოკუმენტებში, როგორიცაა სსრპ სპპ³ და სპპ(ბ) 1937 წლის 28 აპრილის დადგენილება, მათი 1938 წლის 17 ნოემბრის ერთობლივი დადგენილება, ასევე, პოლიტბიუროს მიერ 1937 წლის 5 მაისს სსრპ გენერალური პროკურორის ა.ი. ვიშნისკისთვის წარდგენილი წინადადება, რომელიც ეხებოდა არასაკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე

² საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

³ სახალხო კომისართა საბჭო.

უსამართლოდ მსჯავდებულების, დონბასის ინიციატივისა და ტექნიკოსების, ზოგიერთი სასამართლო განაჩენის გადასინჯვას. იმ დროისთვის კი, მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი, რომელსაც თავისი წარმომადგენლები ჰყავდა პარტიაში, სახელმწიფო აპარატში, წითელ არმიაში, შინაახომაში⁴ და ადგილობრივ უჯრედებში, სახელმწიფოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას აქტიურად ეწეოდა. იგი გერმანიისა და იაპონიის მხარდაჭერით სარგებლობდა და წარმატების შემთხვევაში მზად იყო მნიშვნელოვან ეკონომიკურ და ტერიტორიულ დათმობებზე წასულიყო.

ჩვენი აზრით, მოვლენათა რეალური სურათის დადგენის მიზნით, მიზანშეწონილია, უკანასკნელ წლებში გამოცემული სამამულო და უცხოური წყაროების გამოყენების საფუძველზე, სპეც XX ყრილობის დროიდან საზოგადოებაში დანერგილი მითები თანმიმდევრობით უგულებელვყოთ.

მთთი 1 1930-ან წლებში ტროცკისტები და ბუხარინის მიმდევრები სტალინური რეჟიმისთვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ. უფრო მეტიც, ბევრმა ტროცკისტთა რიგები დატოვა, ი.ბ. სტალინის მხარეზე გადავიდა და პარტიასა და სახელმწიფო აპარატში საკვანძო თანამდებობები დაიკავა.

სინამდვილეში კი, ჯერ კიდევ 1920-ან წლებში ტროცკის მომხრები კონსაირაციულ ჯგუფებს აყალიბებდნენ და მათი მეშვეობით ანტისტალინურ გეგმებს ამზადებდნენ. საიდუმლო შეკრებებზე აქტიურად მონაწილეობდა ტროცკის ვაჟიშვილი ლევ სედოვი. თავად ლევ დავითის ძემ 1938 წელს, შვილის გარდაცვალების შემდეგ გამოცემულ ბროშურაში “ლევ სედოვი: შვილი, მეგობარი, მებრძოლი” აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ 1923 წელს მისი შვილი “აქტიურად ჩაება ოპოზიციურ საქმიანობაში. სწრაფად აითვისა შეთქმულთა საქმიანობის, არალეგალური შეკრებების, საიდუმლო ბეჭდვისა და ოპოზიციური დოკუმენტების გავრცელების ხელოვნება”. შესაბამისად, ამ ბროშურაში საუბარია ხელისუფლებისთვის ბრძოლაში კანონსაწინააღმდეგო მეთოდების გამოყენებაზე.

აღნიშნულმა ტენდენციამ განვითარება პპოვა 1930-ან წლებში. ტროცკის ყოფილმა თანამებრძოლებმა (რადეკი, პიატაკოვი, კამენევი, ზინოვიევი) ფორმალურად გაწყვიტეს მასთან კავშირი — საჯარო გამოსვლებში სამარცხვინოდ გმობდნენ ლევ დავითის ძეს, ხოლო ტროცკი, თავის მხრივ, ყოფილ თანამოაზრებს დალატში

⁴ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

ადანაშაულებდა. მაგრამ ეს ურთიერთობის მხოლოდ გარეგნული მხარე იყო. სინამდვილეში ისინი პარტიის შეცდომაში შეევანის ტაქტიკას იყენებდნენ – ირგებდნენ საბჭოთა ხელისუფლების მომხრეთა ნიღბებს და იკავებდნენ საპასუხისმგებლო თანამდებობებს, სსრპ ხელმძღვანელობის ზურგს უკან კი ტროცკისთან კავშირს არ წყვეტდნენ და შეთქმულების გეგმებზე მუშაობდნენ. ამ მოსაზრებას ადასტურებს შემდეგი ფაქტები და ლოკუმენტები: 1980 წელს ისტორიკოსმა ჯ. არჩ გეტიმ, ჰარვარდის უნივერსიტეტის ჰიუსტონის ბიბლიოთეკაში ტროცკის არქივში აღმოაჩინა მის მიერ 1930-იან წლებში რადეკის, სოკოლნიკოვისა და გოლცმანისთვის გაგზავნილი წერილების საფოსტო ქვითორები. ყველაზე მეტი წერილი 1932 წელს იყო გაგზავნილი. მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი სწორედ იმ დროს ჩამოყალიბდა. არადა, ზემოჩამოთვლილმა პირებმა, თითქოს, სწორედ იმ პერიოდში გაწყვიტეს ლ.დ. ტროცკისთან კავშირი და ბრძოლა შეწყვიტეს. ხსენებულ წერილებში საუბარია სწორედ ი.ბ. სტალინთან ბრძოლის ტაქტიკაზე, რასაც ადასტურებს 1932 წელს ტროცკის არქივში ისტორიკოს პიერ ბრუეს მიერ აღმოჩენილი ლევ სედოვის მამისალმი გაგზავნილი ერთ-ერთი წერილი. “[ბლოკი] ჩამოყალიბებულია. მასში გაერთიანდნენ ზინოვიელები, სტენ-ლომინაძის ჯგუფი და ტროცკისტები... ზ-სა და კ-ს განცხადება, მათ მიერ 1927 წელს ჩადენილი უდიდესი შეცდომის თაობაზე, გაკეთებულ იქნა ბლოკის თაობაზე ჩვენებთან მოლაპარაკებების დროს, უშუალოდ ზ-სა და კ-ს გადასახლების წინ” (შენიშვნა: ზ და კ – ზინოვიევი და კამენევი).

თავის დროზე ნ. ბუხარინის თანამებრძოლი იყო შვეიცარელი კომუნისტი და კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ჟ. ემბერ-დრო. 1971 წელს, თავის მოგონებებში, ის იხსენებს ბუხარინთან ბოლო შეხვედრას, რომლის დროს საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი შედგა. შვეიცარიის კომუნისტის სიტყვებით, ბუხარინმა მას აცნობა, რომ “მისი ჯგუფი ზინოვიევ-კამენევის ფრაქციასთან კავშირს არ წყვეტს, რათა კოორდინირებულად იბრძოლონ სტალინის ძალაუფლების წინააღმდეგ”. ემბერ-დროსთვის ეს კავშირი მიუღებელი აღმოჩნდა, რადგანაც ბუხარინები თავის დროზე ტროცკისტების პროგრამას მიუღებლად თვლილნენ და გამარჯვების შემდეგ პოლიტიკურ აზრთა სხვადასხვაობა შესაძლოა განხეთქილების მიზეზი გამხდარიყო. იგი იქვე აღნიშნავს, რომ ბუხარინმა ასევე აცნობა, ”რომ მათ სტალინის მოსაზორებლად გადაწყვიტილი

ჰქონდათ ინდივიდუალური ტერორის გამოყენება.”

აუცილებლად უნდა დავიმოწმოთ ბუხარინის ერთ-ერთი თანამებრძოლის, რომელმაც XX საუკუნის ბოლომდე იცოცხლა, ვალენტინ ასტროვის პუბლიკაციაც. 1993 წლის 27 თებერვალს გაზეთ “იზვესტიაში” იგი იხსენებდა, რომ 1931 წლის ზაფხულში ბუხარინმა “პირდაპირ, დაუფარავად განაცხადა, რომ აუცილებელია სტალინის ფიზიკური განადგურება”. ასტროვის თანახმად, ბუხარინმა, “სტალინური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ და პარტიის ლენინური კურსის შეცვლის” მიზნით, ტროცკისტებთან ბლოკში გაერთიანების საკითხი დააყენა. მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ასტროვმა ამის თაობაზე 1990-ანი წლების დასაწყისში დაწერა, მაშინ, როდესაც პრესაზე ზემოქმედებდა ის ძალა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მტრების უდანაშაულობის დამტკიცებას ცდილობდა.

ამგვარად, ტროცკისა და ბუხარინის მომხრეები გაერთიანდნენ. მათ განახორციელეს თავდასხმები ი.ბ. სტალინზე, ვ.მ. მოლოტოვსა და კ.ე. ვოროშილოვზე; მათი ინიციატივით 1934 წელს მოკლეს ს.მ. კიროვი; წითელ არმიაში ჰყავდათ ნდობით აღჭურვილი პირები, რომელთა დახმარებით 1937 წელს სამხედრო გადატრიალების მოწყობას იმედოვნებდნენ. მათი თანამოაზრები იყვნენ ტუხაჩევსკი, იაკირი, უბორევიჩი და სხვ. თუმცა, ეს საკითხი ცალკე სტატიის თემაა.

მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი არ დაკმაყოფილდა მიღწეულით და საწარმოო და სატრანსპორტო ობიექტებზე საბოტაჟისა და მავნებლობის კომპანია გააჩადა. თუ როგორ მიმდინარეობდა საბოტაჟი, კარგად ჩანს ამერიკელი ინჟინრის ჯ. ლიტლპეიჯის მემუარებიდან “საბჭოური ოქროს ძიებაში”. იგი აღწერს, რა ქაოსთან და უწესრიგობასთან ჰქონდა საქმე ურალის მაღაროებში. საწარმოს პერსონალთან მისმა ახსნა-განმარტებითმა მუშაობაში შედეგი გამოიღო, სიტუაცია საგრძნობლად გამოსწორდა. მაგრამ ურალის პარტიული კომისიის ხელმძღვანელის ი. კაბაკოვის ჩარევის შემდეგ, რომელიც მოქმედებდა მძიმე მრეწველობის სახითის მოადგილის გ.ლ. პიატაკოვის მითითებით, მდგომარეობა ისევ კრიტიკული გახდა. ანალოგიური მდგომარეობა აღინიშნებოდა ყაზახეთში რიდერის რეინისა და თუთიის საბადოებზე. საბოლოო ჯამში, საწარმოო მაჩვენებლებმა დაიკლო, დარგმა ზარალი განიცადა.

მითი 2. ტროცკი, ბუხარინი და მათი მომხრეები გერმანიასა და

იაპონიასთან არ თანამშრომლობდნენ. უფრო მეტიც, თავის ნაშრომებში ტროცკი აცხადებდა, რომ მოსალოდნელ ომში ის სსრპ-ის მხარეს დაიჭერდა; პერიოდულად სტალინსა და პიტლერს შორის ტოლობის ნიშანს სვამდა; გერმანიაში 1930-ანი წლების დასაწყისში ანტიფაშისტური მოძრაობის განხეთქილებაში სტალინს ადანაშაულებდა კიდეც.

რა თქმა უნდა, ლ.დ. ტროცკი თავის შრომებში ყოველივე ზემოჩამოთვლილზე წერდა. მაგრამ, იმავდროულად, თავისი მოღვაწეობის სხვა მხარეებზე დუმდა. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ 1927 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირს ომის საფრთხე დაემუქრა, მან დაუფარავად მოუწოდა “აღედგინათ კლემანსოს ტაქტიკა, რომელიც... საფრანგეთის მთავრობის წინააღმდეგ გამოვიდა იმ დროს, როცა გერმანელები პარიზიდან ოთხმოც კილომეტრში იმყოფებოდნენ”. უფრო მეტიც, ტროცკი მაშინაც არ უარყოფდა თავის სიტყვებს, როდესაც 1927 წლის 11 ივლისს ორჯონიგიძისადმი მიწერილ წერილში პორაჟენცობის არსს ხსნიდა: პორაჟენცობა ნიშნავს “მტრული კლასის ხელში მყოფი “საკუთარი” სახელმწიფოს დამარცხების ხელისშეწყობას”. ზუსტად იმავე აზრს ავითარებდა იგი ლიბერალ გერმანელ მწერალთან ემილ ლუდვიგთან პარიზის კუნძულებზე შეხვედრის დროს. მწერალმა აღნიშნული საუბრის შინაარსი გადმოსცა თავის წიგნში “ცხოვრების ძღვენი”. ტროცკიმ განაცხადა, რომ რუსეთი თითქოს ჩიხში აღმოჩნდა, ხუთწლიანმა გეგმამ და ინდუსტრიალიზაციამ წარუმატებლობა განიცადა. კითხვაზე, რამდენი მიმდევარი ჰყავს რუსეთში, ტროცკიმ უპასუხა, რომ რთულია ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა, რადგან ისინი დაქსაქსულნი არიან და იატაკვეშეთში მუშაობენ. ემილ ლუდვიგის კითხვაზე, როდისთვის იმედოვნებენ ტროცკი და მისი მომხრეები ღიად მოქმედების დაწყებას, პასუხი ასეთი იყო: “როდესაც სასურველი გარე-პირობები შეიქმნება. ეს შეიძლება იყოს ომი ან ახალი ინტერვენცია – მაშინ ჩვენი სტიმული მთავრობის სისუსტე იქნება”.

არჩეული ტაქტიკა იმის იდენტურია, რომელიც გენერალმა ანდრეი ვლასოვმა დიდი სამამულო ომის წლებში გამოიყენა – უცხოელი დამპყრობლების დახმარებით თავის მთავრობასთან ბრძოლა. რა არის ეს, თუ არა მოღალატეობა...

ქვემოთ ჩვენ მოვიყვანთ საყურადღებო ცნობებს, რომლებიც ადასტურებენ 1930-ან წლებში ტროცკისტულ-ბუხარინული ძალების გერმანელებთან და იაპონელებთან თანამშრომლობას. ასე,

მაგალითად, 1937 წლის 20 თებერვალს გაზეთში “მიაკო”-მ გამოაქვეყნა იაპონიის მთავრობის საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის ანგარიში. ამ სხდომაზე იაპონიის სამხედრო მინისტრს, გენერალ სუგიამუს დეპუტატმა იოსიდამ ჰკითხა, ციმბირის რკინიგზის გამტარიანობაზე თუ ჰქონდა რაიმე ინფორმაცია. მინისტრმა დადგებითად უპასუხა და დაუმატა, რომ შესაბამისი ინფორმაცია მიიღო “რუსეთში მთავრობასთან... ოპოზიციაში მყოფი ელემენტებისგან”. პუბლიკაციის შემდეგ გაზეთი საიდუმლო ინფორმაციის გამუდავნებისთვის დააჯარიმეს, ხოლო მისი რედაქტორი, სამხედრო მინისტრის მოთხოვნით, გადადგა.

არსებობს ტროცკისტებისა და პიტლერელების თანამშრომლობის დამადასტურებელი ფაქტების საქმაოდ დიდი რაოდენობა. თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ ესპანელი ტროცკისტების ორპირობაზე, კერძოდ, მარქსისტული გაერთიანების მუშათა პარტიაზე (მბმპ), რომელსაც სათავეში ტროცკის ერთ-ერთი მეგობარი ანდრეს ნინი ედგა. სიტყვიერად ისინი სოციალისტური გარდაქმნების ფორმირების მომხრეები იყვნენ, ესპანეთის კომპარტიის ხელმძღვანელობას ადანაშაულებდნენ მუშათა კლასის ინტერესების ღალატში და ფორმალურად შედიოდნენ სახალხო ფრონტის შემადგენლობაში, რომელიც ფრანგოს მემბონეებს უპირისპირდებოდა. უფრო მეტიც, ა. ნინს სწორედ იმ მომენტში ეკავა იუსტიციის მინისტრის თანამდებობა კატალონიაში, როდესაც ფრანგომ აჯანყება დაიწყო. იმავდროულად რესპუბლიკურ მთავრობას აკრიტიკებდნენ. ერთი შეხედვით, გარეგნულად ჩანდა, რომ ეს მემარცხენე ძალების შიგნით არსებული წინააღმდეგობების შედეგია, თუმცა მთავარი მაინც ის იყო, რომ ყველა ფაშიზმის მოწინააღმდეგე იყო, მაგრამ 1937 წლის ზაფხულში, გადამწყვეტ მომენტში, ესპანელმა ტროცკისტებმა ბარსელონის რესპუბლიკური მთავრობის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყეს. გაირკვა, რომ მბმპ ფრანგოსთან საიდუმლოდ თანამშრომლობდა. 1937 წლის 23 ოქტომბერს ბარსელონის პოლიციის უფროსმა, პოდპოლკოვნიკმა ბურილიომ გამოაქვეყნა, შემთხვევით ხელში ჩავარდნილი, საიდუმლო დოკუმენტები, რომლებიც მბმპ-ს შეთქმულებას ეხებოდა. ამ დოკუმენტებიდან ცხადი ხდებოდა, რომ ორგანიზაცია ფაშისტების სასარგებლოდ ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდა, რესპუბლიკური არმიის საბრძოლო მასალის გადაზიდვის საბოტაჟს და ფრონტზე სამხედრო ოპერაციებს აწყობდა.

მბმპ ასევე სარგებლობდა გერმანიის მხარდაჭერით, რის შეს-

ახებაც თავის მემუარებში “სპეცოპერაციები. ლუბიანკა და კრემლი. 1930-1950 წლები” პ.ა. სუდოპლატოვი წერდა. მისი სიტყვებით, ესპანელმა ტროცკისტებმა 1937 წელს, აბვერის მხარდაჭერით, ბარსელონის რესპუბლიკური მთავრობის წინააღმდეგ დაიწყეს აჯანყება. ეს ინფორმაცია მათ ტროცკისტული იატაქვებმა ჯგუფის “წითელი კაპელა”-ს ერთ-ერთმა მომავალმა ხელმძღვანელმა შულცე-ბოიზებმა მიაწოდა. დაპატიმრების შემდეგ შულცე-ბოიზენი გესტაპომ აღნიშნული ინფორმაციის გადაცემაში დაადანაშაულა. ნაციისტური ტრიბუნალის სტენოგრამის ფრაგმენტში აღნიშნული იყო, რომ “1938 წლის დასაწყისში, ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს, ბრალდებულმა, დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარე, შეიტყო, რომ ბარსელონაში აღვიღობრივი წითელი მთავრობის წინააღმდეგ, გერმანიის საიდუმლო სამსახურთან ერთად, მზადდებოდა აჯანყება. ეს ინფორმაცია, პოლნიცისგან მიღებულ მასალებთან ერთად, მათ გადასცეს საბჭოთა რუსეთის საელჩოს პარიზში”. დაახლოებით ეს პქნოდა 1927 წელს მხედველობაში ლ.დ. ტროცკის, როდესაც ყველა შესაძლო შეღეგით კლემანსოს ტაქტიკის გამეორებას ითხოვდა....

ძალიან მნიშვნელოვანია თვალი გავადევნოთ და გავაანალიზოთ, თუ როგორ მოქმედებდნენ ტროცკისტები სხვადასხვა ქვეყანაში მეორე მსოფლიო ომის დროს. ყველა მათი ქმედება სტალინური პროპაგანდის სიმართლეს ადასტურებს, ანუ ფაშისტებისთვის გაწეულ დახმარებაზე მიუთითებს. ასე, მაგალითად, 1938 წლის სექტემბერში, როდესაც გერმანელები ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმისთვის ემზადებოდნენ, ტროცკისტების მხარდამჭერი ნიუ-იორკის გაზეთი “სოციალისტებილი” მოწინავე სტატიაში წერდა: “ჩეხოსლოვაკია, ვერსალის სამარცხვინო კონფერენციის ნაყოფი... – სახელმწიფოთა ოჯახში ნამდვილი სიმახინჯეა... ჩეხოსლოვაკური დემოკრატია ყოველთვის იყო განვითარებულ კაპიტალისტურ ექსპლუატაციაშე წამოხურული გაცვეთილი გადასაფარებელი... ეს პერსპექტივა, ყველა და ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენგან მოითხოვს ჩეხოსლოვაკური ბურჟუაზიული სახელმწიფოსთვის ნამდვილი რევოლუციური ოპოზიციის ჩამოყალიბებას”. ჩინეთში ტროცკისტები იაპონური სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ. იაპონიის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსმა ბეიპინში 1937 წელს დიად განაცხადა, რომ იაპონიის ინტერესებისთვის უმჯობესია, „მხარი დაუჭიროს ტროცკისტების ჯგუფს და ხელი შეუწყოს

მათ საქმიანობას ჩინეთის სხევადასხევა კუთხეში, რადგან ეს ჩინელები ჩინელი ხალხის ერთიანობას აღმდევენ. ტროცკისტები სუფთად და დაზვეწილად მუშაობენ“.

აშშ-მა, რომელიც ანტიპიტლერული კოალიციის წევრი იყო, ტროცკისტების ქმედება დაგმო და შეაფასა, როგორც ნაცისტების ხელისშემწყობთა და მესაბოტაჟეთა საქმიანობა. ასე, მაგალითად, 1941 წლის 1 დეკემბერს მინეაპოლისში ფედერალურმა საოლქო სასამართლომ 18 წამყვანი ტროცკისტი შეთქმულების მოწყობაში დამნაშავედ ცნო, რომელიც ორგანიზებული იყო ამერიკელი ჯარის-კაცებისა და მეზღვაურების დისციპლინის მოშლისა და ლოიალობის შესუსტების მიზნით. ბრალდებულთა შორის იყო ტროცკის ადგომატი ა. გოლდმანი, მექსიკაში მისი დაცვის ერთ-ერთი ყოფილი წევრი ჯეიკ კუპერი და სხვები. ყველას ერთი წელი ან 16 თვე მიუსაჯეს. 1943 წლის მარტში კი ტროცკისტული ორგანო “მილიტანტი” ამოღებულ იქნა აშშ-ის საფოსტო ქსელის ჩამონათვალიდან, რადგანაც მიიჩნიეს, რომ ის “ზიანს აყენებს და ხელს უშლის მთავრობის ქმედებებს ომის წარმატებით დასრულებაში”. იუსტიციის სამინისტროს დადგენილებაში ჩაწერილი იყო, რომ “მილიტანტი” “ღიად უწევდა ხალხს აგიტაციას და მოუწოდებდა, მონაწილეობა არ მიეღოთ საომარ მოქმედებებში... ამ გამოცემის სვეტებში... იძეჭდებოდა მასალები... რომელებიც მიზნად ისახავდა სამხედრო ქმედებებისთვის ოპოზიციის შექმნას და არმიისა და ფლოტის სულიერი სიმტკიცის დაქვეითებას”.

გერმანიის ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმის დროსაც ტროცკისტები მზად იყვნენ ანალოგიური საშუალებებით ემოქმედათ.

მითი 3. ტროცკი არასოდეს ყოფილა კაპიტალიზმის რესტავრაციის მომხრე. ბოლშევკიურ პარტიაში იგი მეორე ადამიანი იყო და არავითარ შემთხვევაში ამ პოზიციაზე არ დადგებოდა.

ის, რომ ტროცკი შეუძლებლად თვლიდა ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის აშენებას და მისი გამარჯვების შესაძლებლობას მხოლოდ მსოფლიო მასშტაბით უშვებდა – ყველასთვის ცნობილია. 1910 წლის ბოლოს, როდესაც მთელი მსოფლიო მასშტაბით რევოლუციური ხანძარი გიზგიზებდა, ის მსოფლიო რევოლუციისკენ მოუწოდებდა. 1920-ან წლებში კი, როდესაც რევოლუციურმა ტალღამ გადაიარა, ტროცკი საპირისპირო პოზიციაზე დადგა, რაზეც, როგორც კონკრეტული ფაქტების საფუძველზე, ასევე პირველწყაროებზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

როგორც ცნობილია, 1925 წელს ტროცკი დაინიშნა კონცესიური კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე, რის შემდეგაც დაიწყო საერთაშორისო კომპანიებთან კაბალურ პირობებზე ხელშეკრულებების დადება. ასე, მაგალითთად, 1925 წლის 14 ნოემბერს კომპანია “ლენა გოლდფილდს” გადაეცა კონცესია ლენის საბადოების დამუშავებაზე. ბრიტანულმა საბანკო კონსორციუმმა, რომელიც კომპანია “ლენა გოლდფილდსის” მფლობელი იყო და ამერიკულ საბანკო სახლთან “კუნ ლეებ”-თან ჰქონდა კავშირი, ოქროს მოპოვების უფლება 30 წლით მოიპოვა. ხელშეკრულების თანახმად, კონცესიის ფართობი იაკუტიიდან ურალის მთების აღმოსავლეთ ფერდობამდე ტერიტორიას მოიცავდა. კომპანიამ არა მარტო ოქროს, არამედ რკინის, ტყვიის, ვერცხლის, სპილენძის მოპოვების უფლებაც მიიღო; მის განკარგულებაში გადავიდა მეტალურგიული საწარმოების უდიდესი კომპლექსი, კერძოდ, ბისერსკის, სევერსკისა და რევდინის მეტალურგიული ქარხნები, ზუზელსკოესა და დეკტიარსკოეს სპილენძის საბადოები, ეგორშინის ნახშირის და რევდინის რკინის მაღაროები. ახლა, რაც შეეხება პროდუქციის განაწილებას. მოლაპარაკების თანახმად, მოპოვებული ძვირფასი მეტალების რაოდენობიდან საბჭოთა ხელისუფლების წილი შეადგენდა მხოლოდ 7%. ამგვარად, კომპანიის განკარგულებაში უდიდესი პრეფერენციები, უზარმაზარი ტერიტორია და საწარმოთა მნიშვნელოვანი რაოდენობა აღმოჩნდა.

მართალია, ქვეყანაში რღვევა და სიღუხჭირე იყო, მაგრამ საქმე სულაც არ იყო ისე, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს: სიტუაციის გამოსწორებისთვის ნებისმიერი საშუალება და ნებისმიერი პირი უნდა გამოიყენებინათ, მათ შორის უცხოელი ინვესტორები, შეექმნათ მათთვის ყველა პირობა, ოღონდ კი ქვეყნის ეკონომიკა კრიზისიდან გამოვიანათ. სინამდვილეში, დაწყებული 1921 წლიდან, როდესაც შემოღებულ იქნა ნეპი⁵, ქვეყნაშ რღვევიდან გამოსვლა დაიწყო. საბჭოთა ხელისუფლება, რა თქმა უნდა, იყენებდა კონცესიის მექანიზმს, თუმცა გარკვეულ ფარგლებში და ჩვენი სახელმწიფოსთვის ხელსაყრელი პირობებით.

მაგრამ 1925 წელს, როდესაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკამ 1913 წლის დონეს მიაღწია, დღის წესრიგში დადგა ჩამორჩენილობის დაძლევის, რუსეთის აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიულ ქვეყნად გადაქცევის საკითხი. იმ დროისთვის უკვე არსებობდა ნეგატიური

⁵ ჩეპ — ახალი ეკონომიკური პოლიტიკა.

გამოცდილება: როდესაც რუსეთი პირველ მსოფლიო ომში ჩაება, მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა ვერ შეძლო. იმ პერიოდის-თვის ეკონომიკის მნიშვნელოვან წილს აგრარული სექტორი შეადგენდა, მრეწველობას უმნიშვნელო ადგილი ეჭირა (თანაფარდობა ასეთი იყო: 80% – 20%-ზე სოფლის სასარგებლოდ, მაშინ, როცა ევროპის ქვეყნებში ამ დარღების პროპორციული თანაფარდობა დაახლოებით თანაბარი იყო), მანქანებსა და მოწყობილობებს საზღვარგარეთ ყიდულობდნენ. ამგვარმა ჩამორჩენილობამ ჩვენ ქვეყანას პირველი მსოფლიო ომის პერიოდში უმძიმესი ეკონომიკური შედეგები მოუტანა, რაზეც თავის მემუარებში ა.ი. დენიკინი წერდა. პრეცედენტი უკვე არსებობდა! ახალი გარე საფრთხის არსებობის პირობებში, აქცენტი უნდა გადაეტანათ ინდუსტრიალიზაციაზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. და ამ პირობებში ტროცკი უცხოურ კაპიტალს განვითარების ძირითად ლოკომიტივად განიხილავდა, განუსაზღვრელი რაოდენობით ყველა რესურსით სარგებლობის უფლებას აძლევდა და, ფაქტობრივად, მის საქმიანობას არ აკონტროლებდა. ცხადია, რომ უცხოელები, რომლებმაც ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის დიდი წილი მიიღეს, სსრპ-ში ინდუსტრიალიზაციის განვითარების საკითხს სერიოზულად არ მიუღებოდნენ – არავის უნდა საკუთარი ხელით თავისი კონკურენტის გაძლიერება. გარდა ამისა, აღნიშული დასკვნა მართებული იქნება ზემოაღნიშნული კომპანიის “ლენა გოლდფილდს”-ის საქმიანობის შეფასების დროსაც, რომელმაც, ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, ინვესტიციების ჩადების პირობა დადო, მაგრამ საბადოებისა და საწარმოების განვითარებაში ერთი მანეთიც არ დაუბანდებია. მთელი მისი საქმიანობა ოქროს საზღვარგარეთ გატანით შემოიფარგლებოდა.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ თავად ტროცკი წიგნში “ჩემი ცხოვრება”, იხსენებს რა კონცესიური კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე თავის მოღვაწეობას, წერს, რომ სახალხო მეურნეობის აღმავლობის თვალსაზრისით სულაც არ ხელმძღვანელობდა. მისი სიტყვებით, “სამეურნეო საკითხებისადმი გონებაჩლუნგური ნაციონალური მიდგომის ნაცვლად” (თვითკმარი იზოლაციის გზით “დამოუკიდებლობის” მიღწევა) მან წამოაყენა “ჩვენი მეურნეობისა და მსოფლიოს შეფარდებითი კოეფიციენტების სისტემის შემუშავების პრობლემა. ეს პრობლემა გამომდინარეობდა მსოფლიო ბაზარზე სწორი ორიენტაციის შემუშავების აუცილებლობიდან...”

ტროცკი აღნიშნავდა, რომ “შეფარდებითი კოეფიციენტების პრობლემა, გულისხმობდა რა მსოფლიო საწარმოო ძალების ბატონობის აღიარებას ნაციონალურ საწარმოო ძალებზე, თავისი არსით, ნიშნავდა ცალკეულ ქვეყანაში სოციალიზმის რეაქციული თეორიის წინააღმდეგ ლაშქრობას”. ტროცკის ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ, თუ კარგად გავიაზრებთ ზემომოყვანილ ფაქტებს, მარტივად ვუპასუხებთ კითხვას – სტალინურმა პროპაგანდამ დააბრალა მას კაპიტალიზმის რესტავრაციის იდეა, თუ ტროცკის რეალურად სურდა მისი განხორციელება?

აღნიშნულ მოსაზრებას ტროცკი ავითარებს 1930 წლის 23 მარტს “ოპოზიციის ბიულეტენში” გამოქვეყნებულ სტატიაში “დია წერილი სპპ(ბ) წევრებს”. სსრპ-ში მიმდინარე ინდუსტრიალიზაციასა და კოლექტივიზაციას ის აფასებს, როგორც “ავანტიურას” და მათ ფორსირებულ მეთოდებს აკრიტიკებს (ავიწყდება, რომ სსრპ იმყოფება მტრული ქვეყნების გარემოცვაში, რომლებიც თავდასხმისთვის მზად არიან). დასკვნის სახით, იგი აღნიშნული პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობაზე მიუთითებს. ტროცკიმ სიტყვა-სიტყვით დაწერა შემდეგი: “უკანდახევა ყველა შემთხვევაში გარდაუვალია. საჭიროა ეს მოხდეს, რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება მოწესრიგებულად”. მიაქციეთ ყურადღება სიტყვებს – “უკანდახევა, რაც შეიძლება მოწესრიგებულად” – ცხადია, რომ საუბარია სწორედ კაპიტალიზმის რესტავრაციაზე. აღნიშნულ სტატიაში მის მიერ შემოთავაზებულ წინადადებებს შორის იყო შემდეგი: “ჩაკეტილი მეურნეობის “იდეალებზე” უარის თქმა. გეგმის ახალი ვარიანტის შემუშავება, რომელიც გათვლილი იქნება მსოფლიო ბაზართან რაც შეიძლება ფართო ურთიერთობაზე”. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საუბარი იყო ჩვენ ქვეყანაში მძლავრი ინდუსტრიული ბაზის, მანქანებისა და მოწყობილობების იმპორტზე დამოკიდებულობის ლიკვიდაციის შესახებ და არა “ჩაკეტილობაზე”.

გარდა ამისა, 1930-ანი წლების დასაწყისში წამყვანმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები შემოიდეს. ასე, მაგალითად, 1930-31 წლებში აშშ-ში საბჭოთა საქონლის შეტანაზე შეზღუდვები დააწესეს, ანალოგიური ნაბიჯი გადაიდგა საფრანგეთში 1930 წელს, ხოლო დიდ ბრიტანეთში ემბარგო დაადგეს საბჭოეთიდან ექსპორტირებულ ყველა საქონელს. ამგვარად, დასავლეთთან ურთიერთობისა და ინვესტიციების მოზიდვის არავითარი შანსი არ არსებობდა. რო-

გორ აპირებდა ამ პირობებში ტროცკი მის მიერ დასახული ამოცანის განხორციელებას? მას ეკონომიკურ და საგარეო პოლიტიკაში მსოფლიო იმპერიალიზმთან საკმაოდ დიდ დაომობებზე წასვლა მოუწევდა, რაც 1980-1990-ან წლებში გორბაჩოვმა და ელცინმა გააკეთეს; თუმცა კონცესიური პოლიტიკის სფეროში 1925-29 წლებში ტროცკიმაც იგივე გააკეთა...

ყველა ჩამოთვლილი ფაქტი უფლებას გვაძლევს ხმამაღლა განვაცხადოთ – ტროცკის განზრახული პქონდა კაპიტალიზმის აღდგენა სსრპ-ში.

მითი 4. ტროცკისთან შეთქმულების გეგმებზე მოსალაპარაკებლად, პიატაკოვი 1935 წლის დეკემბერში ოსლოში არ ჩასულა. ამას ადასტურებს ნორვეგიული გაზეთების – კონსერვატული “აფტენბოსტენ”-ისა და სოციალ-დემოკრატიული “არბაიტერბალტენ”-ის 1937 წლის იანვრის პუბლიკაციები, რომლებშიც ოსლოს მახლობლად განლაგებული პელერის აეროდრომის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა და მისმა დირექტორმა განაცხადეს, რომ 1935-1936 წლების ზამთრის პერიოდში უცხოური თვითმფრინავები მათ აეროდრომშე არ დაფრენილან. და ეს ფაქტი, ანტისაბჭოთა განწყობის მოღვაწეების აზრით, ადასტურებს, რომ ოპოზიციის შეთქმულება არ არსებობდა.

სამწუხაროდ, არავის უცდია ამ მითის უგულებელყოფა. იმას, რასაც წერდნენ ზემოაღნიშნული გაზეთები, ტროცკიც წერდა თავის ნაშრომებში – ეს შეცდომაში შეყვანის დაუფარავი მცდელობაა. გასაგები რომ იყოს, რაზეა საუბარი, მივმართოთ რადეკისა და პიატაკოვის ჩვენებებს, რომლებიც მათ 1937 წლის იანვარში პარალელური ტროცკისტული ცენტრის პროცესზე მისცეს. 1935 წლის ბოლოს, რადეკმა წერილი მიიღო ტროცკისგან, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ სტალინთან საბრძოლველად აუცილებელია გერმანიისა და იაპონიის მხარდაჭერის გარანტია. გამარჯვების შემდეგ აუცილებელია მნიშვნელოვან ეკონომიკურ და ტერიტორიულ დაომობებზე წასვლა და კაპიტალიზმის რესტავრაცია. წერილის წაკითხვის შემდეგ რადეკმა ტროცკისთან შეხვედრის საკითხი დასვა. პიატაკოვი, რომელიც 1935 წლის დეკემბერში ბერლინში სამსახურებრივ მივლინებაში გაემგზავრა, რადეკის რეკომენდაციით, “იზვესტიის” კორესპონდენტს დ.კ. ბუხარცევს შეხვდა. მან, თავის შხრივ, ტირგარტენის პარკში პიატაკოვს გააცნო გუსტავ შტირნერი, რომელმაც შესთავაზა, მეორე დღეს შეკვეთილი კერძო თვითმფრინავით ტროცკისთან გადაფრენილიყვნენ. 1935 წლის 12

დეკემბერს, დილაადრიან, პიატაკოვი და შტირნერი ტექნიკურო-ფის აეროდრომიდან გაფრინდნენ და შუადღისას ოსლოს აერო-დრომზე დაფრინდნენ, სადაც მათ უკვე ავტომობილი ელოდებოდა, რომელმაც ისინი ტროცკის აგარაკზე მიიყვანა. ზემოაღნიშნული სასამართლო პროცესის მასალები ცხადყოფენ: საუბარი დაახლოე-ბით ორი საათი გაგრძელდა. ტროცკიმ ისაუბრა სტალინური სახ-ელმწიფოს დანგრევის გარდაუეალობაზე, რომელიც მოსალოდნელ ომში ვერ გაუძლებდა ფაშისტების შემოტევას. მისი მოსაზრებით, ამ პირობებში ტროცკისტებს არჩევანი ჰქონდათ: ან საბჭოთა სახ-ელმწიფოს ნანგრევებში უნდა მოყოლილიყვნენ, ან დაემსოთ ი.ბ. სტალინი, რისთვისაც გერმანიისა და იაპონიის მხარდაჭერის გა-რანტია იყო საჭირო. ტროცკიმ აღნიშნა, რომ მისი მნიშვნელოვანი თავმ-ჯდომარის მოადგილესთან, რუდოლფ ჰესსთან შეხვედრის დროს მათ მოილაპარაკეს იმ დათმობებზე, რომლებზეც ტროცკისტები მათი გამარჯვების შემთხვევაში წავიდოდნენ. მათ შორის: საკვანძო საერთაშორისო საკითხებში გერმანიის მთავრობის მიმართ კეთილ-განწყობილი დამოკიდებულება; ტერიტორიული დათმობები; გერ-მანელი მეწარმეების დაშვება სსრპ-ში ნედლეულის რესურსების ექსპლოატაციისთვის; საბჭოთა კავშირში გერმანული კერძო საწარმოების საქმიანობისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; ომის დროს თავდაცვით საწარმოებსა და ფრონტზე დივერსიული საქმიანობის გაშვება.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აეროდრომ ჰელერის (რო-მელიც ოსლოს მახლობლად, თითქოსდა, ერთადერთი იყო) თანამ-შრომლები ამტკიცებდნენ, რომ 1935 წლის 19 სექტემბრიდან 1936 წლის 1 მაისის ჩათვლით, არცერთი თვითმფრინავი მათ აეროდრომზე არ დაშვებულა, ლინჩებინგიდან ჩამოფრენილი ნორვეგიული თვით-მფრინავის გარდა (შენიშვნა: ლინჩებინგი მდებარეობს შვეცარიაში და არა ნორვეგიაში – იხ. „შსოფლიოს ატლასი”, მ., გამ. ონიქსი, 2001 წ., გვ. 118-119. ამგვარად, ეს კონტრრევოლუციური პროპაგანდის პირველი შეცდომაა).

რაც შეეხება აეროპორტ ჰელერის შესახებ საგაზეთო პუბ-ლიკაციებს... უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ პიატაკოვის ვიზიტი საიდუმლო იყო. თვითმფრინავი გერმანი-ის სპეცსამსახურებმა მოაშადეს. საიდუმლო რეისებს არსად არ აფიქსირებენ, აეროპორტის უურნალში ჩანაწერები არ კეთდება.

⁶ გერმანიის ნაციონალურ-სოციალისტური მუშათა პარტია.

ჯერ ერთი, სრულიად შესაძლებელია, რომ თვითმფრინავი, კონსპირაციის მიზნით, დასაშვები ბილიკის გვერდის ავლით დაეშვა. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ 1930-ან წლებში თვითმფრინავები მცირე გაბარიტების იყო და გარკვეულ სიტუაციებში შეეძლოთ აეროპორტის ნაცვლად სხვა ადგილებშიც დაშვებულიყვნენ; და მეორე, ნორვეგიული პრესის ვერსია უარყო სსრპ გენერალურმა პროკურორმა ა.ი. ვიშინსკიმ. მან სასამართლოს წარუდგინა სსრპ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის (სსსპ) საკონსულო განყოფილების ინფორმაცია, რომლის თანახმად, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ ნორვეგიაში მიიღო ოფიციალური ცნობა იმის თაობაზე, რომ ოსლოს მახლობლად მდებარე აეროდრომი ჰელერი მთელი წლის განმავლობაში იღებს სხვა ქვეყნების თვითმფრინავებს, აფრენა და დაშვება შესაძლებელია ზამთრის თვეებშიც. ამ ინფორმაციას ყველა არ ითვალისწინებს: მათი აზრით, ეს მხოლოდ სსსპ საკონსულო განყოფილების ცნობა იყო და არა ნორვეგიის ხელისუფლების, რომლის აზრი მიუკერძოებულად უნდა ჩაითვალოს, ამიტომ ამ ცნობის სერიოზულ დოკუმენტად მიჩნევა მიზანშეწონილი არ არის. მათ მხედველობიდან რჩებათ ერთი რამ: მიწოდებული მონაცემები სსრპ სსსპ-ს კი არ არის, არამედ მისი საკონსულო განყოფილების ინფორმაციაა ოფიციალური ცნობის შესახებ, რომელიც მან ნორვეგიაში სსრპ სრულუფლებიანი წარმომადგენლობისგან მიიღო. მაშასადამე, ცხადია, რომ ეს ნორვეგიის ხელისუფლების მონაცემებია. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება გაჩნდეს კითხვა: მაშინ როგორ უნდა აღვიქვათ გაზეთებში დაბეჭდილი ცნობები? “გარდაქმნის” შემდეგ ჩვენ დავრწმუნდით, რომ გაზეთებს შეუძლიათ ნებისმიერი დეზინფორმაციის დაბეჭდა; შეუძლიათ, გარკვეული თანხის გადახდის შემთხვევაში, მათთვის სასურველი შინაარსის ინტერვიუ მიიღონ. სულ სხვაა, როცა სახელმწიფო სტრუქტურები გამოწმებენ. მათ ვერაფერს დაუმალავ.

მათი არც ის განცხადება შეესაბამება სიმართლეს, რომ ჰელერის აეროპორტი ერთადერთი იყო ოსლოში. სინამდვილეში ჰელერი ერთადერთი აეროპორტი არ ყოფილა. 1912 წლიდან ოსლოს მახლობლად ფუნქციონირებდა მეორე აეროპორტიც – გრადერმუნი. ჰელერისა და გრადერმუნის ველები გამოიყენებოდა თვითმფრინავების ასაფრენად და დასაშვებად (მასალა იხილეთ ვიკიპედიის ინგლისურენოვან ვერსიაში - KjellerAirport, Wikipedia). ასე რომ, 1935 წელს იყო ორი აეროდრომი და თვითმფრინავებს ორივე ღე-

ბულობდა. შეიძლება შეგვეპასუხონ, რომ სამოქალაქო თვითმფრინავებს მხოლოდ ჰელერი იღებდა, მეორე კი სამხედრო აეროდრომი იყო. მაგრამ, თუ ვიკიპედიის ინგლისურენოვან ვერსიაში ჰელერის აეროპორტის შესახებ შენიშვნას წავიკითხავთ, დავრწმუნდებით, რომ ისიც სამხედრო აეროდრომი იყო.

ასევე უნდა დავიმოწმოთ ტუხაჩევსკის მიერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებები, რომლებშიც დაფიქსირებულია, 1935 წლის დეკემბერში რა მოუყვა მას პიატაკოვმა ოსლოში გაფრენის შემდეგ. “1935-დან 1936 წლის ზამთარში... მე ვესაუბრე პიატაკოვს. მან გამაცნო ტროცკის მითითება, რომელიც ეხებოდა საბჭოთა კავშირის უპირობო დამარცხების უზრუნველყოფას პიტლერთან და იაპონიასთან ოში, აგრეთვე სსრპ-დან უკრაინისა და ზღვისპირეთის შესაძლო ჩამოშორებას. ეს მითითებები მიანიშნებდნენ იმაზე, რომ აუცილებელი იყო გერმანელებთან კავშირის დამყარება, რათა გაგვერკვია, სად აპირებდნენ თავიანთი არმიების დაძვრას და სადუნდა მოგვემზადებინა საბჭოთა არმიის დამარცხება”.

მაგრამ ნორვეგიული პრესის პებლიკაციებით საქმე არ შემოიუარება. ტროცკი თავის ნაშრომში “სტალინის დანაშაულობები” და ავტორები სტატიისა “პიატაკოვის შეხვედრა ტროცკისთან”, რომელიც 1937 წელს “ოპოზიციის ბიულეტენში” გამოქვეყნდა, ამ ორი კონტრრევოლუციონერის შეხვედრის ფაქტის უარყოფას ყველა საშუალებით ცდილობდნენ. ტროცკი გაოცებას გამოხატავდა, როგორ შეიძლებოდა ბუხარცევის შტირნერთან შეხვედრის მეორე დღესვე პიატაკოვისთვის შზად ყოფილიყო თვითმფრინავიც და პასპორტიც. განა ეს შესაძლებელია? – კითხვას სვამდა ტროცკი. თვითმფრინავი მოამზადეს სპეცსამსახურებმა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შტირნერი ფსევდონიმია. მისი ნამდვილი სახელია კარლ იოპანსონი (რაიხი). მან ორგანიზება გაუკეთა ტროცკის ყველა შეხვედრას სედოვთან და მის თანამებრძოლებთან სსრპ-ში, მას საზღვარგარეთ ფართო კავშირები და, ასევე, რამდენიმე ქვეყნის პასპორტი პქონდა. და რა გასაკირია, რომ, თავისი კავშირების წყალობით, ყველა საქმეს სწრაფად მოაგვარებდა (შტირნერი ახსენეს მემარჯვენეტროცკისტული ბლოკის სასამართლო პროცესზე 1939 წელს). სხვათა შორის, სსრპ გენერალურმა პროკურორმა ა.ი. ვიშნისკიმ მოწმე დ.პ. ბუხარცევს იგივე კითხვა დაუსვა: ერთი სახელმწიფო-დან მეორეში გადაფრენა იოლი არ არის. ასე სწრაფად და მარტივად როგორ მოიძეთ გერმანიაში თვითმფრინავი? ბუხარცევმა უპასუხა,

რომ, როგორც შტირნერმა უთხრა, მას გერმანიის ხელმძღვანელობასთან კავშირი ჰქონდა და საქმესაც სწრაფად მოაგვარებდა.

ცდილობდა რა დაემტკიცებინა, რომ აღნიშნული შეხვედრა თითქოს არ შემდგარა, ტროცკი ასე მსჯელობდა: მასთან რომ მეგობარი და შეთქმულების თანამონაწილე მართლაც ჩასულიყო, ის ვალდებული იქნებოდა საიმედო დამის გასათევით უზრუნველეყო სტუმარი, რათა საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტებისთვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო. მისთვის თითქოს წარმოუდგენელი იყო, როგორ შეეძლო პიატაკოვს, ერთი დღით დაეტოვებინა ბერლინი, როცა საბჭოთა ჩინოვნიკები საზღვარგარეთ, უპირველეს ყოვლისა, გსპს⁷-ს მხრიდან, მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი საბჭოთა ხელისუფლებას ებრძოდნენ და სხვა რამისთვის არ ეცალათ, განსაკუთრებით თუ პიატაკოვის მდგომარეობას გავითვალისწინებთ, რომელმაც, იმყოფებოდა რა ბერლინში მივლინებაში, ერთი დღით დატოვა ქალაქი. მეტი წელი არყოფნა შესამჩნევი იქნებოდა და თავს გამოააშკარავებდა. ამდენად, ბერლინში სასწრაფოდ უნდა დაბრუნებულიყო.

რაც შეეხება გსპს-ს მხრიდან საბჭოთა ჩინოვნიკების ზედამხედველობას, რომლისაგან დამალვა შეუძლებელი იყო და, როგორც ტროცკი აღნიშნავდა, მას სწრაფად გამოააშკარავებდნენ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმ დროს გსპს-ს ხელმძღვანელობდა გ. იაგოლა, რომელიც ასევე მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის წევრი იყო. არსებობს მტკიცებულებანი, რომ იაგოლა ხელს აფარებდა მათ საქმიანობას. ჯერ ერთი, 1997 წელს გამოქვეყნდა ნაშრომი “ჰერიხ იაგოლა. სსრპ შინაგან საქმეთა სახკომი, სახელმწიფო უსაფრთხოების გენერალური კომისარი. ღოკუმენტების კრებული”, რომელშიც წარმოდგენილია მისი დაკითხვის ოქმები. გამოიძიების დროს მან შეთქმულებთან კავშირი აღიარა, და მეორე, გ.ა. ტოკაევი, რომელსაც 1937-1948 წლებში ნ.ე. უუკოვსკის სახ. სამხედრო-საპარო საინჟინრო აკადემიის პარტიული კომიტეტის მდივნის თანამდებობა ეკავა და იმავდროულად შეთქმულთა იატაკევეშეთის ორგანიზაციის წევრიც იყო, ემიგრაციის დროს დაწერილ ბემუარებში წერს, რომ მას და მის თანამებრძოლებს კავშირი ჰქონდათ ლუბიანკის შეფთან ჰქონის იაგოდასთან და მას აფასებდნენ არა როგორც რეჟიმის “შსახურს, არამედ როგორც მტერს”. ტოკაევი აღნიშნავს, რომ იაგოდას დახმარებით ბევრი მათგანი გამოააშკარავებას გად-

⁷ გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამსართველო.

აურჩა. მაგრამ როდესაც იაგოდა “შინსახკომილან გაათავისუფლეს, მათმა ოპოზიციამ სადაზვერვო სამსახურთან მტკიცე კავშირი და-კარგა”. ახლა გასაგებია, როგორ მოახერხა პიატაკოვამა შეუმჩნევე-ლად ჩაფრენილიყო ოსლოში 1935 წელს.

გავაანალიზეთ რა ყველა ზემოქამოთვლილი გარემოება, საფ-უძველი გვაქვს გამტკიცოთ, რომ 1937-1938 წლებში ი.ბ. სტალი-ნი და შინსახკომის ორგანოები დროულად რეაგირებდნენ და ნა-ცისტური გერმანიის აგენტების საქმიანობის აღსაკვეთად ქმედით ზომებს მიმართავდნენ. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რეპრე-სიების მქნევარა პატიოსან ადამიანებსაც შეეხო, რაც საბჭოთა ხე-ლისუფლების მიერ ჯერ კიდევ 1938 წელს იქნა დაგმობილი, მაგრამ იმავდროულად შეუძლებელია ისიც არ დაგაფასოთ, რომ მეხუთე კოლონის განადგურებისთვის მიღებულმა ზომებმა მსოფლიო იმპე-რიალიზმთან მოსალოდნელ ომში ჩვენი ქვეყნის დამარცხების შანსი მინიმუმამდე დაიყვანეს.

აღნიშნულ მოსაზრებას არაკომუნისტური ქვეყნების მთელი რიგი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეები იზიარებდნენ. ასე, მაგალითად, რუსელტის მეგობარი, აშშ-ის ელჩი საბჭოთა კავშირში ჯ. დევისი, თავის დღიურში, 1941 წლის 7 ივნისს წერდა: “... გვპ⁸-ს ძალისხ-მევის წყალობით, ჩვენ დღეს უკვე ვიცით, რომ გერმანელი აგენტე-ბი ყველგან არიან, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც და სამხრეთ ამერიკაშიც. გერმანელების შესვლა პრაღაში განხორციელდა გენ-ლეინის სამხედრო ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერის საფუძ-ველზე. იგივე ხდებოდა ნორვეგიაში (კვისლინგი), სლოვენიაში (ტისო), ბელგიაში (დეკრელი)... მაგრამ მსგავს ვერაფერს ვხედავთ რუსეთში. ხშირად მეკითხებიან — “სად არიან პიტლერის რუსი ხე-ლისშემწყობები?” მე ვპასუხობ — “ისინი დახვრიტეს”. ადამიანი მხ-ოლოდ ახლა აცნობიერებ, რამდენად შორისმჭვრეტელურად მოიქცა საბჭოთა მთავრობა წმენდის წლებში”. ბრიტანული გაზეთის “სანდი ექსპრეს”-ის 1941 წლის ნოემბრის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში ჯ. დევისი აღნიშნავს, რომ 1937 წელს მსოფლიოს მნიშ-ვნელოვანი ნაწილი გმობდა საბჭოთა კავშირში მიმდინარე წმენდას და თვლიდა, რომ ეს იყო “ბარბაროსის, უმაღურობის აღმაშფოთე-ბელი ზომები და ისტერიის გამოვლენა. მაგრამ ახლანდელ დროში ცხადი გახდა, რომ ეს მოვლენა სტალინისა და მისი ახლო თანამე-ბრძოლების საოცარ შორისმჭვრეტელობაზე მეტყველებს”. მანვე გა-


⁸ გამოიყების ფედერალური ბიურო.

ნაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევა, “რისი მოწმენიც ჩვენ დღეს ვართ,... ნულამდე იქნებოდა დაყვანილი, სტალინსა და მის თანამებრძოლებს მოღალატე ელემენტები თავიდან რომ არ მოეშორებინათ”, რომ “... ეს არის გაკვეთილი, რომელზეც სხვა თავისუფლებისმოყვარე ერები უნდა დაფიქრდნენ”.

მაგრამ ანტისაბჭოურად განწყობილი მკალევრები ზემოთ ჩამოთვლილ არცერთ გარემოებას არ ითვალისწინებენ. დღეს ცხადია, რომ “გარდაქმნისა” და “რეფორმების” ავტორების, რომლებიც პშშ მთავრობისა და ევროპის მხარდაჭერით სარგებლობდნენ, დასახული მიზანი – ჩვენი ქვეყნის განადგურება (“ბოროტების იმპერიის”, “აგრესორის” ლიკვიდაცია, მისი შეცვლა “ცივილიზებული ქვეყნით”), მისი გადაქცევა მსოფლიო სახელმწიფოთა წიადისეულ დანამატად და გასაღების ბაზრად — მიღწეულია. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო იყო ჩვენი ქვეყნის წარმოჩენა დედამიწის ზურგზე ყველაზე მტაცებელი იმპერიის სახით, როგორც საერთაშორისო არენაზე, ისე ქვეყნის შიგნით, მისი გათანაბრება ჰიტლერულ გერმანიასთან; აუცილებელი იყო იმის დასაბუთება, რომ, რადგან ეს სახელმწიფო არ ემორჩილებოდა რეფორმაციას, შესაძლებელი იყო მსოფლოდ მისი განადგურება. დასახული ამოცანის მისაღწევად რეაბილიტირებულ იქნა პოლიტიკური ძალების საქმიანობა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის წლებში, ფაქტობრივად, ჰიტლერულების სასარგებლოდ მუშაობდნენ, ეს განსაკუთრებით მემარჯვენე-ტროცკისტების ბლოკს ეხება, რომლის ტაქტიკა – უცხოურ ქვეყნებთან თანამშრომლობა, ქვეყნის რღვევა – 1989-1991 წლებში “დემოკრატიულმა რუსეთმა” გაითვალისწინა.

ახლანდელ დროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არ დავუშვათ ტრაგიკული მოვლენების განმეორება, მსოფლიო საზოგადოებაში ინტეგრირების ეგიდით რუსეთის ინტერესების სრული დაქვემდებარება დასავლეთის ქვეყნების ინტერესებისადმი. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავაცნობიეროთ, შესაბამისი პოლიტიკური დაჯგუფებების მიერ გამოყენებული პროპაგანდის სრული სიყალბე. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს წარსულში ქვეყნის იმ მოღალატეების საქმიანობის შესწავლა, რომელთა თვალსაჩინო წარმომადგენელიცაა 1936-1938 წლებში განადგურებული მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი.

თარგმნა თამარ ფანცულაიამ.



აპაკი შანიძე

დაფარული საუნჯე¹

(ქართული მთავრული შრიოფტის საკითხის გამო)

არ იხმარებ, რა ხელსა პხდი
საუნჯესა დაფარულსა?
შოთა რუსთველი.


ქართულ წერას მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. ქართული წერისა და ქართული ენის უძველესი ნიმუშები შემოგვენახა მეზუთ საუკუნიდან. სულ ბოლო ხანებამდე უძველესად ითვლებოდა ბოლნისის წარწერები, რომელთაგანაც ერთი თბილისშია მოტანილი და დაცულია მუზეუმში. იგი 493/4 წელს განეკუთვნება. მაგრამ ცხრა წლის წინათ (1953 წ.) აღმოჩნდა ამაზე ადრინდელი ქართული წარწერა: იტალიელებმა პალესტინაში, ბეთლემის ახლოს (იერუსალიმიდან 7-ოდე კილომეტრის დაშორებით), გათხარეს ერთი ბორცვი, სადაც აღმოჩნდა უძველესი ქართული ტაძრის ნანგრევები.



სურ. 1 ბეთლემის წარწერა (V ს.). იყითხება: შეწევნითა ქრისითა (=ქრისტევითა) და მეოხებითა წმიდისა თევსითა (=თვედორევისითა) შე (=შეიწყალენ) ანტონი აბად და ოსია მომსხმელი ამის სეფისად და მამა-დედად ოოსიამი, ამენ.

¹ „საბჭოთა ხელოგნება“, №9, 1962.

ამ ნანგრევებს შემოენახათ სამი წარწერა, რომელთაგანაც ერთი მშვენივრად არის მოღწეული და შესრულებულია მექქვეს საუკუნის შუა ხანებში, ხოლო ორი დანარჩენი დაზიანებულია, მაგრამ უფრო ძველია და უსწრებს ბოლნისისას. ამ ქართული წარწერების მიხედვით დამტკიცდა ისტორიული ცნობა, რომ ქართველთა მონასტერი, რომელიც ჰეტრე ქართველმა ურიასტანის უდაბნოში ააშენა, სწორედ ეს არის.² ქართული წერის ისტორიას ამ წარწერებით ვიწყებთ, რადგანაც ამაზე ადრინდელი ჯერ არ მოგვეპოვება (სურ. 1,2). მოყვანილობა და საერთო შეხედულება ბეთლემ-ბოლნისის წარწერების და უძველესი ხელნაწერების ასოებისა, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, მრგვალია, სიმაღლით ისინი საზოგადოდ თანაბარნია, მხოლოდ რამდენიმე მათგანს ჩამოუდის ბოლოები ძირს (განსაკუთრებით ხელნაწერებში). ასეთ წერას მრგლოვანი დაერქვა.




სურ. 2. ბოლნისის წარწერა (V ს.). თავში და ბოლოში ჩამოტეხილია.

ამნაირი ასოებით არის შესრულებული ყველა ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული ენის ძეგლი V-IX საუკუნეებისა და, მათ შორის, უძველესი თარიღიანი ხელნაწერიც 864 წლისა, რომელიც საბა-წმიდის მონასტერშია გადაწერილი (იერუსალიმიდან 16-ოდე კილომეტრის დაშორებით, აღმოსავლეთით), აგზავნილია სინას მთაზე და ახლაც იქ არის დაცული. სხვათა შორის, ამ წიგნის ბოლოს მოიპოვება მინაწერი, რომლიდანაც ირკვევა, რომ ეს წიგნი მაკარი ლეოთელს შეუწირავს სინას მთისათვის, სადაც ის-ის იყო ქართველები იწყებდნენ მოღვაწეობას. ეს მინაწერი 21 სტრიქონისაგან შეღვება და იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ დაწერილია არა მრგლოვანი ასოებით, როგორც მთელი ხელნაწერი, არამედ იმ ასოებით, რომელთაც შემდეგში ნუსხური დაერქვა. ამ ასოების ხაზები დახრილია მარჯვნიდან მარცხნივ. ამას გარდა ხაზების გადაკვეთის ადგილას კუთხები კეთდება, რის გამოც ეს კურსივი შრიფტი შესახედავად კუთხოვანია.


² გ. წერული, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან. 1960.

იგი მრგლოვნისაგან იძითაც განსხვავდება, რომ სიმაღლის მიხედვით ასოები ოთხ ჯგუფად იყოფა: ზოგი ასო შუაზე იწერება, ზოგი ზემოთ ადის, ზოგი ქვემოთ ჩამოლის, ზოგსაც მთელი სიმაღლე უჭირავს, როგორც ეს არის დღვეანდელ ქართულ წერაში (სურ. 3). ეს ნუსხური შრიფტი ჩვეულებრივ სატექსტო შრიფტად იქცა და გაბტონდა X-XI საუკუნეებში. იმ დროიდან შემორჩენილი ხელნაწერების უმეტესობა ნუსხური ხელით არის ნაწერი. ამავე ხელნაწერებში მრგლოვანი იხ-მარებოდა სათაურებში და ინიციალებად. ამას გარდა, მრგლოვანი იყო თითქმის ერთადერთი ქართული შრიფტი, რომელიც წარწერებისთვის იყო გამოყენებული ამ საუკუნეებში და მომეტებულად შემდგაც, მე-18 საუკუნეებდისაც კი.



სურ. 3. სინური მრავალთაგი 864 წლისა. მარცხენა სკეტი მრგლოვნი ხელით არის ნაწერი (ორი სტრიქონის გარდა), მარჯვნა — ნუსხურით (სამი სტრიქონის გარდა).

ნუსხურისაგან მეთერთმეტე საუკუნეში წარმოიშვა და შემდეგ თანდათან გადაკეთდა ახალი ქართული წერა, რომელიც იხმარებოდა ყოველგვარ საქმეში, ეკლესიის გარდა: სახელმწიფო აქტების შედეგნისას, სიგელ-გუჯრების ბოძებისას, სასამართლოს დადგენილებათა გამოტანის დროს, საერო შინაარსის წიგნების დასაწერად, კერძო მიწერ-მოწერის დროს და სხვ.



სურ. 4. ბაგრატ IV-ის სიგელი (XI ს.), რომელიც შეიცავს სასამართლოს დადგენილებას მიჯნამორელთა და ოპიზელთა სარჩელის გამო. ზოგიერთი სიტყვა შემოკლებულად არის დაწერილი და თავზე შემოკლების ნიშანი (ხაზი) უზის. აქ მათ ქარაგმებით აღნიშნავთ, ხოლო სრულ წაკითხვას ფრჩხილებში ვერცვნებთ. იქითხება: მან: და კელ-ვეფავ ხარკებთ; საურავსა მათსა შევკრიბენ: კარსა: დარბაზისა ჩნდისასა (ჩუენისასა) მღღდელთ მოძღვარნი: ენი (ერისთავთ ერისთავნი): ენი (ერისთავნი): და ყლთა (ყოველთა) ქვევთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი მეცნიერნი საბჭოთა: საქმეთანი: და დავსხენით წე (წინაშე) ჩნდა (ჩუენსა): და წავიკითხენით: მათიცა: და მათნიცა დაწერილი: და რლი (რომელი) სიტყუის გებაი იყო: მათ შორის: მოვისმინეთ: და სამართლად: ესე გავიგონეთ: რლ (რომელ) ჭელნი ამ-ათნი მრვნი (მრავალნი) და მტკიცენი: იყუნეს: და ჩნგან (ჩუენგან) მათი: გატეხაი: არა: ჯვერ-იყო: და სულსა მათ პირველთა მეფეთასა: არა დავამძიმებდით: და თუმცა: ოპიზარნი უნუგეშინის.

ძველი წერა (მრგლოვანი და ნუსხური) დარჩა ეკლესიას და მის მსახურებს, კერძოდ ხუცებს, და დაერქვა ხუცური, ახალ ქართულ წერას კი დაერქვა მხედრული (სურ. 4) დავით აღმაშენებელს ძალიან უყვარდა მრგლოვანი და ნუსხური ხელით დაწერილი საეკლესიო წიგნების კითხვა, მაგრამ თვითონ უფრო მხედრულად წერდა და მხედრულადვე აწერდა ბოძებულ სიგლებს ხელს.

საუკუნე					სუკუნე				
	V	X	XI	XV		V	X	XI	XV
1	ც	ჯ	ჯ	ა	20	ს	ს	კ	ს
2	ძ	ძ	ძ	ძ	21	ძ	ძ	ძ	ძ
3	ჟ	ჟ	ჟ	ზ	22	ძ	ძ	ძ	ძ
4	ძ	ძ	ძ	ძ	23	ძ	ძ	ძ	ძ
5	ე	ე	ე	ე	24	ძ	ძ	ძ	ძ
6	თ	თ	თ	თ	25	ძ	ძ	ძ	ძ
7	ძ	ძ	ძ	ძ	26	ძ	ძ	ძ	ძ
8	თ	თ	თ	თ	27	ძ	ძ	ძ	ძ
9	ძ	ძ	ძ	ძ	28	ძ	ძ	ძ	ძ
10	ძ	ძ	ძ	ძ	29	ძ	ძ	ძ	ძ
11	ძ	ძ	ძ	ძ	30	ძ	ძ	ძ	ძ
12	ძ	ძ	ძ	ძ	31	ძ	ძ	ძ	ძ
13	ძ	ძ	ძ	ძ	32	ძ	ძ	ძ	ძ
14	ძ	ძ	ძ	ძ	33	ძ	ძ	ძ	ძ
15	ძ	ძ	ძ	ძ	34	ძ	ძ	ძ	ძ
16	ძ	ძ	ძ	ძ	35	ძ	ძ	ძ	ძ
17	ძ	ძ	ძ	ძ	36	ძ	ძ	ძ	ძ
18	ძ	ძ	ძ	ძ	37	ძ	ძ	ძ	ძ
19	ძ	ძ	ძ	ძ					

სურ. 5. ქართული ანბანი. წერის განვითარება საუკუნეთა მიხედვით
(გაღმოხატა რ. შმერლინგმა).

XI საუკუნის მხედრული ჯერ კიდევ საკმაოდ პგავდა ნუსხურს, რომლისაგანაც იგი წარმოიშვა, მაგრამ შემდევ და შემდევ იგი თანდათან დაპშორდა მას ასოთა მოხაზულობით, ასე რომ წარმოიქმნა თითქმის სრულიად ახალი სახე ქართული წერისა. ნუსხური ასოები დახრილი იყო და კუთხოვანი, მხედრულში ასოები გასწორდა, კუთხეები მოეშალა და ოთხ საზს შუა მოქცეული ნაწილების ნაცვლად რგოლები გაუკეთდა, ძირის დაშვებული ხაზები კი მოუკაუჭდა. ერთი თვისება მაინც გამოჰყოვა ამ ახალ ქართულ წერას ნუსხურისაგან: ასოები სიმაღლის მიხედვით ოთხი ზომისაა: შუაზე საწერი (ა, ი, ო, თ), საზედაო (ბ, ზ, მ და სხვ.), საქვედაო (გ, ე, ვ, კ, ლ და სხვ.)

და მთელი სიმაღლის მქონე (ქ, წ, ჭ), (სურ. 5). ქართული შრიიფტის ასეთი განვითარების გამო არსებითად ორნაირი წერა გვაქვს: ძველი და ახალი. ძველს ამჟამად აღარავინ მისდევს, გარდა თითო-ოროლა პირისა, რომელნიც ჩვენს წარსულს იკვლევენ (ისტორიკოსები და სხვ.). საზოგადოდ, იგი მივიწყებულია და, სადმე რომ შევვხვდეს ძველი ქართული წიგნი ან ძველი ქართული წარწერა, ვერ მივხვდებით, რომ იგი ქართულია. ამას გარდა, რადგანაც ქართული ნუსხური თავისი დახრილობით და კუთხოვნობით რამდენადმე სომხურს მოგვაგონებს (თუმცა მასთან არაფრით საერთო არა აქვს ერთი კასოს გარდა), ამიტომ ძველი ქართული ასოებით, უფრო კი ნუსხური ხელით დაწერილი ქართული წიგნი ზოგს შეიძლება სომხური ეკონოს, როგორც ამას შემდეგ მაგალითები გვიჩვენებს.

1924 წ. შემოდგომაზე თბილისში გამოიარა ავსტრიიდან სომხეთს მიმავალმა ვენელმა მხითარისტმა ნ. აკინიანმა, რომელმაც, პროფ. ლ. მელქისეთ-ბეგის სიტყვით, სამიოდე წელი დაყო ერევანსა და ეჩ-მიაძინში იქაური სომხური ხელნაწერების ასაწერად. თბილისში მან ინახულა პროფ. ი. ჯავახიშვილი, რომლისთვისაც უამბნია, რომ ევროპის წიგნთსაცავებში ზოგან ხელნაწერები მიჩვენეს და მითხრეს, რომ სომხურიაო, მაგრამ ნამდვილად ქართულები იყო.

ეს მე ი. ჯავახიშვილისაგან მაქვს გაგონილი. ახლა პირადი გამოცდილებიდანაც მოგახსენებთ.

ერთხელ ხელში მეჭირა ერთი ასეთი ხელნაწერი უნივერსიტეტის ერთ დარბაზში. შემოვიდა ერთი ფრიად ცნობილი პროფესორი და, რომ დამინახა ხელში ძველი ხელნაწერი, მკითხა: „აკაკი, შენ სომხურიც იციო?“ — სომხურიც ვიცი-მეთქი, ვუპასუხე, მაგრამ ეს ხელნაწერი ქართულია და არა სომხური-მეთქი.

1949 წ. მარტში საქ. მეცნიერებათა აკადემიამ სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო ბულგარეთში, სადაც უნდა გვენახა როდოპის მთებში მდებარე პეტრიწონის ქართველთა მონასტერი (პლოვდივიდან, ანუ ფილიპოპოლიდან 30-ოდე კილომეტრის დაშორებით), რომელიც 1083 წელს დააარსა საბერძნეთის დასავლური ნაწილის დიდმა დომესტიკოსმა ტაოელმა ქართველმა გრიგოლ ბაკურიანისძემ (ექსპედიციის შედგენილობა: ნ. ბერძენიშვილი, ო. გიგინეიშვილი და ამ სტრიქონების დამწერი). იქ გამოირკვა, რომ ბულგარეთის დედაქალაქში, სოფიაში, სახალხო ბიბლიოთეკას მოეპოვება პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონის (წესდების) ქართული ტექსტის ერთი გადმონაწერი, რომელიც შესრულებულია ნუსხური

ხელით. აღნიშნული ბიბლიოთეკის დაბეჭდილ კატალოგში აშ ხელნაწერის შესახებ ნათქვამია: „ნაწერია სომხური ასოებით, შინაარსი კი უცნობია“. დიალ, ასეა! ჩემი თვალით მინახავს და წამიკითხავს. ამისი მოწმეც მყავს — ისტორიკოსი ნ. ბერძენიშვილი.

ეს ტიპიკონი გადმოწერილია ადრინდელი ხელნაწერიდან, რომელიც პეტრიწონის მონასტერში იყო დაცული წარსული საუკუნის 80-იან წლებამდე, როდესაც იგი იქედან მონასტრის წინამდღვარმა, ტომით ბერძენმა, გაიტაცა და გადასცა ბერძენთა საზოგადო მოღვაწის კორაის სახელობის ბიბლიოთეკას კუნძულ ხიოსზე. იქაური ბიბლიოთეკის კატალოგში ეს ქართული წიგნი სომხურად ყოფილა მიჩნეული და ერთი ბერძენი მეცნიერი იძულებული იყო, საგანგებო წერილი დაებეჭდა, რომ დაემტკიცებინა, რომ ხელნაწერი ქართულია და არა სომხური.

მიუხედავად ამისა, როდესაც ჩვენ დაგვჭირდა მისი ფოტოსურათები და ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ 1957 წ. მისწერა ხიოსის ბიბლიოთეკას, გამოგვიგზავნეთ პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ქართული ტექსტის ფოტოსურათებით, იქიდან პასუხად მოიწერეს: „ეს ხომ სომხურია და რად გინდათო?“ აქედან უპასუხეს: „გადმოგვიგზავნეთ მაინც და ჩვენ როგორმე შევძლებთ მაგ ხომხურის გარჩევასო“. ამის შემდეგ, როგორც იქნა, მივიღეთ ფოტოსურათები.

სხვა მაგალითი: ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაკაში რომ ჩაღიოდა ჩვენებური ხალხი, ეროვნული მწერლობის მუდმივ გამოფენაზე უჩვენებდნენ ხელნაწერს, რომელიც იქ აღნიშნული ყოფილიყო, როგორც სომხური. მის მნახველ ქართველთაგან არავინ დაეჭვებულა მის სომხურობაში, მხოლოდ უდროოდ დაღუპულ მწერალს აკაკი ბელიაშვილს იქ ყოფნისას 1959 წლის შემოდგომაზე უცვნია, რომ ხელნაწერი ქართულია, და მაშინვე უცნობებია პროფესორ იარმირ იელიაშვილის, რომელმაც ეს ძეგლი ამის შემდეგ შეისწავლა და დაბეჭდა კიდევ გამოკვლევა მის შესახებ ქართულად და გერმანულად (ქართულად „მნათობში“ 1961, ვგნისი, გვ. 180). აკაკი ბელიაშვილი რომ არა, დღესაც არ გვეცოდინებოდა, რომ პრაკაში მოიპოვება ქართული ხელნაწერი X საუკუნისა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ზოგი ქართველი მოღვაწისათვის უჩვენებიათ და უთქვამთ, რომ სომხურია.

ამას წინათ მივიღე წერილი მიუნხენიდან დოქტორ ი. ასფალგისაგან, რომელიც მ. თარხნიშვილს ქმარებოდა კ. კეკელიძის

„ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომის გერმანულად გადათარგმნაში. ასფალგი უკანასკნელ ხანს ადგენს კატალოგს ქართული ხელნაწერებისა, რომლებიც გერმანიის სხვადასხვა ქალაქში მოიპოვება. იგი, სხვათა შორის, მწერდა: „მე კიდევ ღაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან მივიღე ხუთი ქართული ხელნაწერის ნაწყვეტები, რომლებიც კ. ტიშენდორფს წამოულია აღმოსავლეთიდან (სინას მთიდან და იერუსალიმიდან). ხუთივე ქართულია (უძეტესად ნაწყვეტებია ლიტურლიკული წიგნებისა, როგორიცაა: თვენი, სვინაქსარი, აგრეთვე ბიბლიის ნაწყვეტებიც, ზოგი რამ ასომთავრულითაც კი), თუმცა კი ოთხი მათგანი K. Vollers-ის კატალოგში სომხურად არის აღნიშვნულიონ“.

ეს მაგალითები იმიტომ მოფიცენე, რომ მკითხველმა ნათლად წარმოიდგინოს, თუ რა უცნაური მდგომარეობა შეგვექნა იმის გამო, რომ ქართულს ქართულად ვეღარ ვცნობთ ვერც ჩვენ და ვერც სხვები. როგორც აბრეშუმის პარკიდან გამომძვრალი პეპელი არ ჰგავს იმ ჭიას, რომელმაც ეს პარკი გააკეთა, ისე ჩვენი დღევანდელი წერა არ ჰგავს იმ წერას, რომლისგანაც იგი წარმოიშვა. ქართულს ქართულად რომ ვერ ვცნობთ, ამის მიზეზია არა მარტო ქართული შრიფტის განვითარება და სხვაგვარი წერის შემუშავება, ვიდრე ძველად გვქონდა, არამედ უფრო მეტად ჩვენი მძიმე ისტორიული პირობები: მტრების განუწყვეტელი შემოსევისა, ჩვენი ქვეყნის მუდმივი რბევისა და გაჩანაგების გამო ქართველი ერი ვეღარ წარმოდგა ფქბზე და წელში ვერ გაიმართა იმდენად, რომ თავისი კულტურული მოთხოვნილებანი ხორმალურად დაეკმაყოფილებინა.

წერა-კითხვის მცოდნე სომქე ბავშვს რომ უჩვენონ მეცხრე-მეათე საუკუნის სომხური წიგნი ან წარწერა, უთუოდ იცნობს, რომ სომხურია; წერა-კითხვის მცოდნე ქართველ ბავშვს კი არ შეუძლია ძველი ქართული წიგნი ან წარწერა იცნოს და თქვას, რომ ქართულიაო. არა თუ ბავშვს, არამედ უმაღლესი განათლების მქონესაც არ შეუძლია წაიკითხოს ძველი ქართული წიგნი. წაკითხვას ვინ ჩივის, ნეტავი გამოიცნობდეს მაინც, რომ ქართულია!

საინტერესო ამბავი მოხდა 1867 წელს. მცხეთის ქვემოთ, შვიდიოდე კილომეტრის დაშორებით, მტკვრის მარჯვენა მხარეს გზა უნდა გაეფართოვებინათ და კლდეს აფეთქებდნენ. ერთი აფეთქების დროს წარწერიანი ქვა გადმოვარდნილა და გზაზე დაცემულა. მუშებში ერივნენ ახალციხელი ბერძნები და, რომ დაუხედავთ, უცვნიათ, რომ წარწერა ბერძნულია და, მეტად გაკვირვებულან. წარწერა I

საუკუნისაა და ეკუთვნის რომის იმპერატორს ვესპასიანეს (69-79 წ. წ.) ერთი მიბრძანეთ, რომელი ქართველი მუშა შეძლებდა ეცნო, რომ შესწრებოდა, მაგ., იტალიელების გათხრებს 1953 წ. ბეთლემს ახლოს, სადაც აღმოჩნდა ქართველი წარწერა, მრგლოვნით შესრულებული? — ვერავინ. ან კიდევ: რომ უჩვენო ქართველ მუშას შ. რუსთველის იერუსალიმური პორტრეტი და უთხრა: აბა წამიკითხე, რა აწერია თავზეო, შეძლებს კი წაკითხას? ან ერთი კიდევ: საშუალო განათლების მქონე ქართველი კაცი პროვინციიდან (ვთქვათ, ყვარლიდან, ჩოხატაურიდან ან ჩხოროწყუდან) ან თუნდ თბილისელი, ქუთაისელი ან ბათუმელი მიიყვანო თბილისში, ვერის ბაზრის ახლოს მდებარე ლურჯი მონასტრის ეზოში და უჩვენო ტაძრის კარის თავზე მოთავსებული შოთა რუსთველის დროინდელი წარწერა და უთხრა: აბა გამოიცანი, რა ასოებიაო, გამოიცნობს კი? არა მგონია და ჩვენი უბედურებაც სწორედ ეგ არის.

1959 წლის ივლისის პირველ რიცხვებში აწ განსვენებულმა პროფესორმა კ. კეკელიძემ მოხსენება წაიკითხა ბოლნისის ტაძრის იმ წარწერის შესახებ, რომელიც ტაძრის აღმოსავლეთის მხარეს არის მოთავსებული, სარკმლის თავზე. მოხსენება მოწყვო თვით ტაძრის ეზოში, წარწერასთან. მომხსენებელმა გაარკვია ამ უძველესი (V ს.) წარწერის ორი უკანასკნელი ასოს მნიშვნელობა, რაც მანამდე გაურკვეველი იყო. მოხსენებას დაესწრენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ინტელიგენცია. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია მსმენელებში, მაგრამ ამოდენა ხალხში სამითხო კაცი თუ ერია, რომელთაც შექძლოთ ამოეცნოთ ამ უძველესი ქართული ენით დაწერილი ტექსტის ქართული ასოები. ისე უკუღმართად წარიმართა ჩვენი ისტორია, რომ მრავლის მეტყველი წარწერა, რომელიც 1500 წლის წინათ არის ამოკვეთილი, უცხო აღმოჩნდა არა მარტო აღგილობრივი მოსახლეობისათვის, რომელიც დღეს უმთავრესად სომხები და თურქებია, არამედ ტაძრის ეზოში შეკრებილი ქართველებისთვისაც, რომელთა შორის ბევრი იყო ფრიად განათლებული პირი.

როცა საქართველომ ცოტაოდნად წამოიხედა მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს და მეთვრამეტის დასაწყისში და დაიწყო კულტურული აღორძინება, ვახტანგმა შემოიღო სტამბა და წიგნის ბეჭდვას მიჰყო ხელი ორივე ქართული შრიფტით, ძველით და ახლით: საქალესიო წიგნების დიდი ნაწილი დაბეჭდა ძველით, „ვეფ ხისტყაოსანი“ და ზოგი სხვა ახლით. ძველი შრიფტით ნაბეჭდ ქართულ წიგნში,

საზოგადოლ, ყველგან გატარებულია მთავრული ასოების წმარება, როგორც ამას გვიჩვენებს, მაგ., ქუთაისში 1803 წელს დაბეჭდილი ვნების კვირიაკის სახარება, სადაც, სხვათა შორის, მთავრული ასოები ნახმარია აგრეთვე საზოგადო სახელების თავშიც (სურ. 6). ეს მთავრული იყო მრგლოვანი, რომელსაც ამის გამო ასომთავრული ეწოდა. მაგრამ უფრო საყურადღებო ის არის, რომ ზოგს მე-18 საუკუნის მხედრულად ნაწერსა და ნაბეჭდ წიგნშიც მთავრულ ასოებად შემოიღეს იგივე მრგლოვანი. ეს მოვლენა საზოგადოდ, იმასთან არის დაკავშირებული, რომ დაიწყო წარსულის შესწავლა და მის მონაპოვართა გამოყენება. ცნობილია, მაგ., რომ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიც კი გადაწერეს ძევლი (ხუცური) ასოებით. მაგრამ ეს გადაჭარბება იყო. მშვენიერი მხედრულის შეცვლა არ გვჭირდება, ძევლისა გვჭირდება მხოლოდ მთავრული ასოები, რომელთაც კარგად იყენებდნენ ჩვენი წინაპრები ხელნაწერებსა და ნაბეჭდ წიგნებში. ასეთია, მაგალითად „კიტაის სიბრძე ანუ სწავლა ქუეყანასა ზედა ბედნიერად ცხოვრებისა“, რუსულიდან თარგმნილი გაიოზის მიერ და დაბეჭდილი მოსკოვს 1777 წელს (სურ. 7). ამ წიგნის ნაწილების სათაურები და თავები მრგლოვანი ასოებით არის ნაბეჭდი.



სურ. 6. ვნების კვირიაკის სახარება (ქუთაისი, 1803 წ.).

ԿՈՐՆՈՎ ԿՈՎԱՅԻ

५६३
४८१
४८२

სურ. 7. კიტაიის სიბრძნე (თავფურცელი).

ერეკლე მეფემ რომ პოლიტიკური ხელშეკრულება დადო რუსეთ-თან 1783 წ., მის ქართულ ტექსტში, რომელიც მხედრულად არის ნაწერი, მთავრულებად იხმარეს მრგლოვანი (სურ. 8)

სურ. 8. 1783 წლის ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს
შორის (დასაწყისი). სურ. 8b. 1783 წლის ხელშეკრულება
საქართველოსა და რუსეთს შორის (ბოლო).

გაიოზმა რომ ქართული გრამატიკა გამოსცა კრემბენჩუკში 1789 წელს, შიგ ახალ შრიფტთან ერთად ძველიც გაურია და, რასაკ-ვირველია, მისი მთავრულებიც.

მრგლოვანი შრიფტის მთავრულად ხმარებას მე-19 საუკუნის პირველ ნახევარშიც მისდევდნენ. მაგ., „განწესება შინაგანისა საქართველოსა მართვისა“ (1801) იმგვარად არის დაბეჭდილი, რომ სა-თაური მთლად მრგლოვნით არის, ამას გარდა, წინადაღების დასაწყისში და საკუთარ სახელებში იგივე შრიფტია ნახმარი. მაშასადამე,

մրցլողներ կ մարզեած այսպ, ըստ 1783 թ. Ծրաբիւաթմո, որտեղ գրադաւուլո դանութեալլեած այս (Եղբ. 9).

ՀԵՐԵՎԱԿԱՆ ՑԱՐԵՎՈՒՄ ՏԵՇԻՔՈՒԴ
ՊԱՇԱԾ ԽԵԺՈՒՅԵՑ,

საქართველოს გარემოების სეფა უწევდა, პირველად ხდით
არა ზოგიანია: "ორისა, ხატის და გუშვისა და ორი
ჩახევის შესა ცემადა და საკრალოსა.

କୁଳେଶ୍ୱରଙ୍କ ଦ୍ୱାରା ସାମାଜିକରଣର ଏକପଦାନ୍ତ ପରିମାଣରେ ଉଚ୍ଚତା
ଲାଗିଥାଏ ଉପରେ କେବିଦ୍ଵାରା :
ଓଡ଼ିଶାକୁ କୁଳେଶ୍ୱରଙ୍କ ହାତରେ ପରିଦେଖିଲା ।

ଶ୍ରୀବିଜୟନ୍ତିର

ఆశ్రమాల సాక్షిగాలు ప్రభుత్వానికి పోతాడు అన్నందు, నీటియొక్క వ్యాపారాల ప్రాణాలని తెచ్చాడు.

ఆంధ్రప్రదీపికా సామాజికస్వాతంత్ర్యానికాలు కొలింగి గ్రేడ్లలో ప్రాణికులను వ్యాపించుతాయి.

ප්‍රාග්ධන පැහැදිලිව සෑයුම් නො යොමු කළ තුළ මෙයින් ප්‍රාග්ධන පැහැදිලිව සෑයුම් නො යොමු කළ තුළ මෙයින්

შესაბამის 300 კუთხით 3 გვლიამზე გრძელებას შედებოთ ეფუძნებოდა.

სურ. 9. განწესება შინაგანისა საქართველოდას მართვისა (1801)

თეიმურაზ ბაგრატიონი მხურვალე მიმდევარი იყო მთავრულების ხმარებისა. მან ეს წესი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერ „განმარტება-შიც“ „გაატარა თავიდან ბოლომდის³ და თავის ისტორიაშიც, რომელიც დაიბეჭდა 1848 წ.⁴ ეს ის შრიიფტია, რომლის ნახაზები თვით თეიმურაზმა შეიძუშავა და პარიზში ბროსეს ჩამოასხმევინა (სურ. 10ა, 10ბ).

Առաջին շրջանում Սարգս Քյոցելսը պատճենավորելու:

մի կող եցւ ուստի վայսպատճ էն օգա-
շութ եղա հայութ քանի ու առանձ և արդարութ լուրջ հայ-
և սկզբու բայց ետք Տայ վայսպատճ առ առ էն օգա-
ծութ և վայսպատճ են այդ ետք առ առ էն օգա-
ծութ են սկզբու բայց առ առ էն օգա-

სურ. 10ა. თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება.

⁴ მუჯის კორტის ძე თეოდორუს, ისტორიისა და ქარგი ითვალისწინებულისა, ე. ი. გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა, ს. პეტერბურგის, 1848. სტამბასა შინა სამეცნიერო აკადემიისასა.

8. Ծոց օց լուսնա-եելոյնեա Ծցուռան Կացնդրաբն Ֆըցք
Ունան Եցու Ֆըցք Պառան Ֆըցք մասն Ֆըցք Ծմօցին Յուղ-
ունա մասն Ֆըցք Ֆըցք Ֆըցք Ֆըցք Ֆըցք Ֆըցք Ֆըցք Ֆըցք
Ֆըցք Ֆըցք Ֆըցք Ֆըցք Ֆըցք Ֆըցք Ֆըցք Ֆըցք Ֆըցք Ֆըցք

Հայոց պետքածին Տօն Ծամասկի կյաց-ան յեզր.

სურ. 10ბ. თეიმურაზ ბაგრატიონი, საქართველოს ისტორია (1848).

მე-19 საუკუნის ორმოცდაათიანი წლების შემდგე ძველი მთავრულების ხმარება არსებითად შეწყდა, მაგრამ იყო მაინც თითო-ოროლა ცდა ტრადიციის განვითარებისა. ერთ ასეთ ცდად შეგვიძლია დავასახელოთ „ცისკრის“ 1861 წლის თებერვლის ხომერი, სადაც ურნალის თავფურცელზე სამი სიტყვის პირველ ასოდ მრგლოვანია გამოყენებული: (ვისკარი, წოდება თხზულებათა და ტფილისს (სურ. 11).

గున్నారు

1861

- 232 -

የኢትዮጵያ የክፍተት ባሔድር

ପ୍ରକାଶନ.

جعفر بن محبوب

სურ. 11

სამოციან წლებში მთავრულების ხმარების საკითხში დიდი გარდატება მოხდა. 1866 წ. დაარსდა გაზეთი „დროება“, რომლის რედაქტორი იყო გ. წერეთელი, გამომცემელი კი — ს. მელიქიშვილი. „დროების“ რედაქციამ გაბედული ნაბიჯი გადადგა: საჭიროდ მიიჩნია, მთავრულების ხმარება გაეტარებინა სისტემებრ თავისი გაზეთის ფურცლებზე: მთავრული ასოებით უნდა დაბეჭდილიყო სათაურები და ახალ წინადაღებათა და საკუთარი სახელების დასაწყისი ასოები, ე. ი. ქართულ ნაბეჭდ ტექსტში უნდა გატარებულიყო იგივე წესი, რაც დიდი ხანია გამტკიცებული იყო ევროპის ენებში: რუსულში, ფრანგულში, ინგლისურში, იტალიურში, ბერძნულში და სხვ.⁵ (სურ. 12.).



იდეა, რომელიც გ. წერეთელს და მის თანამოაზრებს ამოქმედებდა, უთუოდ პროგრესული იყო, მაგრამ ამ იდეის პრაქტიკული განხორციელება არ გამოდგა ნაყოფიერი. საქმე ის გახლავს, რომ იმის ნაცვლად, რომ აეღოთ ლამაზი ხელით შესრულებული ძველი ხელ-ნაწერებისა და წარწერების საუკეთესო ნიმუშები და მათი მიხედვით დაეხატეთ ასოები და შემდევ ამ ნახატების მიხედვით დაემზადებინათ ნამდვილი ქართული მთავრული ასოები, გვერდი აუქციის ქართული შრიიფტის განვითარების ისტორიულ გზას, აიღეს მხედრული ბეჭდური შრიიფტი და მისგან გააკეთეს მთავრულები. მხედრულში, როგორც ზემოთ ვთქვი, ისტორიულად ოთხი ზომის ასოები შემუშავდა: საზედაო, საქვედაო, შუაზე მოსათვასებელი და მთელი სიმაღლისა; მაგ., ამ ისტყვებში ქართული წერის საქმე, სამი საზედაო ასოა ნახმარი (მ, რ, ს), სამი საქვედაო (ე, ლ, უ), სამი შუაზე მოსათვასებული (ა, თ, ი), ორი კი მთელი სიმაღლისა (ქ, წ). ახალი მთავრულების გაკეთებისას კველა ასო ერთ სიმაღლეზე დაყენებს. ამიტომ შუაზე საწერი ასოები გაიწელა და დაგრძელდა, მთელი სიმაღლის მქონე ასოები დაიტყვლაპა, საზედაოებს საქვედაოები ამოუდგა გვერდით, ერთი ისტყვით, ისტორიული პრინციპი დაირღვა და მშვენიერი ქართული მხედრული ასოები დამახინჯდა და დაუშნოვდა. ამის მაგალითია იგივე სიტყვები, ძართული ცერის

⁵ გერმანელები საზოგადო სახელებსაც მთავრულით იწყებენ, რომლის ნიმუში ქართული-დანც ვნახოთ ზემოთ (სურ. 6), მაგრამ გ. წერებული ამ შემთხვევაში მათ შეხედულებას არ იძიარებდა.

საქმე, სადაც ყველა ასო ერთი სიმაღლისაა. ამიტომ გასაკირველი როდია, რომ ამნაირი ასოებით დაწერილი სიტყვები ძნელი საკითხავია. რომ ნათელი იყოს, თუ როგორ გამოიყერება ქართული ნაბეჭდი ტექსტი „დროების“ რეფორმის მიხედვით, მოვიყვანოთ ერთი ნიმუში (სურ. 12ბ).

მახტა და აქედამ ის ოწოდება ძახეთათ. მთელი მხარე იმან დაცულ რამდენსამე საერისთავოთ; ორი დააწესა პლაზნის გაღმა, რომელსაც ეწოდა ბაღმა-მხარი. წუქეთში იყო დოლი გუშბათისი კეკლესი და აქ იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი მლისენისა, წუქეთისა და ზეკინისა. ქელის გუჯრილამ სჩანს, რომ ეკკლესისა ამ ადგილში ჰქონია ყმა და მმული, ესე იგი ლაგოდებში, ბანებში, ბაზარში, ქუნელინში, წინ-უბანში და ზანგოთში (¹). XV საუკუნეში, როგორც ვიცით, ალექსანდრე შეუებ საქართველო დაუყო თავის სამს შეილს; ჰერეთი ძახეთით არგუნა უმტროსს, დაეითა. მავე საუკუნის გასულს ლავითის შეილმა ზორავიშ საერისთვოები ძახეთში გააუქმა და იმათ ნაცელათ დააწესა სამოურავოები; ბაღმა-მხარში დასვა სამი მოურავი—მლისენში, წუხეთში და შიაურიში. ამ დროებში ლევები, როგორც სჩანს, იშეიათათ აწუხებდნენ ძახეთს და თვით ბაღმა-მხარს: იმათ ხარკათ თურმე ედოთ ყინულის ზიდვა ძავისის მთავრადა. (²)

სურ. 12ბ. „დროება“. 1866 წ. 22 დეკემბრისა (ნაწყვეტი მეთაურიდან).

აქედან ვხედავთ, რომ „დროების“ რეფორმას მთავრულების შემოღებით გარკვეული ორთოგრაფიული მიზნები ჰქონდა დასახული.

არ შეიძლებოდა, ამ რეფორმას თავის დროს ჩინჩილი არ გამოწვია, რადგანაც მკითხველთა ფართო წრები გულგრილად ვერ შეხვდებოდნენ ქართული ასოების დამახინჯებას. ამიტომ „დროების“ რედაქცია იძულებული გამხდარა, ხმა ამოედო და პასუხი გაეცა. პასუხიდან ჩანს, თუ რას უსაყველურებლენ „დროებას“: „დროებას“ ზრახავდნენ, რომ ახალი ასოებით რათ იბეჭდებაო. ჩვენებურს სტამბაში რომ ასომთავრული არა ყოფილა, „დროებამ“ საიდამ შემოგვაჩენაო. საზოგადოება სწერებოდა ასომთავრულის შემოღებაზე, — მს რა ასოებია, ინი ინს არა ჰგავს და ენი ენს. ამ გვარათ წერა, თქვენი ჭირიმეთ, ვის გაუგონია: ენსა და ვინს რომ

მაღლა სმენო, სხვა ასოებს კი დაბლა. ზოგი აწეულია, ზოგი დაწეულია, თითქო ასოები ყირამალაზედ გადასვლას აპირებენო. ამისთანა სჯაში ბევრჯერ იყვნენ ხოლმე გართულნი ჩვენი მოხუცებულები. მაგრამ „დროება“ ამისთანაებს ყურს არ უგდებდა. იმან კარგად იცოდა, რომ ყოველი ახალი საქმე და ნივთი კაცს თვალში ეჩირება, არ მოსწონს იმისთვის, რომ თვალი შეუჩვეული აქვს: იმისი წინააღმდეგია, რადგანაც ჯერეთ იმისგან სარგებლობას ვერ ჰქედავს. ბმას-თანავე „დროება“ კარგად ხედავს ასომთავრულის სარგებლობას. იმან იცოდა, რომ უასომთავრულოთ კაცი საკუთარ სახელს მნელად გამოიცნობს ხოლმე, ასე რომ კითხვაში ხშირად შეუნიშნავად რჩებიან უცხო ქვეყნების და კაცების სახელები. ბმას გარდა, ყოველი აზრი კითხვაში უფრო მკაფიოდ ანუ ნათლად იხედება, რადგანაც ის ყოველთვის ასომთავრულით იწყება ხოლმე. ასომთავრულის შემოღებით აგრეთვე თვითონ ქართული სტამბაც⁶ მრავალგვარდება და მშვენიერდება. „დროება“ კარგათ გრძნობდა, რომ, როდესაც მკითხველებს ასომთავრულზედ თვალი გაუტყდებათ, მაშინ ისინი ღირსებათ ჩათვლიან იმ ნაკლულებანებას, რომელსაც პირველათ ხედავდნენ. ბმ აზრის იყო „დროება“ და, ვგონებ, არც მოტყუებულა“ („დროება“, 1867, №1).


ამ კამათს რომ 95 წლის შემდეგ ვეცნობით და მსჯელობის საგნად ვიხდით, უნდა ვთქვათ, რომ ერთი მხარეც მართალი იყო და მეორეც: „მოხუცებულები“ იმ მხრივ, რომ „ახალგაზრდებმა“ ასოების პროპორცია დაარღვიეს, „ახალგაზრდები“ კი იმ მხრივ, რომ მთავრულების შემოღებას, საზოგადოდ, დიდი უპირატესობა ჰქონდა და აქვს. იდეა „ახალგაზრდებისა“ სწორი იყო, მისი პრაქტიკული განხორციელება კი — მცდარი, როგორც ეს შემდგომმა ამბებმა ცხადყო.

„დროება“ ყოველ ნომერში ატარებდა ახალ ორთოგრაფიას მხედრული „მთავრულის“ გამოყენებით ცალკეული წერილების სათაურებში და საკუთარი სახელების თუ წინადადებათა პირველ ასოებად. მიუხედავად გაზეთის რედაქტორების ცვლისა (გ. წერეთელი 1866-69, ს. მესხი 69-73, კ. ლორთქიფანიძე 73-74, ს. მესხი 74-80, ი. ჭავჭავაძე და ს. მესხი 80-81, ისევ ს. მესხი 82-83, ი. მაჩაბელი 83-85), ამ ორთოგრაფიულმა მიმდინარეობამ გასტანა „დროების“ არსებობის მთელ შანბილზე, ცხრამეტი წლის განმავლობაში (1866-86).

ცალკეულ პირთაგან, რომლებიც დროების“ ორთოგრაფიას იზი-

⁶ ჯტორს უწოდა ეთქვა: ქართული სტამბის შრიფტიც.

არებდნენ, შეგიძლია დავასახელოთ ი. გოგებაშვილი, რომელიც თავის სახელმძღვანელოებში მხედრულ მთავრულებს ხმარობდა სისტემებრ, როგორც ამას გვიჩვენებს მისი „ბუნების კარის“ 1876 წ. გამოცემიდან ამოღებული ერთი პატარა ლექსი (სურ. 13).



სურ. 13. ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“ (1876).

საინტერესოა, შესწავლილ იქნეს სპეციალურად და გამოირკვეს დეტალურად, თუ ვინ, როდის და რა შემთხვევაში განაგრძობდა კიდევ „დროების“ შემოღებული წესების დაცვას. თვით გ. წერეთული მთავრულებს ხმარობდა 1876 წ. ცალკე წიგნაკად გამოცემულს „არანკა“-ში, მაგრამ მერმინდელს ბელეტრისტულსა და პუბლიცისტურ ნაწერებში ხელი აიღო მთავრულის ხმარებაზე (მაგ., „რუხი მგელი“, 1892, „ქართველთა და სომეხთა ურთიერთობა“: კვალი 1893, №15). მაგრამ კარგად ცნობილია, რომ მთავრულების ხმარების წესებს თავგამოდებით იცავდა ქუთაისში სილოვან ხუნდაძე, რომელიც თავის ნაწერებში (გრამატიკებსა და ლექსებში) მთავრულებს ხმარობდა სისტემებრ და, გ. ახვლელიანის სიტყვით, მასვე მოითხოვდა თავისი მოწაფებისგანაც და შეცდომად უთვლიდა, თუ ვინმე ამ წესებს დაარღვევდა.

გ. წერეთლის დაწყებულსა და გოგებაშვილი-ხუნდაძის მოძახილს არავინ მისცა ბანი და მხედრულმა მთავრულმა დაკარგა თავისი პირვანდელი დანიშნულება. იგი დარჩა ხმარებაში, მაგრამ გამოეცალა ორთოგრაფიული მიზნები, მისი ხმარება განისაზღვრა მარტოდენ თვალსაჩინოებით: მას იყენებენ მხოლოდ წიგნისა და წერილების სათაურებში და ზოგიერთ სხვა შემთხვევაში, ვთქვათ, როცა შორიდან უნდა დაჩნდეს ნაწერი, მაგ., აფიშებში, ფირნიშებში და სხვ.

ამგვარად, „დროების“ ინიციატივამ, რომელსაც მიზნად ჰქონდა ევროპული ენების მსგავსად, კერძოდ რუსულისა, მთავრულების შემოღება ქართულშიც, თავის მიზანს ვერ მიაღწია. მან საბოლოოდ გაახმო მე-18 ს-ში გაღივებული და მე-19-ის პირველ ნახევარში რამდენადმე ამოჯევლებული ორთოგრაფიული მიმდინარეობა, რომელიც მთავრულებად მრგლოვანს მიიჩნევდა. მიუხედავად ამისა, მაინც იყო ცდა მრგლოვნის განედლებისა და გამოცოცხლებისა:

დიმიტრი ყიფიანმა რომ 1882 წელს თავისი „ქართული ღრამატიკა“ დაბეჭდა პეტერბურგში რუსთის მეცნიერებათა აკადემიის სტამ-

შოწენები ქართულები

ზაფირ იესეს კეკევი!

ცეკვინა ქართველი რომ აღარ იშოგებოდა, და აღარც
სხვებისა, საქვე ისე გაგიაძებდა, რომ დედაქანის სწა-
ვლების გეღარ გამოიჩინდათ; — შეტა ღონებ აღარ იურ,
ჩემი შემოგებისათვის მეცე უნდა შემეგდინა ქართველი რი, როგორც მომარტინებოდა და, აა, სტამბაში გგზავნი გაჯეც
დასიბულებად.

წე წლის ოქტომბრის დამდებს რომ ჩემს სახლში
ჰანდუბოდით, მაშინ გთხოვთ და თქვენც დამრთოთ ნება,
რომ პირველად თქვენი პატივისცემით სასენტიანი სა-
ხელო გასტარო და თავების შეკვებისას ვუძღვნ ეს წიგნი,
ეპება ოქტემბერის ბობით და თქვენი მაგალითით სხვებაც
ქართველი ენის სიყვარულით, შითხრათ აა შემომითვა-
ლოთ, რასაც ეს სიყვარული ჩემთვის სათქმელად გაგო-
ნებთ: ენას ერთგულებას გაუწევთ მაგით და უკანას დამაკავებოთ.

თქვენი აღმატებელების

გულითადი პატივისცემები

ზამთრიდ ყაფანა.

სოჭ. ქვემექო,
12 დეკემბერი 1881.

ბაში, მან შიგ მთავრულებად ყველგან მრგლოვანი იხმარა (სურ. 14).
სურ. 14. დ. გიგანის „ქართული ღრამატიკა“ (1882).

მე-19 ს-ის დასაწყისში (1802 წ.) იალლუზიძე საჭიროდ მიიჩნევდა
ოსურად ნათარგმნ სახარებაში, რომელიც თავიდან ბოლომდის ქარ-
თული ასოებით იყო ნაწერი, ცალკეული თავები მრგლოვანი ასოებით
გამოეყვანა და მრგლოვანივე ქმარა საკუთარი სახელებისა და წი-
ნადადებათა თავში. 65 წლის შემდეგ თითქმის ფიქრადაც აღარავის
მოსდიოდა, რომ ძველი ქართული შრიფტი არა თუ ოსურში (საკლე-
სიო წიგნების გარდა), არამედ ქართულ წიგნში ან უურნალ-გაზეთში
გამოეყენებინა. სათვალავში არ არის ჩასაგდები, რა თქმა უნდა, ძვე-
ლი შრიფტის ხმარება სპეციალური მიზნით გამოცემულ წიგნებში,
როგორიცაა, ვთქვათ, დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათია (1846 წ.), სა-
დაც „ივლითის“ წიგნი მთლად ძველი შრიფტით არის დაბეჭდილი
(გვ. 343-377), ან ი. ყიფშიძის ძველი ქართული ქრესტომათია (პე-
ტერბურგი, 1918), რომლის ძველი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები
მთლიანად გადაბეჭდეს ნ. მარმა და მ. ბრიერმა ქართული ენის სახ-
ელმძღვანელოში (La langue géorgienne, პარიზი, 1931). მხედველო-

ბაში არაა მისაღები არც „სახის მეტყველი“, რომელიც მთლიანად მრგლოვანი შრიფტით დაბეჭდა 6. მარმა (1904), ან კიდევ მარისავე გამოცემა სპეციალური ელასიპეს და მელასიპეს ცხოვრების ტექსტისა, რომელიც დაბეჭდილია ნუსხური შრიფტით (1907), არც ვ. ბენეშე-ვიჩის გამოცემული ორი თავი სახარებისა: მათესი (პეტერბ. 1909) და მარკოზისა (იქნე, 1911), რომლებიც მრგლოვანი შრიფტით არის დაბეჭდილი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში, კ. კეკელიძის იერუსალიმის განწესება-განჩინების ტექსტი (ნუსხურად, თბილისი, 1912), მისივე „არქიერატიკონი“ (თბ., 1912), რომელიც დაბეჭდილია იმ ხანებში ახლად ჩამოსხმული შრიფტით, არც ა. შანიძის „ძველი ქართული ქრესტომათია“ (1935), რომლის შრიფტი დ. შევარდნაძის ნახატების მიხედვით არის დამზადებული, და ი. იმნაიშვილის „ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია“ (1949, 1953), სადაც ერთ ნაწილში იგივე შრიფტია ნახმარი.

იგივე ითქმის წარწერების შესახებ, რომელთა გამოცემის დროს ძველ შრიფტსაც იყენებდნენ ხოლმე (მ. ბროსე, ნ. მარი, ე. თაყაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი და სხვები).

ძველი შრიფტი კანტი-კუნტად სხვა გამოცემებშიც გვხვდება: საბინინის „სამოთხეში“ (გვ. 1-28), თ. უორდანიას „ქრონიკებში“ (I, გვ. 12-26, 31-32, 39, 48, 49, 61, 62, 66, 69, 70, 73, 75, 190-192, II, გვ. 53-54, 62-66) და სხვაგან. ერთ ასეთად შეგვიძლია დავასახელოთ „ფსალმუნი“, რომელიც გამოიცა 1960 წ. აქ ძალიან გამოგვალგა ძველი შრიფტი: საჭირო იყო ფსალმუნთა მუხლების ორმაგი ნუმერაცია: ძველი და ახალი. ძველი დამუხლვა არ ემთხვევა ახალს. ამიტომ ახალი სათვალავი არაბული ციფრებით აღინიშნა, ძველი კი — ქართული ასოებით; მაგრამ, რომ ნათელი ყოფილიყო, თუ სად იწყება მუხლი ძველი დაყოფის მიხედვით, იქ მრგლოვანი ასოები დავსხით. ასე გამოვედით გაჭირვებიდან.

ჩვენ რომ თანდათან კომიტეტით ძველ ისტორიულ ამბებს მე-19 ს-ში და მის მეორე ნახევარში სულ მთლადაც მოვსწყდით წარსულს, ეს გასაკვირველი არ არის. ქართული სკოლა აღარ არსებობდა, თვითმეტობელობის მოხელეებს ქართული კულტურისათვის არ ეცალათ, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მტრულად ეპყრობოდნენ მას. მესტამბებს კი არც ცოდნა ჰქონდათ, არც შეგნება, არც საკმაო შეძლება, რომ სტამბის საქმე მაღალ დონეზე დაუკენებინათ, შეექმნათ ახალ-ახალი შრიფტები დიდი ისტორიული ბედის მქონე ქართული წერის საუკეთესო ნიმუშების მიხედვით. გრიგოლ ტატიშვილიც კი თავისი

ბრწყინვალე ნიჭით ვერ გასცდა მხედრულ ასოებს.

მკითხველმა უთუოდ იცის (და თუ არ იცის, გრძნობს მაინც), რომ მთავრული ასოების გარეთა შრიფტში მარტო გონიერი სიტყვა კი არ არის საჭირო, არამედ ესთეტიკური გრძნობის დასაკმაყოფილებლადაც; მის ხმარებას მარტო ორთოგრაფიული მიზნები კი არ აქვს საფუძვლად (რომ, ვთქვათ, გაირჩეს საკუთარი სახელი საზოგადოსაც), არამედ მთელი ნაწერი ან ნაბეჭდი ტექსტი სასიამოვნო შესახედავი იყოს და წასაკითხავად მიმზიდველი.

მე-19 საუკუნეშ გააერთიანა პოლიტიკურად დაქსაქსული ქართული ტომები, მაგრამ უკან დახია კულტურულად და, რაც მთავარია, წაართვა ხალისი თავისი სიმძიდრის მოვლისა და გამოყენებისა. ამიტომ ყველაზე მდიდარი ხელნაწერი შრიფტების მქონე ხალხი ყველაზე ღარიბი აღმოვჩნდით ბეჭდვისას და ისეთსავე ვითარებაში ჩავცვივდით, როგორშიაც არიან არაბები, სპარსელები და ყველანი, რომელნიც არაბულ წერას იყენებენ. არაბულს კი მთავრული ასოები არა აქვს და სათაურში ჩვეულებრივ უფრო დიდი ზომის ასოებს ხმარობენ, ვიღრე ტექსტში. ასეთივე ვითარებაა ებრაულსა და ასურულშიც.⁷ არც მათ აქვთ მთავრული ასოები. ქართული წერა კი ძირითადად განსხვავდება არაბულ-ებრაულ-ასურულისაგან: ჩვენ მარცხნიდან მარჯვნივ ვწერთ, აღნიშნული სემიტური შრიფტების მიმდევარნი კი — მარჯვნიდან მარცხნივ („უკუღმა“). სტრიქონთა მიმართულებით ჩვენცა და სომხებიც ბერძნებთან, რუსებთან და სხვა ევროპელებთან ვართ, რომლებიც ლათინურ შრიფტს ხმარობენ, მთავრული ასოების უქონლობის გამო კი სამხრეთის ერებთან ვართ: არაბებთან, სპარსელებთან, ებრაელებთან, ასურებთან.

სომხებმა თუ მთავრული ასოების ხმარება შემოიღეს, ამისი მიზეზი მარტო ის კი არ არის, რომ მათი შრიფტი არ განვითარებულა ისე, რომ სხვა სახე მიეღო, როგორც ეს მოხდა ქართულში, არამედ ისიც, რომ ისინი გაფანტულნი არიან და მრავლად მოიპოვებიან სხვასხვა ქვეყანაში და საშუალება აქვთ, თვალ-ყური ადეგნონ სხვა ერების წერისა და ბეჭდვის საქმეს და მათი გამოცდილება გამოიყენონ.

ქართველმა ერმა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ვერ ისარგებლა ვერც თავისი ისტორიით და ვერც სხვა ერების გამოცდილებით, რომ ნამდვილი მთავრული ასოები გამოეყენებინა, რომლებიც მას ჰქონდა და აქვს, გვერდი აუქცია ისტორიული განვითარების გზას

⁷ ასურების ჩამომავლება დღვეულებით აისორება.

და დაიწყო ახალი სახის მთავრული ასოების ძიება. როგორც ვთქვით, ამას შედეგად მოჰყვა ლამაზი მხედრული ასოების პროპორციების დარღვევა და მათი დამახინჯება ახალი სახის მთავრულში. ეს ახალი ვითომცდა მთავრული ასოები მარტო ბეჭდვის დროს იხმარება, ხელით რომ ვწერთ, არავინ მათ არ ხმარობს. მაშასა-დამე, ისინი მარტო ნაბეჭდ ტექსტში შეიძლება შეგვხვდეს, ისიც მხოლოდ სათაურებში. ეს კიდევ არაფერი. როდესაც გვჭირდება შემოკლებანი, მათ ვერ ვიყენებთ და ვარჩევთ სიტყვის სრულად დაწერას („გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“ და არა გეო და სხვ.), რასაც ყურადღებას აქცევდა პროფ. პ. გუგუშვილი; მათ ვერ ვიყენებთ საკუთარ (პირთა და გეოგრაფიულ) სახელებში, წინადაღების დაწყებისას და სხვა შემთხვევებში, მიუხედავად იმისა, რომ სასვენი ნიშნების საკითხში იმავე წესს მივსდევთ, რასაც რუსულში. მაშ, რაღა მთავრულია ასეთი მთავრული?

გამიგონია: ვიღაცას ღვიძლი დედა დაპვიწყებოდა და დედინაცვალს ფიცულობდაო. ასეა ჩვენი საქმეც: ნამდვილი და ლამაზი მთავრული ასოები გვაქვს, შემუშავებული და ხმარებული საუკუნეთა მანძილზე, მაგრამ ისინი დავივიწყეთ და მათ ნაცვლად უშნო და ტლანქ ასოებს ვიყენებთ, ისიც მხოლოდ გარკვეული შემთხვევებისათვის. ნამდვილ მთავრულ ასოებს კი ვერ ვიყენებთ, რადგანაც გამოყენებას ცოდნა უნდა, ცოდნა კი არა გვაქვს.

უცნაური და სავალალო მდგომარეობა შეგვექმნა ქართულ საშუალო სკოლაში, რუსულის გარდა, ერთ-ერთ უცხო ენას სწავლობენ: ფრანგულს, გერმანულს ან ინგლისურს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი მოწაფეები სწავლობენ 26 ლათინურ ასოს, რომელთაც რამდენიმე განსხვავებული მთავრული მოეპოვება, არანაკლებ ცამეტისა (მაშასადამე, ნახევარი): Aa, Bb, Dd, Ee, Ff, Gg, Ll, Mm, Nn, Qq, Rr, Tt. ეს არის ნაბეჭდურ ანბანში. ხელნაწერში კი განსხვავებული ასოები გაცილებით მეტია. მაგრამ დავანებოთ თავი ხელნაწერებს და მარტო ბეჭდური ვიანგარიშოთ. 26 და 13 არის 39. მაშასადამე, რომელიმე ევროპული ენის ტექსტის დასაძლევად ქართველ ბავშვს პირველ რიგში 39 ნიშნის დასწავლა სჭირდება. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, დაუმატეთ ამას, რომ ზოგი ბერის გადმოსაცემად ჯგუფების მნიშვნელობა უნდა ისწავლოს (მაგ., გერმანულში ch ხ, sch შ, sp შპ, st შტ, ფრანგულში ch შ, ou უ, au ო და სხვ., ინგლისურში sh შ, ch ჩ, oo უ და სხვ., ან იძულებულია, ასოს სხვადასხვა ბერითი მნიშვნელობა გამოარკვიოს მდებარეობის მიხედვით. მაგალითისთვის მივმართავთ

ფრანგულს, სადაც ე ასო ზოგჯერ გ არის, ზოგჯერ უ, იმი მიხედვით, თუ რა მოსდევს: *ga* გა, მაგრამ ეს უი; ასევეა ც ასოც, ხან კ-დ გამოითქმის, ხან ს-დ: *ca* კა, მაგრამ ცი სი და სხვ.). ახლა ეს ასო ვნახოთ: უ. მისი გამოთქმა ჩვეულებრივ დავიწროვებული უ არის, ი-საკენ გადახრილი: *une*. მაგრამ სხვაა მისი გამოთქმა *un-ში*, ხოლო *euh-*სა და *au-ში* მას საკუთარი ბგერა არცა აქვს და წინამავალ ასოსთან ერთად სულ სხვა ბგერებს გადმოგვცემს. ქხლა ესეც გაესინჯოთ: *i* ჩვეულებრივ იგი ი არის, მაგრამ სულ სხვა ბგერას გადმოგვცემს იგი *in-*ში და არაფერი საერთო აქვს ი-სთან ი ჯგუფში. დაუმატეთ ამას სხვა სახის სიძნელეებიც, რომლებიც ფრანგულ ორთოგრაფიას ახლავს. მაგ., ზოგი ნიშანი იწერება, მაგრამ არ გამოითქმის, ვთქვათ, *il parl(e)* „ლაპარაკობს“, *il(s) parl(ent)* „ლაპარაკობენ“, და თქვენ დარწმუნდებით, თუ რა მძიმე ტვირთი აწვეს ბავშვს თავზე.

ინგლისურში კიდევ მეტია წერა-კითხვის სიძნელეები, რადგანაც წერა და გამოთქმა ძალიან დაშორებულია ერთმანეთისაგან. მაგრამ, სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, ინგლისურზე აღარას ვიტყვი.

თითქო ადგილია გერმანული წერა-კითხვა, მაგრამ ნამდვილად იქაც დიდი სიძნელეების დაძლევა სჭირდება ქართველ ბავშვს, რადგანაც ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლის გადმოცემა ერთობ როულ პრინციპზეა დამფარებული.

A	ა	ა	ა	H	ი	ი	M	მ	მ
I	ი	ი	ი	X	ხ	ხ	Y	ყ	ს
C	З	З	З	R	რ	რ	G	გ	გ
B	ბ	ბ	ბ	U	უ	უ	L	ლ	ლ
K	კ	კ	ტ	T	თ	თ	T	თ	დ
D	Б	ბ	ბ	P	پ	پ	O	օ	օ
E	ე	ე	ე	Ц	ც	ც	З	ჰ	ჰ
К	კ	კ	კ	Ч	ჭ	ჭ	Ч	ჭ	ჭ
Ч	П্	پ	پ	T	თ	თ	V	ვ	ვ
X	ხ	ხ	ხ	Q	զ	զ	F	ֆ	ֆ
J	ჟ	ჟ	ჟ	ე	ე	ე	Ц	ც	ც
შ	შ	შ	შ	Ц	ც	ც	Х	ხ	ხ
Г	გ	გ	გ	К	կ	կ	Ж	ჸ	ჸ
К	ხ	ხ	ხ	Q	զ	զ	Ф	ֆ	ֆ
Ш	ჟ	ჟ	ჟ	Ц	ც	ც	Ш	შ	შ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცვ	ცვ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Кვ	ხვ	ხვ	ხვ	Кვ	կվ	կվ	Жვ	ჸվ	ჸվ
Шვ	ჟვ	ჟვ	ჟვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ	ხვ
Гვ	გვ	გვ	გვ	Цვ	ცվ	ცվ	Хვ	ხვ</	

თავში და სიტყვის შუაში ან ბოლოში. ამას გარდა, ძალიან რომელია რბილი თანხმოვნების გაღმოცემის სისტემა და უმახვილო ხმოვნების გამოხატვის საშუალება; მაგ., იწერება „მოლოკო“ და გამოითქმის „მალაკო“ და სხვ.

კიდევ მეტი სიძნელებია აფხაზურში. ჯერ ქართული ანბანით სწავლება ჭირდა აფხაზურისა და, რუსულ ანბანზე რომ გადაკიდნენ, სიძნელეებმა ერთი-ორად იმატა. აფხაზურ სალიტერატურო ენას საფუძვლად უძევს სამხრული კილო, აბჟუური, სადაც ბერათა რიცხვი ნაკლებია, ვიდრე ჩრდილოურ კილოში, ბზიფურში. თუმცა აბჟუურშიც სამოცზე მეტია ბერა, მაგრამ სალიტერატურო მიზნებისათვის 56-ზე შეჩერებულან; ამ 56 ბერათაგან ზოგი თითო ასოთია გაღმოცემული, ზოგი — წყვილ-წყვილით. აი, მაგ., როგორ გამოიყურება აფხაზური ანბანი ა. ჭაჭუას სახელმძღვანელოს მიხედვით (სურ. 15ა). აქ თვითუეულ უჯრედში ჩასმულია თითო ბერის გადმომცემი ერთი ან ორი ნიშანი. რუსული ანბანიდან ყველაა გამოყენებული გარდა ექვსისა (ე ჟ ჟ ი ა ე). მთავრულ ასოებთან ერთად ცხრილში მათი მცირე ასოებია მოთავსებული, პირველი (ა) სამჯერ, სხვები კი ორჯერ ან ერთჯერ. გამოითქმის მიხედვით ახლოს მდგომი ბერები დაიკრიტიკული (განმასხვავებელი) ნიშნებით არის გამორჩეული: კუდებით, წინწკლებით, ხაზებით. განმასხვავებელ ნიშნებად გამოყენებულია აგრეთვე სილბოს ნიშანი (წ, მაგ., გ, კ, ჯ, შ) ან გადმობრუნებული ე (Te, De, და სხვ.). მარტივი და დიაკრიტიკულ ნიშნებიანი ასოები 40-ია, წყვილ-წყვილი ნიშნით გადმოცემულ ბერათა რიცხვი კი — 16, სულ 56. თუ ამას დავუმატებთ სამ განსხვავებულ მთავრულ ასოს (Aa, Bb, Ee), მივიღებთ სულ 59 ნიშანს, ცალეულს, თუ წყვილეულს. ქხლა კიდევ თუ დავსძხნო, რომ რამდენიმე ასო განსხვავებულია ხელნაწერში, ადვილია წარმოვიდგინოთ აფხაზი ბავშვის გაჭირება წერა-კითხვის შესწავლის ღროს.

აფხაზურ ანბანს კიდევ რა უშეგს! აფხაზებმა რამდენიმე ასო წარსული საუკუნის ბოლო ხანებში შემუშავებული ანბანიდან ამოიღეს. ამას გარდა, დაიკრიტიკულ (განმასხვავებელ) ნიშნებს მიჰმართუს, ამის წყალობით მათ მინიმუმდე დაიყვანეს წყვილ-წყვილი ნიშნების ხმარება.

აბაზების ენა უახლოესია აფხაზურთან. ქ. ლომთათიძე მას აფხაზურის დაილექტურ თვლის, მაგრამ არაო, ცალკე ენააო, გაიძახიან ზოგი და თავისი მწერლობა შეუქმნეს ოცათასიან ხალხს. ბერათა შედგენილობით აბაზური ბევრად არ განსხვავდება აფხაზურისაგან.

მისი მწერლობა, აფხაზურივით რუსულ გრაფიკაზეა დამყარებული, მაგრამ განმასხვავებელ ნიშნებს იქ ადგილი არა აქვს და, რადგანაც რუსული ასოები არ ჰყოფნის, იქ ზოგიერთი ბერა სხვადასხვა ასოს კომბინაციით არის გადმოცემული. ამიტომ არც გასაკვირია, რომ ერთი ბერის გადმოსაცემად ორი, სამი და ზოგჯერ ოთხი ასო იყო გამოყენებული.⁸

ჩერქეზულში, რომელიც იმავე ენათა ჯგუფს ეკუთვნის, რასაც აფხაზური, აგრეთვე რუსული ანბანია გამოყენებული, უწინწკლოდ და ურამეოდ, და აქაც ერთი ბერა ზოგჯერ სამი ან ოთხი ნიშნით არის გადმოცემული, მაგ. ხ, კხ, კხъ.⁹

ვიტყოდი ორიოდე სიტყვას ქისტურისა (ჩაჩნურისა) და დაღისტნის რომელიმე ქნის ახალ შექმნილ ანბანზედაც, მაგრამ, რომ არ მოვაწყინო მკითხველი, მოკლედ მოვჭრი. ვიტყვი მხოლოდ ერთს: აფხუსი კია, რომ უმწერლობო კავკასიური ენების ანბანის შედგენის დროს დავიწყებულ იქნა პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობდა 100 წლის წინათ ამ ენების მკვლევარი პ. უსლარი. 1500 წლის წინათ მოხერხდა მშვენიერი ქართული და საუცხოო სომხური ანბანის შედგენა და ჩვენ დროს კი გაჭირდა სრულ-ყოფილი ანბანის შედგენა კავკასიის უმწერლობი ერთათვის! მაგრამ, მოგეხსენებათ, ძალა აღმართს ხნავსო და მოსწავლე ახალგაზრდობა ეძალება სწავლას და ამგვარი როტული და შეუფერებელი ანბანითაც ახერხებენ, ავად თუ კარგად წერასა და კითხვას.


დაილოცოს ქართული წერა და კითხვა! ყოველ ასოს მხოლოდ ერთი ბერა შეესატყვისება და ყოველი ბერისთვის ცალკეული ასო მოიპოვება. ამ მხრივ იგი სომხურზედაც მაღლა დგას, რადგანაც სომხურს დღვეანდლამდე შემოპრჩა ორი ნიშანი უ-ს გადმოსაცემად. ამას გარდა, სომხურში იწერება რბ, რგ და რდ, გამოითქმის კი რფ, რქ და რთ (შესაბამისად). არის სხვა სახის სიმნელეებიც, მაგრამ უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ამისა, სომხური წერა საერთოდ ძალიან კარგია, ყველა კვროპულს სჯობს და, მათ შორის, ახალ ბერძნულსაც, სადაც წერა და გამოთქმა ძალიან დასცილდა ერთმანეთს.

მაგრამ ერთი ვიკითხოთ; რამდენი ნიშნის შესწავლაა საჭირო დღევანდელი სომხური წერა-კითხვისათვის? — არა ნაკლებ 48-ისა. ამათგან მცირე ასოები 38-ია, ამათ ემატება მთავრული ასოები,

⁸ Русско-абазинский словарь, М., 1956.

⁹ Б. М. Карданов, Краткий грамматический очерк кабардино-черкесского языка (Приложение к Русско-кабардинско-черкесскому словарю Б. М. Карданова и А. Т. Бичоева, М., (1955), стр. 997.

რომლებიც განსხვავებულია თავის მოხაზულობით, როგორც ამას შემდეგი გიჩვენებს:



თავი რომ დავანებოთ ხელნაწერი ასოების განსხვავებას, სომქმა ბავშვმა უნდა ისწავლოს 48 ბეჭდური ნიშანი.

ზემოხსენებული ენების წერასთან შედარებით ქართული წერა, მთავრულიანად, იმდენად ადვილია, რომ შედარებაც კი არ შეიძლება. თუ აფხაზმა ბავშვმა 60-ზე მეტი ნიშანი უნდა ისწავლოს, რომ ასე თუ ისე თავი გაართვას წერასა და კითხვას, ქართველ ბავშვს ვითომ გაუჭირდება რამდენიმე დამატებითი მთავრული ასოს შესწავლა? აბა რა ბრძანებაა! აბა სად ქართული ორთოგრაფია და სად აფხაზური ან ჩერქეზული, ან ბერძნული, ან თუნდაც რუსული, ფრანგული და ინგლისური! ჩვენ არც წყვილ-წყვილი ან სამი თუ ოთხი ნიშანი გვაქვს ერთი ბერის გაღმოსაცემად, არც ასოს მღებარებას ვაქცევთ ყურადღებას, არც რაიმე დიაკრიტიკული ნიშანი გვჭირდება (როგორც არაბულშია ან აფხაზურში), არ სხვა რამე ხერხია გამოყენებული სწორად დაწერისა და სწორად წაკითხვისათვის.

ეს შედარება ქართული წერა-კითხვის სისტემისა სხვა ენების სისტემასთან იმათთვის მოვიყვანე, რომელთაც შეიძლება საქმის გართულებად მოეწვენოს მთავრულების შემოღება ქართულში. ჩვენ ვერ ჩამოვრჩებით ჩვენს მეზობელ სომხებს, აზერბაიჯანელებს და ოსებს, რომლებიც მთავრულებს ხმარობენ. ჩვენ ფეხი კი არ უნდა აფეხათ არაბებსა და სპარსელებს, არამედ უნდა მიჰვყვეთ უცროპის ერების მაგალითს და მივსცეთ ქართულ ნაწერსა და ნაბეჭდს შნო და სილამაზე.

დღეს ჩევ ვერ დაგვაკმაყოფილებს, რა თქმა უნდა, ვერც საეკლესიო წიგნებში ხმარებული მთავრული ასოები, თუნდაც ვახტანგისეული შრიფტი, რომელიც ბროსემ გამოსცა „ქართული ენის თვითმასწავლებელში“ (პარიზი, 1834), ვერც სინოდის სტამბის (მოსკოვში), ვერც ე. ხელაძის სტამბისა (თბილისში). მთავრული ასოები უნდა გაკეთდეს ახლად, საუკეთესო ხელნაწერი და ქვაზე ამოკვეთილი ნიმუშების მიხედვით და არა ერთი და ორი, არამედ სხვადასხვა გარნიტურისა და შეხამებული დღვევანდელ ყველა სახის მხედრულთან.

ფრანგული ორთოგრაფიის მაგალითზე ზემოთ დავრწმუნდით, თუ

რა მძიმე ტვირთი აწეს ქართველ ბავშვს უცხო ენების შესწავლისას. ამ ტვირთს ჩვენ უურიგდებით, მაგრამ იმას უფრო უურიგდებით, სხვისას ვსწავლობთ და ჩვენსას კი არა. არ ვსწავლობთ იმიტომ, რომ მეცხრამეტე საუკუნეში მოვტყდით, მოვდუნდით, დავკარგეთ სწორი გზა და ავირჩიეთ მრუდი, ნამდვილი მივაგდეთ და ყალბი შემოვიდეთ. ნამდვილი მთავრული ასოების შემოღება კი გაგვმართავდა წელში, მისი გარეუა ტექსტში ქართულ წიგნს, უურნალსა და გაზეთს მისცემდა შნოს, დაამშვენებდა ქართულ ბეჭდვით ნაწარმოებს და ქართულ წიგნს გარეანული გაფორმების მხრივ, სხვა თანაბარ პირობებში (ქალალდი, წამალი, ყდა, სურათები), აიყვანდა რუსული და ლათინური შრიფტით დაბეჭდილი წიგნის სიმაღლეზე. კაცს ოქრო-ვერცხლი ჰქონდეს, ვერ ხმარობდეს, მშიერ-მწყურვალი იყოს და კონკებში დაიოდეს, აი რასა ჰგავს ჩვენი მდგომარეობა შრიფტის საქმეში.

არც ერთ ერს არ მოეპოვება ისეთი ფართო გასაქანი ნაირ-ნაირი და ერთიმეორებზე ულამაზესი შრიფტების შესაქმნელად, როგორც ქართველ ერს. მაგრამ რა! ვერ მოგვიცლია ამისთვის, ვერ მივმხვდარვართ, ვერ ჩავტკვირვებივართ ჩვენს უმწეო მდგომარეობას და ნამდვილი საშუალება ვერ მოგვინახავს. საჭიროა გამოვითშენიტოთ თვალები და მძიმე მდგომარეობა გამოვასწოროთ.

რა არის საჭირო პრაქტიკულად? საჭიროა, დაწყებით სკოლებში შემოღებულ იქნეს ნამდვილი მთავრული ასოების სწავლება, როგორც ეს არის რუსეთისა და ევროპის სკოლებში. ფრანგულ სკოლაში ფრანგი ბავშვი სტრიქონის ასოსთან ერთად მის მთავრულსაც სწავლობს: Aa, Bb, Dd, Ee და სხვ. აგრეა რუსულშიც, სომხურშიც და აგრე უნდა იყოს ქართულშიც. უნდა შემოღებულ იქნეს, რა თქმაუნდა, ნამდვილი მთავრული, რომელიც წარწერებში იხმარებოდა. ევროპულ ენათა მთავრულ ასოებს მხატვრები ძველი ლათინური წარწერების ასოების მიხედვით აკეთებენ. ამგვარადვეა ბერძნულ-შიც, სომხურშიც. ქართველმა ბავშვმა რა დააშავა, რომ მას სათანადო გონებრივ სახრდოს არ ვაძლევთ? გაძნელდება საქმე? გართულდება? ადვილი ფაფის ჭამაც არ არისო, მოგახსენებენ. ცოტა თუ არ შევწენებით, არაფერი იქნება. თავის დინებაზე საქმის მიგდება არ ვარგა, არც მიყრუება ივარგებს. ჩარევა უნდა საქმეში, გამრუდებულს გამოსწორება უნდა. სახელმძღვანელო არ არის, ეს მართალია, მაგრამ სახელმძღვანელო უნდა დაიწეროს, ან არსებული გადაკეთდეს და გამოიცეს. მასწავლებლები სათანადო უნდა მომზადდნენ. გამოცდილებით ვიცი (უნივერსიტეტის პრაქტიკიდან), რომ საშუალო

ნიჭის მქონეთათვის 30-ოდე მთავრული ნიშნის დასწავლას ერთი კვირის ვარჯიში ჰყოფნის.

ხალხთა დაძაბულ კულტურულ ჭიდილში, რომლის მოწამენი და მონაწილენი დღეს ვართ, მხოლოდ ის ერთ გადარჩება, რომელიც ყოველ მხრივ არის აღჭურვილი კულტურულად. კულტურის ერთი იარაღთაგანია (შეიძლება ითქვას, უმძლავრესიც) წერა და ბეჭდვა, რომელიც ყოველ მხრივ უნაკლო უნდა იყოს. ქართული წერა იდეალურია, მაგრამ მისი ნაკლი ის არის, რომ მთავრულებს არ ვხმარობთ. თუ გვსურს ნამდვილად გავაუმჯობესოთ ქართული წერა, უნდა გავიზიაროთ გ. წერეთლის „დროების“ საბუთიანობა და მთავრულს მივსცეთ ორთოგრაფიული დანიშნულება, ე. ი. იგი უნდა იხმარებოდეს არა მარტო სატიტულოდ და ცალკეული წერილების სათაურებში, არამედ ტექსტშიც.

მართალი იყო ის პროფესორი, რომელმაც კონსტანტინე გამსახურდიას შეპირიშვანა, რომ ქართული შრიფტი კარგია, მაგრამ თვალს ღლის, რადგანაც მთავრული ასოები არ გქონიათო. მართლაც, ერთუეროვანი ასოების კითხვა მთელი გვერდების მანძილზე თვალის დამდლელიც არის და დიდად მოსაწყენიც. ქართველ კაცს ამჟამად საშუალება არა აქვს წიგნის ან გაზეთის კითხვის დროს ერთბაშად აღიქვას საკუთარი სახელი, ქალაქისა და მდინარის სახელი, მთისა, ტბისა, სოფლისა და სხვათა საკუთარი სახელი. ამ მხრივ სწორად დააყენა საკითხი „დროების“ რედაქციამ და სცადა კიდეც პრაქტიკულად განეხორციელებინა მთავრულების ხმარება. მართალი იყვნენ ცნობილი პედაგოგები ი. გოგებაშვილი და ს. ხუნდაძე, რომელთაც გაიზიარეს „დროების“ დაწყებული საქმე. ოღონდ გ. წერეთლს და მის მიმდევრებს ის უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ტრადიცია დაარღვიეს და ისეთი სახის მთავრულები შექმნეს, რომლებიც ვერ გამოდგა პრაქტიკული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

თუ რუსულ ანბანში, ლათინურში, ბერძნულსა და სომხურში ზოგიერთი მთავრული ასოა განსხვავებული სასტრიქონოსაგან (რუსულში 3, სომხურში 10, ლათინურში 13, ე. ი. ნახევარი, ბერძნულში ორი მესამედი, 24-იდან 16), ქართულში თითქმის ყველა მთავრული ასო (მრგლოვანი) იქნება განსხვავებული, გარდა ერთადერთი სანისა, რომელიც დღესაც ისე იწერება, როგორც მე-5 საუკუნეში. დღევანდელ სალიტერატურო ქართულში საერთოდ იხმარება 33 ასო, ამდენივე გვინდა მთავრულიც. ამათგან ერთი (ხ) უკვე ვიცით, რადგანაც მისი მთავრულის მოხაზულობა იგივე დარჩება რაც დღეს

არის. დამატებით შესასწავლი გვჭეს, მაშასადამე, 32 მთავრული ასო, რომელთაგანაც ოთხი (თ, მ, ნ, ქ) ახლოს დგას თავისი მოხაზულობით დღევანდელ ასოებთან და ადვილი დასახსომებელია. გვრჩება, მაშასადამე, 28 ასო, რომლებიც სრულიად განსხვავებულია დღევანდელისაგან; მაგრამ ეს განსხვავება კიდევ მეტ ღირსებას პმატებს ჩვენს მთავრულებს, რადგანაც ისინი მკვეთრად გამოირჩევიან მცირე (სასტრიქონო) ასოებისაგან.

მთავრულების შემოღებას მოითხოვენ მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: კ. გამსახურდია, გ. ლეონიძე, პ. გუგუშვილი, რომელთაც თავისი აზრი ამის შესახებ წერილობით გამოთქვეს გაზეთის ფურცლებზე. მაგრამ უეჭველია, ბევრია ასეთი პირები, რომელთაც იგივე უნდათ, მაგრამ საშუალება არა ჰქონდათ, წერილობით გამოითქვათ თავისი აზრი. უკვე დადგა დრო, რომ შემოღებულ იქნეს საყოველთაო ხმარებისათვის მთავრულები და გატარებულ იქნეს უურნალგაზეთებსა და წიგნებში. რაც საყოველთაოდ არ იხმარება, ის დავიწყებას მიეცემა ხოლმე.

ჩვენს საქმეს სხვა ვერ გააკეთებს და არც გააკეთებს. ჩვენს ტკივილებს ჩვენვე უნდა ვუწამლოთ. თუ მოვინდომებთ და მტკიცედ გადავწყვეტოთ, ეს საქმე სულ მალე ბრწყინვალედ დაგვირგვინდება. საჭიროა მოდუნებიდან გამოვიდეთ, მოვიკრიფოთ ნებისყოფა, ჩვენი თავი და ჩვენი ღირსება დავიცვათ და გავაკეთოთ ის, რაც საჭიროა. თუ ასე მოვიქცევით, ერთი წლის შემდეგ ქართული წიგნი, გაზეთი თუ უურნალი სულ სხვა იქნება, ვიდრე აქამდე იყო. ეს მცირეოდენი ცვლილება რომ გატარდება ცხოვრებაში, ბევრი სიხარულის გრძნობით, მაგრამ ოდნავ ნაღველ-გარეული ტონით წამოიძახებს: „ნეტავი სად ვიყავით აქამდისო!“ — სადა და აქვე, საქართველოში, მაგრამ სხვები ფხიზლობდნენ, ჩვენ კი ტკბილად გვეძინა.

სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავის საიუბილეო დღეს მეც ვიყვავ სულხანის სოფელ ტანძიაში (ბოლნისის რაიონში). დიდალი ხალხი შეიკრიბა მიტინგზე ორბელიანთა ეზოში, სადაც მათი სასახლე აღარ არის, მაგრამ კოხტა ტაძარი ისევ დგას. იყო დიდალი ინტელიგენცია, ბევრი მათგანი თბილისიდან მისულები. ძალიან აღფრთოვანებული ვიყავ, რომ ღირსეულად დაფასდა დიდი ადამიანის ღვაწლი სამშობლოს წინაშე. მაგრამ ჩემს დიდ სიხარულს დიდი ტკივილიც დაჰყვა: ფრიად განათლებული პირები მე მეკითხებოდნენ, რა აწერია ტაძარსაო? წარწერა, საზოგადო წესისამებრ, მრგლოვანი ასოებით არის შესრულებული მე-17 საუკუნე-

ში, სულხან-საბას სიცოცხლეში. ქართველი ინტელიგენტები იღნენ სულხან-საბას ეზოში, შესცემროდნენ ქართულ ძეგლს, უყურებდნენ მის ქართულ წარწერას და ვერ კითხულობდნენ. ზოგმა მათგანმა ინგლისურიც იცოდა. ერთს ვეხუმრე: ასე წერია-მეოქი: „თვალი დაუდგეს იმ ქართველს, ვინაც ვერ წამიკითხოს“ (სურ. 16).



სურ. 16. ორბელიანთ ტაძრის წარწერა ს. ტანძიაში (XVII)
იკითხება: +. წო ნეზ (წმიდაო ნიკოლოზ), მეოს ექმენ
პტირნს (პატრონს) ორბელს.

დროა გამოვთხიზლდეთ და ვიზრუნოთ, ნამდვილად ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ჩვენი სიმღიდრე გამოვიყენოთ. მერმე იცით, მკითხველო, რამდენ რამეში გამოვგადგებოდა ჩვენი ლამაზი მრგლოვანი და რამდენად ვიქნებოდით წელ-გამართული? როგორ უნდა მოდუნდეს და დაძაბუნდეს ერთ, რომ მისი შვილები ლათინურ ასოებს გულმოდგინებ სწავლობდნენ და თავის ასოებს კი ვერა სცნობდნენ! და მერმე როგორ საჭიროა ჩვენთვის მრგლოვანი ასოები, ეს ჩვენი ნამდვილი მთავრული ასოები! ავიღოთ ერთი მაგალითი: ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიურმა განყოფილებამ შეადგინა და გამოსცა ვეფხისტების 48 ხელნაწერის ვარიანტების ნუსხა. ეს ხელნაწერები ლათინური ასოებით აღინიშნა: A, B, C, D, E, F და სხვ., მაგრამ რადგანაც ლათინური ასოები არ ეყო, იძულებული გახდნენ, დანარჩენი ხელნაწერები პრიმებით აღენიშნათ: A¹, B¹, C¹, D¹, E¹, F¹ და სხვ. ქართული მთავრული რომ გვქონოდა, ჯერ ამას ვიზმარდით და, როცა შემოვგაკლდებოდა, ლათინურს მოვიშველი-

ებდით. აღარ იქნებოდა საჭირო პრიმები, რაც დიდ უხერხულობას ქმნის. მაგრამ ეგ სხვათა შორის. მთავარი მაინც ის იქნებოდა, რომ ასოები, მათ შორის მთავრულები, სამკაულია წიგნისა. კარგი სამკაული სულ სხვა შნოს მისცემს ქართულ ხელნაწერსა და ბეჭდურ ნაწარმოებს. ლამაზი და მოხდენილი მთავრულები სიხალისეს შეიტანს კითხვაში, გაგვიადვით წანა კითხის გაგებას, საშუალებას მოგცემს ადვილად ვიხმაროთ სხვადასხვა სახის შემოკლებანი და სხვა. მოდი, პრინციპულ დებულებაში მივჰყევთ სამოციანი წლების „ახალგაზრდებს“, ხოლო გაფორმების მხრით იმავე ხანის „მოხუცებს“, რომლებიც, როგორც ჩანს, მტკიცედ იცავდნენ ტრადიციას, ვისარგებლოთ მე-18 საუკუნის და მე-19 ს-ის პირველი ნახევრის გამოცდილებით, შევქმნათ საუკეთესო წარწერებისა და ხელნაწერების მიხედვით ერთმანეთთან შეხამებული მხედრული და მისი მთავრულები და დავაყენოთ ქართული ორთოგრაფიის საქმე სწორ გზაზე.

ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ მე ძველი ქართული ენის აღდგენას მოვითხოვ. არა! მხოლოდ ყეყერი უნდა იყოს კაცი, რომ ნათქვამი სწორად ვერ გაიგოს, ან იყოს შურიანი, ღვარძლიანი და ქართული კულტურის მტერი, რომ გაგებით კი გაიგოს, მაგრამ სხვისი ნათქვამი გადაამრუდოს და ისეთი რამ მომწეროს, რასაც არ ვფიქრობ და არც ვამბობ და რაც არავითარ შემთხვევაში არ გამომდინარეობს ჩემი წინადადებიდან. უნა, რა თქმა უნდა, იგივე დარჩება, რაც ამჟამად გვაქვს, ძირითად დღევანდელ შრიიფტადაც მხედრული დარჩება, რაც ამჟამად გვაქვს, ოღონდ მთავრულების გარევით ქართული ნაწერი თუ ნაბეჭდი წიგნი დიდად შეიმკობა და შენოიანი გახდება. მთავრული ასოები ნაწერ-ნაბეჭდის საუკეთესო სამკაულია. ამას გარდა, იგი გარკვეულ ორთოგრაფიულ სამსახურსაც ქრევა.

1550 წელზე მეტია, რაც ქართული წერა გვაქვს. დროა, ჩვენი შშვენიერი წერა შევუფარდოთ დღევანდელი დღის მოთხოვნილებას და ყოველმხრივ უზადო და უნაკლო გაზადოთ იგი.

ამა წლის მაისის ბოლო რიცხვებში სომხებმა 1600 წლის იუბილე გადაუხდეს მესროპ-მაშტოცს, რომელიც სომხური ანბანის გამომგონებლად ითვლება. ჩვენ არა ნაკლები ხნის მწერლობა გვაქვს, ვიძრე სომხებს, ამ მწერლობამ შემოვკინახა უძვირფასესი ძეგლები. იგი გვშეველოდა მტრებთან ბრძოლაში. ჩვენც ვსცემ იმდენი პატივი ჩვენს ძეგლებს, რომ მათი შექმნილი ქართული ასოები გონიერულად გამოვიყენოთ და გაზრდილი კულტურული მოთხოვნილება დავიკმაყოფილოთ.

რა არის საჭირო პრაქტიკულად? — პირველ ყოვლისა, მტკიცე გადაწყვეტილება, შემოღებულ იქნეს ბუნებრივი მთავრული ასოები ქართულში. შრიფტის კომიტეტმა უნდა გამოაცხადოს კონკურსი სასტამბო ასოების მთელი კომპლექტის დასახატავად, მხატვრებმა ასოები (მხედრული და მისი მთავრული) დახატონ საუკეთესო ხელნაწერებისა და წარწერების მიხედვით და ისე, რომ მთავრული ასოები კარგად შეწყობილი იყოს სასტრიქონო ასოებთან. შემდეგ ამ ნახატების მიხედვით უნდა გაკეთდეს პუნსონები და მატრიცები, ჩამოისხას ასოები და მომარავდეს სტამბები*. აუცილებელია, გონივრულად გამოვიყენოთ ჩვენი ზღაპრული სიმდიდრე ლამაზი შრიფტების შესაქმნელად. ეს ერთბაშად წაგვწევს წინ: აღდგება გაწყვეტილი ხაზი ჩვენი კულტურული განვითარების გზაზე და, რაც მთავარია, გავუსწორდებით სომხებს და სხვებს, რომლებიც მთავრულებს ხმარობენ. ამის შედეგად გაიზრდება ჩვენი თვითცნობიერება, ქართული წიგნი, უურნალი და გაზეთი გაუმჯობესდება და დაშვენდება.


მშვენივრად თქვა გენიოსმა შოთამ:

არას გარგებს სწავლულება,
თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა:
არ იხმარებ, რა ხელსა ჰედი
საუჯაესა დაფარულსა?

მართლაც, რად გვარგებს დაფარული საუნჯე? — არაფერს. ჩვენი უნდა გამოვაჩინოთ, მზის სინათლეზე გამოვიტანოთ, მოვიხმაროთ და სათანადოდ გამოვიყენოთ.

აი, ეს არის დღევანდელი დღის მკაცრი მოთხოვნილება, რომელსაც სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს და, რაც შეიძლება, მალე.

* ამჟამად, რა თქმა უნდა, საქმე საგრძნობლად გამარტივებულია, რადგან ლინტიპის ასოთამწყობი მანქანისთვის საჭირო მთელი ეს ტექნიკური აღჭურვილობა კომპიუტერმა ჩაანაცვლა (ს. ს. რედ.)



ჩვენი უურნალის სარედაქციო ხაბჭოს ღირსეული წევრის, ბ-ნ ბორის დარჩიასთვის საიუბილურ თარიღის მილოცვის ნაცელად (მას ობერვალში 80 წელი შეუსრულდებოდა), სამწეხაროდ, მასთან გამოსამშვიდობებული წერილის გამოქვეყნება გვიწვეს.

ბ-ნ მურმან თავდაიშვილის სტატია ჯერ კიდვე ღვაწლმოხსილი მეცნიერის სიცოცხლეში დაიწერა, მაგრამ, ვფიქრობთ, იგი კარგად წარმოაჩენს აწ გარდაცვლილი, მაგრამ მუდამ სიცოცხლით სკაებორის დარჩიას პიროვნებას, რომელმაც სამცუნიერო ასპარეზი უშიშრად და პატიოსნად განვიღო.

ღმერთმა გაანათლოს მისი ხელი.

ბორის დარჩია

ბორის დარჩიასთან არაფერი მაკავშირებდა, გარდა შორიდან კეთილი ნაცნობობისა. აღმოჩნდა, მას, თურმე, საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასები ჩემს სოფელში დაუსრულებდა. მაშინ ან ძლიერ პატარა ვიყავი, ანდა უფროსკლასელი როგორლაც არ დამამახსოვრდა. ამ ფაქტმა ერთგვარი მიზიდულობის როლი შეასრულა. ქალაქს გადმოტყორცნილი ორი ეული, მშობლიურ სანაპიროებს მოწყვეტილი პიროვნება ერთსა და იმავე სკოლასთან ზიარებამ თითქოსდა შეგვკრა, სულიერ მმებად გვაქცია. მერე და მერე კი ჩვენი ურთიერთობა განმტკიცდა. მგონია, ამას ხელი დიდად შეუწყო ერთსა და იმავე საკვლევ თემაზე მუშაობამ — ეს გახლავთ რუსთაველის პოემა.

ახლა აქედან შევყურებ და მკაფიოდ ვხედავ: ზოგი მეცნიერი,

დიდების შარავანდელით მოსილი რომ გვეჩენებოდა, თურმე, მცირე სამეცნიერო ნადავლის პატრონი ყოფილა. დიახ, ზოგიერთსა პგონია, თითქოსდა დიდი დროშა მიაქვს. სინამდვილეში კი აღმოჩნდება, რომ ეს პატარა ალამია და მეტი — არაფერი! მავანთა დიდების თვალმატყუარა ნისლეული რომ განიმქრა, ბორის დარჩიას მეცნიერული პროფილი უკეთ გამოიკვეთა, უკეთ გამოჩნდა მისი ღვაწლი ჩვენს მეცნიერებაში. თუმცა კი ცალკეული უამური შემთხვევები მას თავს მუდამ ქორებივით დასტრიალებდნენ (მარტობა, მშობლების დახოცვა, დაუოჯახებლობა, გროშის ფასად სამსახური და ბოლოს ერთგული სამსახურის სანაცვლოდ ინსტიტუტიდან დათხოვნა...), თავის საქმეს მაინც მუდამ ენერგიულად ემსახურებოდა და მე მწადია, ეგ ღვაწლი ობიექტური თვალით შევაფასო.

* * *

თუ მის შორეულ წინაპარ სისონა დარჩიას თვალი და ხელი ფიშტოსა და ფილთა თოფისაკენ გაურბოდა, ბორის დარჩია სიყმაწვილიდანვე კალამსა და წიგნს იყო ჩაბლაუჭებული და მათთვის ხელი ბოლომდე არ გაუშვია. ბრწყინვალედ დაამთავრა საშუალო სკოლა და გახდა წარმატებული სტუდენტი. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის რუსთველოლოგიურ განყოფილებაში მოღვაწეობდა. თითქოსდა ოცნება აღისრულა. ოცნება კი ყოველთვის უფრო დამაჯერებელია რეალობაზე, რადგან მისგან უფრო ნაკლებ პრაქტიკულობას მოვითხოვთ, ვიდრე — სინამდვილისაგან. ახალბედა მკვლევარსაც ბევრი არა უნდოდა რა: საარსებოდ აუცილებელი ხელფასი და საკუთარი საქმის კეთება.

იმთავითვე ირწმუნა, რომ მეცნიერული კეთილსინდისიერება მეცნიერულ ნიჭიერებაზე ნაკლებს არ უნდა ფასობდეს. ამას დღემუდამ ჩააგონებდა ისეთი სუფთა სინდისის მქონე დიდი მეცნიერის გვერდით მუქაობა, როგორიც იყო აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე. იგი კი, თავის დროზე ყველაზე წარმატებული ინსტიტუტის დირექტორი, უზაკველი პიროვნება გახლდათ. მართალია, ეშმაკობა უნიჭოდ არ არსებობს, ოღონდ ხალასი ნიჭი მუდამ უეშმაკოა. ამ დევიზით საქმიანობდნენ ოსტატი და შეგირდი მარად და მარად.

ბორის დარჩიას მთელი სამეცნიერო მოღვაწეობა შეიძლება ორ ნაკადად წარმოვადგინოთ: ერთია პოზიტიური კვლევები, მეორეა ნეგატიური, კრიტიკული მასალები. ამ შემთხვევაში ორივე თანა-

ბარლირებულია, ვინაიდან განმაქიქებელი პათოსის მქონე სტატიები და გამოკვლევებიც შეიცავს სრულ სამეცნიერო სიახლეებს, აქაც ბევრი სადაც და საკამათო პრობლემა წყდება.

მკვლევარმა გამოწვლილვით და საფუძვლიანად შეისწავლა ბრწყინვალე პოეტის ვახტანგ მექევის შემოქმედება და მას ორი ვრცელი წიგნი უძღვნა. ამ საფუძველზევე დაიცვა საღოქტოორო დისერტაცია. პარალელურად მუშაობდა რუსთველოლოგიაში. რუსთველს ჯერ კიდევ 1975 წელს უძღვნა საგანგებო მონოგრაფია.

სამივე წიგნი გამოირჩევა სანდოობით, მეცნიერული უტყუარობით, უარუთქმელი სიახლით, პრობლემების გადაწყვეტითა და ფართო პორიზონტით.

ქართულ მეცნიერებაში მაინც ყველაზე მეტი ფოციაკალი გამოიწვია მონოგრაფიამ იაკობ დუმბაძე—შემოქმედელზე (2009).

ეს იყო მეცნიერული გამბედაობისა და უუანგავი პატიოსნების პრინციპული ზემით, თანაც მოულოდნელი სამეცნიერო გარღვევა, როგორც ერთხელ უკვე შევნიშნე, „დიდი მოულოდნელობა“.

სერიოზულ ქართველ მეცნიერებს მიაჩნდათ, რომ იაკობ დუმბაძე—შემოქმედელმა შავთელის „აბდულმესიანი“ გადაწერა, შესაბამის ადგილებში ჩაწერა არჩილ მეფის სახელი და გვირგვინოსანს საკუთარ ნაშრომად მიასაღა.

მაშასადამე, ეკლესიის ცნობილ მოღვაწეს, წმინდა კაცს, პლაგიატობა დასწამეს. ბორის დარჩიამ გაარკვია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ბოლოში ნახსენები „აბდულმესიანი“ დაკარგულია, ხოლო ჩვენს ხელთ არსებული ტექსტი იაკობ დუმბაძისაა. ასე რომ, საეკლესიო მამისათვის ქურდობის დაბრალება არის დიდი მეცნიერული მკრეხელობა. ასე აღდგა სიმართლე, ასე ჭამა პური სამართლიანობამ. და აქ უნებლიერ გვაგონდება არჩილის თქმა: „რად მიერჩი მას რიტორსა, არ ახებებ მისსა მასა?!“

ამრიგად, შავთელის „აბდულმესიანი“ დაკარგული აღმოჩნდა; მე-12 საუკუნისა რომ გევგონა, ის ძეგლი მეჩვიდმეტე საუკუნისად გამოცხადდა, ასე გაკეთდა დიდი როქი ქართულ ლიტერატურაში.

ეს იმდენად გამაოგნებელი აღმოჩნა გამოდგა, რომ ბევრ შეცნიერს რეტი დასცა და დღემდეც ვერ გამორკვეულა, საქმე ის არის, რომ ამ მოულოდნელი აღმოჩნით მკვლევარი დაუპირისპირდა ცნობილ მეცნიერებს და ერთგვარად კიდევაც გააგულისა ზეპურნი მამანი სოფლისა ქართლისანი. დრომ ვერა, ოღონდ ამ გამოკვლევაში ერთბაშად და-ცა-აჭკნო, დააბერა პირვანდელი მოსაზრება. მართ-

ლაც, არაფერი ისე არ აძველებს ძველ თეორიას, როგორც ახალი, ამიტომ არსებულ თვალსაზრისის დროისა კი არ უნდა ეშინოდეს, არამედ ახალი ჭეშმარიტი თვალსაზრისის გამოჩენისა!

ზემორე ვთქვი, ჯერ პოზოტიური ნარკვევები განვიხილოთ-მე-თქი, ოღონებაც სინამდვილეში ყოველი ჭეშმარიტი გამოკვლევა კრიტიკულია, რამდენადაც ხმალში იწვევს ძველ თვალსაზრისთა ავტორებს.

როგორც ვხედავთ, ჩვენმა მკვლევარმა სიტყვაკაზმულ მწერლობაში კიდევ ერთი ლიტერატურული კერძონი აანთო. ამ ჩირალდანს იაკობ დუმბაძე-შემოქმედელი ეწოდება.

აღნიშნული წიგნი ერთგვარი გზა და ხიდია, რომელმაც მეტად მძლავრი საყრდენი ბურჯების ჩადგმა მოითხოვა. ასეთ სვეტებად მეჩვენება ამავე მწერლის სათანადო სამეცნიერო აპარატურის მქონე სრული პოეტური მემკვიდრეობის პუბლიკაცია (2014). ამ წიგნმა კი თავისთავად მოითხოვა, შექმნილიყო მონოგრაფია ბაგრატ ბატონიშვილზე (2011). ესეც სენსაციური წიგნის მეორე ბურჯი!

სამივე ნოვატორული გამოკვლევის უდიდესი ნაწილი ჩვენს პერიოდულ გამოცემებშია დაბჭეჭდილი.

მკვლევარის ხელხვავიანობისა და შემოქმედებითი ნაყოფი-ერების მაცნეა რუსთველოლოგიური ნარკვევები (I და II ტომები – 2010, 2015), სადაც თანამედროვე სამეცნიერო დონეზეა მომარჯვებული ფაქტები და მოვლენები, საილუსტრაციო მასალა, ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მყარი და ზედმიწევნითი ცოდნა. აქვე შევნიშნავ: პოემის ტექსტის გამოწელილვითი ცოდნის უქონლობა, რამდენადაც მოულოდნელად არ უნდა მოგეჩვენოთ, ბევრი რუსთველოლოგის აქილევსის ქუსლია! ჩვენი ავტორი პოემას იკვლევს თეოლოგიური, ესთეტიკური, ტექსტოლოგიური თვალსაზრისით, უფრორე — ხელნაწერულ მემკვიდრეობას.

ძველი სიყვარული არ ბერდება. მეცნიერი კვლავაც მუშაობდა ვახტანგ მეექვსის შემოქმედებაზე; მოახერხა სრული კრებულის მომზადება, რომელიც მოცულობით 4-ჯერ აღემატება ალექსანდრე ბარამიძის ცნობილ გამოცემას; შესრულებულია დიდი სამუშაო — წარმოდგენილია ტექსტი, ვარიანტები, ლექსიკონი (2016).

ბევრი მკვლევარი მთლიანად იკეტება თავისი ძირითადი კვლევის სფეროში და მის საზღვრებს გარეთ ფეხის გადგმისა ეშინია. თუ ჭეშმარიტი ლიტერატორი ხარ, შეუძლებელია ღრმა ცოდნა და ხანგრძლივი გამოცდილება წინ არ წარგიძლვეს ლიტერატურის

ფართო ფრონტზე გამოსასვლელად. ახლაც ასე მოხდა: მკვლევარმა დაწერა საკმაოდ მსხვილტანიანი წიგნი, რომელშიც შედის ლიტერატურულ-ფილოლოგიური ნარკვევები ძველ, ახალ და უახლეს მწერლობაზე (2013). აქ მოთავსებული წერილები დაბეჭდილია პრესაშიც.

როგორც ყოველი გურული, რომელსაც იუმორზე ჭიპი აქვს მიჭრილი, ჩვენი სერიოზული ავტორი ხალისით წერს ცნობილ მეცნიერთა იუმორისტულ ეპიზოდებსა და გამონათქვამებზე (სალალობო და ნაღვლიანი ამბები, 2012).

ყველა წიგნს თუ დავითვლიდით, საბოლოოდ გამოვიდოდა თორმეტზე მეტი და მათგან ზოგიერთი ხუთას გვერდსაც კი აჭარბებს! და არც ერთი მათგანი არ იმეორებს წინას, როგორც ქს ხშირად ხდება ხოლმე ჩვენს მეცნიერებაში.

